

1239
2005



საქართველოს სტუმრიანობა

№3 2005

ISSN 1512-0880

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

ა. წ. 21 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საერთო კრება. დღის წესრიგშია გამგეობის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშის განხილვა, გამგეობისა და ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები.

საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლებით დასწრება შეუძლია საბიბლიოთეკო ასოციაციის ყველა ინდივიდუალურსა და კოლექტიურ წევრთა ოფიციალურ წარმომადგენლებს.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 21 ოქტომბერს 10 საათიდან.

მისამართი: ლ. გუდიაშვილის ქ. №7; ტ.: 93-26-82

ქურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და
კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-
კოორდინატორი

ინტერსარკო „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82



შინაარსი

პრობლემების გამოვლენა და ანალიზი	4
საბიბლიოთეკო კვირეული	
გურამ თაყნიაშვილი – პროფესიული ერთიანობის ნიშნით	6
ისტორიის ფურცლებიდან	
ალექსანდრე ლორია – ასურეთ-ბაბილონელთა და ხეთების არქივ-წიგნსაცავები	23
წიგნის იუბილე	
გიორგი სარაჯიშვილი – „ღონ კიხოტი“ ოთხასი წლისაა	27
ლიტერატურული ურთიერთობანი	
კახაბერ ლორია – კნუტ ჰამსუნის „ზღაპრულ ქვეყანაში“	30
წიგნი და მკითხველი	
გულნარა სტურუა – წიგნი და მკითხველი	36
ოსტინ ჯერსილდი, ნინელი მელქაძე – წიგნები და მათი მრავალრიცხოვანი მკითხველი	40
მეთოდური დახმარება	
გუგული ჯინჭარაძე – ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკების მკითხველებთან მუშაობის ზოგიერთი საკითხი	45
სპეციალისტის თვალით	
მარინე რეხვიაშვილი – მუსიკა და ჩვენი აღსაზრდელები	49
ჩვენი მილოცვა	
ფრიდონ ხალვაში – 80	51
კორესპონდენციები	
ნაგო ჭყონია – ბიბლიოთეკის კვირეული აჭარაში	52
გენადი მახარაძე – ღირსეულთა დაჯილდოება	53
ნანა გოგიშვილი – სამგრდიის ბიბლიოთეკები კულტურული ცხოვრების კვალდაკვალ	54
ლია ურდულაშვილი – ვიქტორინა-კონკურსი	56
ინფორმაცია	
გურამ თაყნიაშვილი – პირველი რესპუბლიკური	58
ინგა ფილაური-ლორია – რელიგიური შემწყნარებლობის მოდულის ვერსია ბიბლიოთეკარებისათვის	60
ახალი შენაძენი	62
ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა	
გენადი მახარაძე – მრავალმხრივ საყურადღებო წიგნი	62
მარიკა კალანდარიშვილი – ჩვენი სპეციალისტების ნარკვევი რუსულ გამოცემაში	63
ჩვენ გვწერენ	
ლილი გვარამაძე – მეტი გულისყური გვჭირდება	64
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	64
საცნობოდ საკითხავი	
თეიმურაზ ჩხენკელი – საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი	65
ბრძნული გამონათქვამები	66
ნეკროლოგი	
გულდასაწყვეტი დანაკლისი	67
ჩვენს მკითხველებს	
	68

Содержание

Выявление и анализ проблем	-----	4
Неделя библиотеки		
Гурам Такниашвили – Под знаком профессионального единства	-----	6
Страницы истории		
Александр Лория – Архивы и книгохранилища Ассирии, Византии и государства хеттов	-----	23
Юбилей книги		
გიორგი სარაჯიშვილი – „Дон Кихоту“ четиристო лет	-----	27
Литературные связи		
Кахабер Лория – „В сказачном мире“ Кнута Гамсуна	-----	30
Книга и читатель		
Гульнара Стурца – Книга и читатель	-----	36
Остин Джерсильд, Нинель Мелкадзе – Книги и их многочисленные читатели	-----	40
Методическая помощь		
Гугули Джинчарадзе – Некоторые вопросы работы с читателями детских библиотек	-----	45
Профессиональным взглядом		
Марина Рехвиашвили – Музыка и наши воспитанники	-----	49
Слово о профессионале		
Русудан Энджибадзе – Пламенное сердце профессионала	-----	41
Наши поздравления		
Фридон Халваши – 80	-----	51
Корреспонденция		
ნათო ჩკონია – Неделя библиотеки в Аджарии	-----	52
Геннадий Махарадзе – Награждение достойных	-----	53
ნანა გოგიშვილი – Библиотеки в культурной жизни Самтредии	-----	54
Лия Урдулашвили – Конкурс-викторина	-----	56
Информация		
Гурам Такниашвили – Первая республиканская	-----	58
Инга Пилаури-Лория – Версия модули веротерпимости для библиотек	-----	60
Новые приобретения	-----	62
Библиографический обзор		
Геннадий Махарадзе – Многосторонне интересная книга	-----	62
Марика Каландаришвили – Очерк наших специалистов в российском издании	-----	63
Нам пишут		
Лили Гварамадзе – Необходимо больше внимания	-----	64
Хроника		
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	-----	64
Чтение для любознательных		
Теймураз Чхенкели – Пять законов библиотечной науки	-----	65
Мудрые высказывания	-----	66
Некролог		
რაისა გაზდელიანი	-----	67
К читателям		
	-----	68

Table of Contents:

Identification and analyze of the problems -----	4
The Library Week	
Guram Takniashvili – By the sing of professional unity -----	6
From The Pages Of History	
Alexandre Loria – The archives and book depositories of Assyrian-Babylonians and Hittites -----	23
The Book Jubilee	
Giorgi Saradzishvili – “Don Quixote” – 400 -----	27
Literary Relationship	
Kakhaber Loria – In a “Fantastic World” Of Knut Hamsun -----	30
The book And The Reader	
Gulnara Sturua – The book and the Reader -----	36
Austin Gerslid, Nineli Melkadze – The books and their numerous readers -----	40
Methodical Help	
Guguli Dzincharadze – The specific issues on reader services of the libraries working with children -----	45
By Specialist’s Eye	
Marine Rekhviashvili – Music and our children -----	49
Our Greetings	
Fridon Khalvashvili-80 -----	51
Correspondences	
Nato Chkonia – The library week in Adjara -----	52
Genadi Makharadze – Rewarding of the merited librarians -----	53
Nana Gogishvili – Samtredia Libraries following the cultural life of the city -----	54
Lia Urdulashvili – Quiz – Competition -----	56
Information	
Guram Takniashvili – The first republican -----	58
Inga Filauri-Loria – The version of religious tolerance module for the libraries -----	60
New purchases -----	62
Bibliographical Review	
Genadi Makharadze – The noteworthy book -----	62
Marika Kalandarishvili – Our specialists’ essay in Russian edition -----	63
Letters	
Lili Gvaramadze – We need more concern -----	64
Chronicle	
The chronicle of Georgian library life: Events, Facts -----	64
Reference reading	
Teimuraz Chkhenkeli – Five laws of the library science -----	65
Words of wisdom -----	66
Obituary	
Raisa Gazdeliani -----	67
For readers -----	68



პრობლემების გამოვლენა და ანალიზი

მ

ანამედროვე საქართველოში საბიბლიოთეკო საქმე მეტად დაბალ დონეზე ღვას. დარგი თითქმის უპერსპექტივოდ გამოიყურება, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს ჩამოყალიბებული, ცხადი, საყოველთაოდ აღიარებული გაუმჯობესების პროგრამა, მეცნიერულად შესწავლილი და დადგენილი პრიორიტეტები, ოპერატიული თუ სტრატეგიული გეგმები; მეტად საეჭვოა, ადრე მომავალში დარგი სათანადო ფინანსური სახსრებით იყოს უზრუნველყოფილი. რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს?

უპირველეს ყოვლისა, არსებული მდგომარეობა და სიტუაცია, იმის მეცნიერული გააზრება, რა შეიძლება მოყვეს ამგვარ ყოფას.

როგორც ცნობილია, როდესაც რამის გამოსწორებას ფიქრობენ, იწყებენ არსებულის შესწავლით, ანალიზით, პრობლემების გამოვლენითა და ჩამოყალიბებით. როგორც მკუნალი-სათვის მკურნალობა დიაგნოზით იწყება, ისე ყველა საქმე მითითვს მდგომარეობის წინასწარ დადგენასა და ამის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოგანას. ასე იქცევიან ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, როცა სურთ რაიმეს მდგომარეობის გამოსწორება.

ვერ ვიგყვით, რომ საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ხარვეზები, პრობლემები და გასაჭირი ცნობილი არ არის, მაგრამ რამდენად არის ის მხედველობაში მიღებული, ამის თქმა ძნელია. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია, გამოვაგლინოთ, აღვუხსოთ, დავაკონკრეტოთ ჩვენი გასაჭირი და პრობლემები. თავის დროს უცხოელი კოლეგების დაინგერესების შედეგად საქართველოს საბიბლიოთეკო

ასოციაციამ საკმაოდ საინტერესო სამუშაოები ჩაატარა ამ მიმართულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არავითარი შედეგები არ მოჰყოლია სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. ალბათ უპრიანია, კვლავ მოვახდინოთ ერთგვარი რეგისტრაცია თანამედროვე პრობლემებისა.

პრობლემები კლასიფიცირებულია სხვადასხვა ნიშნით. შექმნილია მათი ჯგუფები. ესენია: სტრატეგიული პრობლემები, ბიბლიოთეკების ზოგადი პრობლემები, ინფორმაციული პრობლემები, პრობლემები პროფესიული განვითარებისა და ბიბლიოთეკარების მომზადების სფეროში, მართვასა და მენეჯმენტში, პროფესიული პრობლემები და ახალ გექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემები.

ყოველი მათგანი მისთვის დამახასიათებელ პრობლემებს უყრის თავს, მაგალითად, სტრატეგიულ პრობლემებად მიჩნეულია: სისტემის განვითარების კონცეფციისა და გეგმის არქონა, ამ პრობლემების დაძლევისათვის კოორდინაციის შექმნის სირთულე, პრიორიტეტებისა და ეროვნული სტანდარტების უქონლობა, კლებულობს რეგიონებში წამყვანი ბიბლიოთეკების გავლენა და პრესტიჟი, ხოლო მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში გაუქმდა ან უქმდება ბიბლიოთეკები, სუსტია ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატის კოორდინირება, სავალდებულო ცალების სისტემის მთლიანი მოშლა, ბიბლიოთეკებში საინფორმაციო პოლიტიკის უგულველყოფა, ბიბლიოთეკების კატეგორიების მიხედვით დაყოფაზე უარის თქმა და სხვა.

ბიბლიოთეკების ზოგადი პრობლემებიდან ხამგასმულია: ბიბლიოთეკების შენობების, ფონდების ფიზიკური და სანიტარული მდგომარე-

ობის უმდაბლესი დონე, ბიბლიოთეკარების შრომის დაბალი ანაზღაურება, სამეურნეო პირობების მოუწესრიგებლობა, ბიბლიოთეკების ტერიტორიული შევიწროვება.

ინფორმაციული პრობლემებიდან აღსანიშნავია: ბიბლიოთეკარებისა და მათი საქმიანობის გაშუქების სრული უგულებელყოფა, არ არსებობს ინფორმაციები ღონისძიებების შესახებ, არ ხდება ან ძალიან სუსტია ბიბლიოთეკების უზრუნველყოფა პროფესიული ინფორმაციით, მათ შორის კონტაქტები, სტატისტიკური მონაცემების თავმოყრა და ანალიზი, მოუწესრიგებელია ბზა-ს სისგემა.

რაც შეეხება პრობლემებს პროფესიული განვითარებისა და ბიბლიოთეკარების მომზადების სფეროში, აქ ყურადღება გამახვილებულია შემდეგზე: ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობა სავსებით არათანმიმდევრულია, პრობლემატურია კადრების მომზადებისა და აკრედიტაციის საკითხები, სუსტადაა განვითარებული სტუდენტთა პრაქტიკული მზადების პროცესი, გადაუჭრელია ახალდამთავრებული სპეციალისტების დასაქმების პრობლემა, ბიბლიოთეკებში ძალიან სუსტად ფლობენ უცხო ენებს, ეპიზოდური ხასიათი აქვს ბიბლიოთეკარების სტაჟირებას სამღვაწეობით, ფაქტობრივად, არ წარმოებს ბიბლიოთეკებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

პრობლემები ბიბლიოთეკების მართვასა და მენეჯმენტში გამოიხატება იმაში, რომ, საერთოდ, სუსტია ბიბლიოთეკების მართვის სისგემა, შტაგები არ შეესაბამება მოთხოვნებს, არ არსებობს მარეგულირებელი აქტები.

პროფესიულ პრობლემებად მიიჩნევა: საბიბლიოთეკო ასოციაციის ნაკლები აქტივობა, უკვე გამზადებული ბიბლიოგრაფიული ნაშრომების გამოცემის შეუძლებლობა, სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების სისუსტე, სპეციალიზებული ბიბლიოთეკების არარსებობა, კოლექციების კონსერვაცია-რესტავრაციის ძალიან დაბალი დონე, ბიბლექნიკისა და საჭირო აქსე-

სუარების სიძვირე და მიუწვდომლობა.

ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით პრობლემებად მიჩნეულია შემდეგი: ეროვნული სტანდარტებისა და თანამედროვე ინტეგრირების პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა, ელექტრონული გამოცემის სიმცირე, ქართული დოკუმენტების გაციფრებისა და ინტერნეტში ჩართვის სირთულეები.

მკითხველებთან მუშაობასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემებად სახელდება ის, რომ არ ხდება მკითხველთა სოციალური კვლევა, არ არსებობს მკითხველთა გამოკითხვის სრულყოფილი მექანიზმი და შედეგების განზოგადება, დაბალია მომხმარებელთა მომსახურების დონე, ვერ არის მოგვარებული საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა მომსახურების სისგემა.

კომპლექტაციასა და წიგნებთან დაკავშირებული პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ ცუდად კომპლექტდება ბიბლიოთეკები, ზომამზე მცირეა ქართული წიგნები ისეთ ტერიტორიებზე, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული ეროვნული უმცირესობანი, ცუდად ხდება ქართული წიგნების დაცვა რეგიონებში, ნაკლებად ხდება ქართული წიგნისა და პერიოდიკის გამოწერა.

ცხადია, ყველაფრის აღნუსხვა თითქმის შეუძლებელია და არც არის საჭირო. სადავო არაა, რომ ბევრი პრობლემის გადაჭრა, გამოიწვევს სხვა პრობლემების დაძლევას, რაც საქმის მთლიან გაუმჯობესებაზე იმოქმედებს.

ჩვენი სპეციალისტები კარგად უნდა იცნობდნენ თავიანთ პრობლემებს, გამოარჩევდნენ პრიორიტეტებს, ყოველმხრივ იბრძოდნენ იმისათვის, რომ დაძლიონ ისინი და ამით ხელი შეუწყონ საერთო საქმის გაჯანსაღებას.

გურამ თაყნიაშვილი

პროფესიული პრტიანობის ნიშნით

საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული წელს თავისი მასშტაბურობითა და შინაარსით განსაკუთრებით გამოირჩეოდა. კვირეულის დღეებში „თქვენი ბიბლიოთეკა“ – მოქალაქეებს მოუწოდებდა, სულ უფრო ახლოს მისულიყვნენ თავიანთ ბიბლიოთეკებთან. ჩაგარებულ ღონი-



სძიებებში სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ეკონომისტები, იურისტები, ავტორები, ბიზნესმენები.

წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ადრევე დაიწყო კვირეულის მოსამზადებელი სამუშაოები. დაისახა ოპერატიული მოქმედების გეგმა. ქვეყნის მთავრი ბიბლიოთეკები წინასწარ გაეცნენ კვირეულის ვადებს, მიზნებს, ამოცა-

ნებს. კვირეულის შესახებ სპეციალური გადაცემა მოამზადა საქართველოს რადიომ, მოკლე ინფორმაცია დაბეჭდა გაზეთმა „24 საათი“.

კვირეულის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია, მთავარი საუწყებო ბიბლიოთეკები. შედგა და დაიბეჭდა კვირეულის პროგრამა, რომელშიც მოცემული იყო საქართველოს სხვადასხვა უწყებისა და გიპის 40-ზე მეტი ბიბლიოთეკის დაგეგმილ ღონისძიებათა ჩამონათვალი, ჩაგარების ადგილი და დრო.

კვირეული გაიხსნა 28 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი. ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. რ. ლორთქიფანიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ბაზა აბაშიძე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუმრები სხვადასხვა დაწესებულებებიდან, თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის, მრდასრულთა განათლებისა და საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები და სხვ.

მართალია, კვირეული ოფიციალურად 28 აპრილს გაიხსნა, მაგრამ საბიბლიოთეკო ღონისძიებები გაცილებით ადრე დაიწყო და იგი მთელი მაისის თვის განმავლობაში გარდებოდა. კვირეულის მოსამზადებელ პერიოდში

ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა: გარემონტდა საბიბლიოთეკო შენობები, განახლდა ინვენტარ-მოწყობილობა; პასუხისმგებლობა იგრძნეს და საქმით დაამტკიცეს თავიანთი თანადგომა ბიბლიოთეკებისადმი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, კულტურისა და სპორტის განყოფილებებმა. კვირეულის წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ არა მარტო შინაარსობრივად, ესთეტიკური თვალსაზრისითაც ახალი ელფერი მიეცა ღონისძიებებს! ამ მხრივ შეიძლება სამაგალითოდ დავასახელოთ ქუთაისის, გორის, საჩხერის, საგარეჯოს, წალენჯიხის, ფოთის, სენაკისა და სხვ. რეგიონების საქმიანობა, რასაც ხელი შეუწყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ გაწეულმა მუშაობამ.

ჩვენი ჟურნალის რედაქციაში შემოსული მასალები ცხადყოფენ კვირეულის ცოცხალ, შთამბეჭდავ ხასიათს, ღონისძიებათა აკადემიურ ღონეს, ორგანიზატორთა პროფესიონალიზმს და მონაწილეთა აქტიურობას.

ღონისძიებათა ნაირფეროვნებითა და დამსწრეთა აქტიურობით ყოველთვის გამოირჩეოდა ქ. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანება. წელსაც ასე იყო.

6 მაისს თსგ №2 ბიბლიოთეკამ (გამგე ციციანო გოგინაშვილი) შეხვედრა მოუწყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაცყალა გონაშვილს. მას მიესალმნენ პოეტები: ნონა გიორგაძე, მზია ხეთაგური, ვაჟა ოთარაშვილი, №22 საქალაქო ბიბლიოთეკის



გამგე ნათია ქემოკლიძე, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი გულნარა სტურუა, მიუსაფარ ბავშვთა სახლის დირექტორი ცირა ლანჩავა და სხვები.

პოეტ რაგი ამალლობელს შეხვედრა მოუწყვეს მე-3 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მერი ლომია). პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრა საერთაშორისო ასოციაცია „წყაროსთვალის“ გამგეობის თავმჯდომარემ ფილოლოგმა მაია ჯინჯიბუხაშვილმა, პოეტს გულთბილი სიტყვებით მიმართეს ლამარა რჩეულიშვილმა, ლია თუმურმა, 84-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა მარიამ გოგინაშვილმა და სხვებმა.

პოეტის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: სოფიო საათაშვილმა, გრისგან ასლანაშვილმა, თამარ მაჭარაშვილმა და სხვებმა.

2 ივნისს ხალხმრავლობა იყო თბილისის 54-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მკითხველები აღნიშნავენ ბიბლიოთეკის დაარსებიდან მე-20 წლისთავს. ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ ისაუბრა მისმა გამგემ ციციანო იაკობიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ: მწერალი ჯემალ ქირია, პედაგოგი ლუდა გეგელაშვილი, რეჟისორი ანზორ დოლენჯაშვილი და სხვები. ბიბლიოთეკის მკითხველმა სალომე ნაცვლიშვილმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა ამაგდარ ბიბლიოთეკარებს. ბიბლიოთეკის იუბილე გულთბილად აღინიშნა მეთოდისგ ნანული გოგაგიშვილის და პროფკა-





ვშირების თავმჯდომარის თინა ჩაგანავას გამოსვლებში. მწერალმა ჯემალ ქირიამ დამსწრეთ მოუთხრო ამერიკული ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ. ამ ბიბლიოთეკას სპეციალური სტაგია მიუძღვნა მისმა აქტიურმა მკითხველმა კახა კეშელავამ. იგი გულთბილად იგონებს თავის ბავშვობას, როდესაც ეს ბიბლიოთეკა გაიხსნა და წერს: „მიხარია, რომ დღეს ჩემი შვილებიც ამ ბიბლიოთეკის მკითხველები არიან და მათ კვლავინდებურად სითბოთი და სიყვარულით ეგებებიან ბიბლიოთეკის თანამშრომლები“.

კვირეულის დღეებში 3 მაისს ასევე აღნიშნა თბილისის 32-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის დაარსებიდან 50-ე წლისთავი. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ათასზე მეტ მკითხველს ემსახურება, მაგრამ საქმე რაოდენობაში როდია, აღნიშნა ბიბლიოთეკის გამგემ ლია უხურგუნაშვილმა, ბიბლიოთეკას მოხვეჭილი აქვს მკითხველის სიყვარული. ბიბლიოთეკები ხშირად სტუმრობენ ინვალიდებს ბინაზე, წინასწარ სწავლობენ იმათ მოთხოვნებს; როგორც თსკ მასობრივი მუშაობის მეთოდისტი ლაურა ქობულაშვილი აღნიშნავს, ბიბლიოთეკა გამოირჩევა თავისი საქმიანობით. აგარებს ერთობლივ ღონისძიებებს სკოლებსა და საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად. განსაკუთრებით გამოირჩეოდა შეხვედრა თბილისის 118-ე საშუალო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგთან თამარ გერგერაშვილთან, ნორჩ მკითხველთა ზეიმი: „ისმინე

სწავლის მძებნელო“ და სხვ.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ მერი სიღამონიძე და გარიელ ორჯონიკიძე; საიუბილეო ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ღაძმა დათო და ხათუნა გურაშვილებმა, სოფიკო ხორგუაშვილმა და ლეილა მუხიგულაშვილმა, ბიბლიოთეკას საკუთარი ლექსი მიუძღვნა მეთოდისტმა ნელი ჯარიაშვილმა, ლექსი წაიკითხა 4 წლის გიორგი გურაშვილმა. გულთბილი სიგყვებით გამოვიდნენ გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტი ნინო გურაშვილი, გაერთიანების პროფკავშირის თავმჯდომარე თინა ჩაგანავა, რომელმაც ფულადი ჯილდო გადასცა იუბილარ ბიბლიოთეკას.

საინტერესო იყო 25-ე და 41-ე საქალაქო ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიება „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი“, რომელიც მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 90-ე წლისთავს. ლიგერაგურულ საღამოს ესწრებოდნენ გიგი ხორნაული – თსუ პროფესორი, ალექსი არაბული, ნანა კოტეგიშვილი, გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტი ინეზა ლეკვიშვილი და სხვები.

ღონისძიებაზე სიგყვებით გამოვიდნენ ბიბლიოთეკარები ნ. ჯეჯელავა და ია ვარდიანიშვილი. ვაჟა-ფშაველას ლექსები წაიკითხეს მკითხველებმა მარი ზვიადაურმა, ანი ჯოლბორღმა, ქრისტინე ვეფხვაძემ, თათა მუმლაძემ და სხვებმა. საინტერესო იყო გიგი ხორნაულისა და ალექსი არაბულის გამოსვლები. საღამოს



თხველებმა მარი ზვიადაურმა, ანი ჯოლბორღმა, ქრისტინე ვეფხვაძემ, თათა მუმლაძემ და სხვებმა. საინტერესო იყო გიგი ხორნაულისა და ალექსი არაბულის გამოსვლები. საღამოს

პროფესიული შეფასებით გამოვიდნენ: ლ. ქუმელაშვილი, თ. ჩაგანავა, ნ. ჯარიაშვილი.

როგორც ცნობილია, საჯარო ბიბლიოთეკები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურებას. ამ მხრივ საყურადღებო იყო ღონისძიება „მე ხომ გულით ვიხედები, გული ჩემი თვალებია“, რომელიც მოაწვევს თსგ №53 (გამგე მ. ბერიძე), №24 (გამგე ლ. უნდილაშვილი), №51 (გამგე ნ. ჯანელიძე), №27 (გამგე ქ. აშაძე) ბიბლიოთეკებმა. ფაქტიურად, ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს უსინათლო ბავშვთა ფონდის მიერ ახლახან გამოცემულ ლიგერატურულ ალმანახს „შუქი სულისა“. ღონისძიებაზე ჩაგარდა აღნიშნული ალმანახის პრემენგაცია, კრებულში შესულია უსინათლო პოეტთა შემოქმედების ნიმუშები, მეცნიერული ნაშრომები და სხვა; ისინი ნათლად მეგყველებს უსინათლო ადამიანთა ნიჭიერებასა და პაგრიოგულ შემართებაზე. ამ დღეს ბიბლიოთეკაში მოწვევები იყვნენ უსინათლო პოეტები: რევამ გაგალაშვილი, სერგო სამხარაძე. გვიად ფხიკლიშვილი. ალმანახი მიმოიხილა 53-ე ბიბლიოთეკის წამყვანმა ბიბლიოთეკარმა რ. ფაღავამ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის 115-ე და 191-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა: ანა თოფურიამ, გვანცა მუზაშვილმა, ლიბა სიხარულიძემ, ანა თარალაშვილმა, თამრიკო ხელაძემ, ქეთინო ბერუაშვილმა და სხვებმა. საღამო მუსიკალურად გააფორმეს 9 აპრილის მოვლენების უშუალო მონაწილემ თინა ბირკაძემ და მისმა ვაჟმა ბაკურმა. უსინათლო პოეტის რევამ გაგალაშვილის ლექსებში მძაფრად არის განცდილი ქვეყნის მდგომარეობა. თვითონ პოეტმა რევამ გაგალაშვილმა წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.

ხალხმრავალობა იყო 4 მაისს თსგ №3 ბიბლიოთეკა-ფილიალში, აქ ჩაგარდა საინტერესო ღონისძიება თემაზე „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“. საინტერესო სიგყვით გამოვიდა წამყვანი ბიბლიოთეკარი ლუბა მუ-

კაკიშვილი. მან აღნიშნა, რომ უბნის მცხოვრებლები ბიბლიოთეკას სამართლიანად უწოდებენ „უბნის აკადემიას“, „თამისს უღაბნოში“. ასეთი მიღგომა იგრძნობოდა ამ დღეს წიგნისა და ბიბლიოთეკისადმი. ღონისძიებაზე ძირითადი მოსხენება გააკეთა ბიბლიოთეკის გამგემ მერი ლომიამ. დამსწრეთა ინტერესი გამოიწვია ბიბლიოთეკარისა და პოეტის ლამარა რჩეულიშვილის გამოსვლამ, მან საკუთარი ლექსი მიუძღვნა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. დამსწრეთაგან სიგყვებით გამოვიდნენ შორენა ასკურავა, მედეა გზირიშვილი, ლია ოსაძე, მარინა გოგინაშვილი. თავიანთი გულთბილი დამოკიდებულება ბიბლიოთეკისადმი



გამოხატეს 111-ე საშ. სკოლის მოსწავლეებმა ნათია ბიბილურმა და დარინე ყანჩელიშვილმა. წიგნისა და ბიბლიოთეკისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: თათია ახობაძემ, მარიამ მოისაშვილმა, ნათია უსგიაშვილმა, გურამ კახაბრიშვილმა და სხვებმა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩაგარდა 27-ე ბიბლიოთეკაში. „ჩვენ ვართ თქვენი მომავალი“ – ასეთი იყო ღონისძიების თემატიკა. ღონისძიების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-16 და 45-ე საშ. სკოლების მოსწავლეებმა, მოეწყო ექსკურსიები, წარმოდგენილი იყო ლიგერატურული მონგაჟი – თავისუფლება. ბიბლიოთეკის გამგემ ქეთევან არეშიძემ მადლიერება გამოხატა ბიბლიოთეკის თანამ-

შრომლების ნაზი კუჭაშვილის, ციცინო ჟიჟილაშვილისა და ელენე ჭაღიაშვილის მიმართ, რომელთაც უშუალოდ იმუშავეს მკითხველებთან, რათა ღონისძიება მიმზიდველი და სანახაობრივად ლამაზი გამოსულიყო.

თბილისის მე-18 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნათელა ჭყონია) გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაცყვალა გონაშვილის ახალი პოეტური კრებულის „გუმბათებიდან მზის მაღლი ჟონავს“ პრეზენტაცია. დამსწრე სამოგადოებას კრებული წარუდგინა მე-12 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ნატო ბიაშვილმა. კრებულის პრეზენტაციას ესწრებოდნენ პოეტები: ვაჟა თთარაშვილი, გივი სიხარულიძე, მზია ხეთაგური, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციის წევრი გულნარა სგურუა.

დ. გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლისთავს მიუძღვნა საინტერესო ღონისძიება თსგ ე. ნინოშვილის სახელობის №10 საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე გ. გარდაფხაძე), ამ დღეს ბიბლიოთეკას ესტუმრნენ პროფ. რ. ბარამიძე,


ნ. კოტინოვი, გოჩა კუჭუხიძე, ხელოვნებათმცოდნე დოდო სოლომნიშვილი. დ. გურამიშვილის შემოქმედების შესახებ ისაუბრა პროფ. რ. ბარამიძემ, რომელმაც მსმენელთა ყურადღება მიაპყრო დ. გურამიშვილის შემოქმედების ცალკეულ დეტალებზე. დ. გურამიშვილზე, როგორც სალიტერატურო ენის რეფორმაგორზე ისაუბრა ნ. კოტინოვმა. „დავითიანიდან“ ნაწყვეტები წაიკითხეს მკითხველებმა: გ. სვირავამ, ე. კუხიანიძემ, გ. ნიკოლაიშვილმა, თ. თუხარულმა და სხვებმა.

საინტერესო ღონისძიება ჩატარდა თსგ მე-9 ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. კასრაძე); ეს იყო 31-ე ბიბლიოთეკასთან (გამგე ლ. კიკნაველიძე) მოწყობილი ერთობლივი ღონისძიება თემაზე „ქართული სახელმწიფო და მსოფლიო გლობალიზაციის საკითხები“, მოხსენება გააკეთა თსუ პროფესორმა ელბერდ ბაგიაშვილმა; „გლობალიზაცია და ბიბლიის თეოლოგიურ-სიონისტური ინტერპრეტაცია“ – ასეთი იყო პროფ. დ. ლაღანიძის გამოსვლის თემა, რომელმაც უამრავი კითხვა წარმოშვა.

ქალაქის 21-ე ბიბლიოთეკამ (გამგე ქეთევან დიხამინჯია) კვირეულის პროგრამით ჩაატარა გიციან გაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო „მე დავიბადე აპრილის თვეში“, პოეტის შემოქმედებაზე ილაპარაკა ქ. თბილისის 72-ე სკოლის მოსწავლემ ირინა შიუკაშვილმა; გიციან გაბიძის შემოქმედების ცალკეულ ასპექტებს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში მოსწავლეები: ე. ლეკიშვილი, თ. გორგაძე, სგულენტი შ. შეყრილაძე.

საინტერესო იყო თსგ 55-ე ბიბლიოთეკაში მოწყობილი შეხვედრა პოეტ თამარ დაუშვილთან. ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე ნინელი კოკოლიშვილი. პოეტის პოეზია ვრცლად მიმოიხილეს კოლეჯ „ოპიზარის“ პედაგოგებმა და მოსწავლეებმა.

თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში ჩატარებულ ღონისძიებათა შორის საინტერესო და ღრმად შთამბეჭდავი იყო შეხვედრა კინორეჟი-



სორ მერაბ კოკოჩაშვილთან, რომელიც კომპოზიტორთა სახლში გაიმართა 23-ე საქალაქო ბიბლიოთეკის თაოსნობით (ორგანიზატორები მ. თვარაძე და ცირა გამყრელიძე). 70 წლის კინორეჟისორი მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა. კომპოზიტორთა სახლს ეწვივნენ კინორეჟისორის თაყვანისმცემლები, ბიბლიოთეკის მკითხველები, კოლეგები; შეხვედრას უძღვებოდა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ქეთევან ბასილაშვილი.

საღამო შინაარსიანი გამოსვლებით შეავსეს საქართველოს სახალხო არგისტმა ნინო ჩხეიძემ, ამა კიბირიამ, პოეგმა ლალი სხირგლაძემ; საღამომზე წარმოდგენილი იყო ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „დიდგორი“ ლევან წიგაიშვილის ხელმძღვანელობით. კინორეჟისორს ასევე გულთბილად მიესალმნენ მსახიობი მზია მაღლაკელიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი თეა იოსავა, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციის წევრი გულნარა სგურუა და სხვები.

6 მაისს შ. რუსთაველის სახელობის №7 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. რაზმაძე) მოეწყო მკითხველთა შეხვედრა ბიბლიოთეკასთან მოქმედი ლიგერაგურული კლუბის „ვეფხისტყაოსნის“ წევრებთან. შეხვედრას უძღვებოდა პოეტი ჟურნალისტი ფ. ჩიმაკაძე. ამ დღეს მკითხველებმა, ბიბლიოთეკარებმა გზა დაულოცეს კლუბის ერთ-ერთ წევრს პოეტ ოთარ სოხაძეს; აქვე შედგა მისი პოეტური კრებულის „ნაბიჯები ნისლში“ პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ გამომცემლები, მთარგმნელები, 130-ე და 169-ე საშუალო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები.

ჩაგარებულმა ღონისძიებებმა დიდი მოწონება დაიმსახურა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ახლოს არიან წიგნთან, ბავშვებთან, ბიბლიოთეკასთან.

საბიბლიოთეკო კვირეული საინტერესოდ მიმდინარეობდა თბილისის საბავშვო ბიბლიოთეკებსა და საქალაქო ბიბლიოთეკების საბავშვო განყოფილებებში. საბავშვო ბიბლიოთეკებმა კვირეული გახსნეს ნ. ნაკაშიძის სახელო-

ბის მე-16 საბავშვო ბიბლიოთეკაში ლიგერაგურულ-მუსიკალური კომპოზიციით. შესრულებულ იქნა ხალხური და კლასიკური მუსიკა. ღონისძიებაზე მოწვეული იყო მსახიობი გიორგი პიპინაშვილი, – სამოგალოებრივი გაერთიანება „ართ პოლის“ გენერალური დირექტორი. დავით გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლის იუბილეს მიეძღვნა შ. მღვიმელის სახელობის №49 საბავშვო ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიება (გამგე ლ. ჯავახიშვილი). მასში მონაწილეობდნენ თბილისის 113-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები; 12 მაისს 63-ე სა-



ბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე მ. გურგენიძე) ჩააგარა ლიგერაგურულ-მუსიკალური დილა „მზე შინა და მზე გარეთა“.

ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნის“ გამოცემიდან 140-ე წლისთავს მიეძღვნა ღონისძიება 28-ე საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. გელენიძე). წა-



ბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე მ. გურგენიძე) ჩააგარა ლიგერაგურულ-მუსიკალური დილა „მზე შინა და მზე გარეთა“.

ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნის“ გამოცემიდან 140-ე წლისთავს მიეძღვნა ღონისძიება 28-ე საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. გელენიძე). წა-



კითხული იქნა ნაწყვეტები ი. გოგებაშვილის მოთხრობიდან. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ გიმნაზია „მოდღვარის“ მოსწავლეები და პედაგოგები. 16 მაისს კვლავ ნ. ნაკაშიძის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ოგია იოსელიანთან, რომელსაც წელს 75 წელი შეუსრულდა. მწერალსა და მკითხველებს შორის გაიმართა გულახდილი, იუმორით სავსე დიალოგი. ბიბლიოთეკის მნიშვნელობის შესახებ ო. იოსელიანმა აღნიშნა: „ყოველნაირი ცოდნის გზა აქ მოდის და ყველა მამულიშვილი ამ კარებიდან გადის.“ წიგნთან მივიყვანოთ ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი და წიგნი თვითონ ასწავლის, როგორ აკეთოს მამულიშვილური საქმე.

საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკას დიდი ხანია საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს თბილისის 169-ე საშუალო სკოლასთან. 4 მარგს ბიბლიოთეკაში ჩაგარდა ლიგერაგურულ-მუსიკალური კომპოზიცია „შენი შვილები გიმღერით, დედავ!“ ბიბლიოთეკა საგანგებოდ მოემზადა აღნიშნული სკოლის მე-3 კლასელთა დასახვედრად. ბავშვებს წიგნისა და ბიბლიოთეკის შესახებ საინტერესო საუბარს უგარებენ პედაგოგები თინა ბურაბიშვილი და ნაზი ქურციკიძე.

მირმა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში (ღირექტორი ომარ შოთაშვილი) კვირეული 5 მაისს გაიხსნა. მოსწავლე-ახალგა-

ზრდობის მოთხოვნით ამ დღეს შეხვედრა მოუწყვეს მწერალ ლაშა ბულაძეს. მისი შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პოეტმა ბუმრუდ გოლერძიშვილმა. კვირეულის პროგრამით აქ გაიმართა აგრეთვე ვიქტორინა-კონკურსი თემაზე „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“. ამ ღონისძიებაში ათი საშუალო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს საკმარისი ცოდნა ქართული წიგნის ისტორიისა და დამწერლობის საკითხებში. გამარჯვებულებს სიგელები და საჩუქრები გადაეცათ. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოსწავლეებმა: შოთა ბულბულაშვილმა, ნინო კომახიძემ, ეკატერინე დანელიამ, ლანა ცანავამ, გიგი ხიგალიშვილმა, თამარ ადამიამ; ყველაზე აქტიური მონაწილის პრიზი გადაეცა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეს ოლიკო ვარდიაშვილს.

მეგაღ საინტერესო იყო ღონისძიება, რომელმაც ბიბლიოთეკის ღირექტორმა ომარ შოთაშვილმა გააკეთა მოხსენება – „აშშ-ს მასაჩუსეტსის შტატის საბიბლიოთეკო ქსელის მუშაობის მიმოხილვა“. მას ესწრებოდნენ თბილისის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი მუშაკები.

მეგაღ საინტერესო იყო მკითხველთა კონფერენცია თემაზე „ახალგაზრდობა, წიგნი, კომპიუტერები“. რომელმაც პედაგოგმა მანანა შეყილაძემ საყურადღებო მასალები წარმოადგინა. კომპიუტერის დახმარებით ნაჩვენებმა ვიზუალურმა მასალებმა ნათლად ცხადყო, თუ როგორ შეიძლება ასეთი მასალების დახმარებით სწავლების ეფექტურობის ამაღლება.

6 მაისს მე-2 ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კონფერენციაზე, რომლის თემა იყო „თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები“, წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ათზე მეტი მოხსენება, რომლებიც შეეხებოდა საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციას ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კონფერენციამ ცხადყო ეროვნული

ბიბლიოთეკის კომპიუტერიზაციის პროცესების აღმავალი ხასიათი, დაისახა პრობლემები.

18 მაისს საყურადღებო ღონისძიება გაიმართა თბილისის მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრის „აბრეშუმის სახლის“ ბიბლიოთეკაში (ღირექტორი ლილი ჯანგველაძე). ამ დღეს ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოუწევს სოხუმის კულტურის, ხელოვნებისა და განათლების მუშაკებს. შეხვედრაზე გაიმართა გულდასაუბარი სოხუმიდან იძულებით გადმოსულთა შემოქმედებით საქმიანობის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ სოხუმის კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საბიბლიოთეკო კვირეულის დროს შინაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს ბევრი უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის საქმიანობა. საინტერესო ღონისძიებები გაიმართა თბილისის ენისა და კულტურის, სამედიცინო უნივერსიტეტებისა, კულტურისა და ხელოვნების და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში.

5 მაისს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო-მეთოდური სემინარი თემაზე „საბიბლიოთეკო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სპეციალური კათედრის თანამშრომლები, საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

მეთხე წელია საბიბლიოთეკო კვირეული წარმატებით გარდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკა-ფილიალები, სასკოლო ბიბლიოთეკები აღრევე იწყებენ სამზადის ამ ფართომასშტაბიანი ღონისძიებისათვის. ადგილობრივი ხელისუფლების უმეტესობა აქტიურად უწყობს ხელს

რაიონის ბიბლიოთეკების წარმოჩენას ქვეყნის ამ დიდ სიმპოზიუმზე.

ნიშანდობლივია, რომ ცალკეულ შემთხვევაში თვითონ მკითხველთა მოთხოვნით იმართება ღონისძიებები, მკითხველები არა თუ თვითონ მონაწილეობენ, მეტწილად ისინი წარმოგვიდგებიან ღონისძიებების ხელმძღვანელებად.

ისევე, როგორც წინა წლებში, შინაარსიანი ღონისძიებებით გამოირჩეოდა ბიბლიოთეკების კვირეული ქუთაისის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი გიორგი შავგულიძე). 28 აპრილს 25-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ზ. ლომთაძე) ჩატარდა ღონისძიება თემაზე „უფალო შეგვიწყალებ, შეგვეწიე ჩვენ“. ღონისძიებას ესწრებოდნენ მე-16 საშუალო სკოლის მოსწავლეები, თამარ მეფის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი ნიკოლოზი, №20 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ლეკვიშვილი) შეხვედრა მოუწევს პოეტ ლია გვენეგაძეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ №24, №5 საშუალო სკოლების მოსწავლეები, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გიბო თავაძე, მწერალი თენგიზ თოფუ-



რიძე, კომპოზიტორი ვასო კოკელაძე. ლია გვენეგაძის შემოქმედების შესახებ ისაუბრა ბიბლიოთეკარმა მზია გიორგაძემ.

№19 საქალაქო ბიბლიოთეკის ინიციატივით მოეწყო ექსკურსია თბილისში, წმინდა სამების საეკლესიო გაძრის დასათვალიერებლად. დ.

კვიცარიძის სახელობის მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩაგარდა მწერალ ღვთისმეტყველ კვიცარიძის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მწერლის შემოქმედების შესახებ ისაუბრა პროფ. სიმონ არველაძემ.

№14 საქალაქო ბიბლიოთეკაში 11 მაისს ჩაგარდა ღონისძიება სახელწოდებით „რას გვეცყვი, მამაო“. ღონისძიებაზე მოწვეული იყო წმინდა გიორგის სამლოცველოს მოძღვარი მამა გიორგი. საუბარი შეეხო ბიბლიოთეკის ადგილს რელიგიური განათლების საქმეში. მამა გიორგიმ ამომწურავი პასუხი გასცა მკითხველთა ნაირფეროვან შეკითხვებს რელიგიის საკითხებზე, ისაუბრა ბრწყინვალე ალფომის შესახებ. საღამო შეაჯამა ბიბლიოთეკის გამგემ დ. ბობოხიძემ.

9 მაისს №16 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩაგარდა ღონისძიება თემაზე „ჩვენი ენა, ჩვენი დედა, ჩვენი ტკბილი ქართული“; ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსები წაკითხეს ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა. 5 მაისს №11 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ს. გიორგაძე) ჩაგარდა გიციან ცაბიძის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლიანა ელიბერიძემ; 6 მაისს მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. ჩხუნაშვილი) გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ი. ოცხელის სახელობის მე-2 საშ. სკოლის მოსწავლეები,



აქტიური მკითხველები. იმავე დღეს უნივერსალური – სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო შეხვედრა პოეტ ჯანიკო გაბუნიასთან. პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრა პოეტმა მარიკა საღლობელაშვილმა. საინტერესო იყო წიგნისა და წიგნიერების როლის შესახებ ქუთაისის მე-3 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ვ. ძოწენიძე) ჩაგარებული მრგვალი მაგიდა-საუბარი. ღონისძიება მიძღვნილი იყო წიგნის დღესასწაულისადმი. საყურადღებო იყო აქტივისტ მკითხველთა გამოცვლები წიგნისა და ბიბლიოთეკების შესახებ. ღონისძიების სათაურიც მარჯვედ იყო შერჩეული – „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ბესთ მწყობრთა წყობისა“.

№1 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. გაბაგაძე) ჩაგარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. ამ თემაზე მოხსენება წაკითხა წამყვანმა ბიბლიოთეკარმა მანანა ბარჯაძემ. ღონისძიებაზე წაკითხულ იქნა ლექსები, შესრულდა სიმღერები, რომელთა თემატიკა იყო სამშობლო, პატრიოტიზმი, საქართველოს გაერთიანება, 9 აპრილი, აფხაზეთი, და სხვ. ღონისძიება შეაჯამა მეთოდისგმა მარინა წიგაიშვილმა.

№13 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე შ. ჯინჭანაძე) მოეწყო ღონისძიება „პოემის ხუთი წუთი“ ლიდა სგვილიას ლექსების მიხედვით, ღონისძიების სახელწოდება იყო „პოემია ოცნებათა თოკია“, ლიდა სგვილიას შემოქმედების შესახებ ნორჩ მკითხველებს ესაუბრა ბიბლიოთეკის გამგე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის მე-9, 33-ე, მე-11, მე-12, მე-3 სკოლების მოსწავლეები.

6 მაისს №9 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ყურაშვილი) გაიმართა ლიტერატურული ლიდა „წიგნით და მხოლოდ წიგნით“. ეს იყო ფაქტიურად წიგნის ბიბლიოთეკის მისალოცად მოვიდნენ 23-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები, 29-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები, 38-ე სკო-

ლის III კლ. ხელმძღვანელი ლია გოგაგაძე, IV კლ. მოსწავლეები ნინო ჯინჭარაძის ხელმძღვანელობით, ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა საკუთარი წიგნები 38-ე სკოლი პედაგოგმა მადონა მუშკუდიანმა. წიგნის გეიმს ამ ბიბლიოთეკაში საფუძველი ჩაეყარა 1982 წლიდან. ლიგერატურულ დილას ხელმძღვანელობდა 23-ე ბაგა-ბაღის პედაგოგი ლალიტა კობიძე.

№7 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ფრუიძე) 6 მაისს ჩატარდა ლიგერატურული დილა-კომპოზიცია თემაზე „ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. კომპოზიციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ერთიმეორეს სცვლიდა ლექსი, სიმღერა, სიგყვა, რომლებსაც დიდი ოსტატობით ასრულებდნენ მოსწავლეები: ქ. მაღლაკელიძე, ნ. ფარცვანიძე, ვ. შენგელია, გ. ოდიკაძე, ნ. ნემსაძე, ლ. ბოჭორიშვილი და სხვები.

ქუთაისის ინვალიდ-ბავშვთა ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. სვანიძე) ჩატარდა ლიგერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 165-ე წლისთავს.

ლონისძიებას ესწრებოდნენ მე-17 სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები. მე-3 საბავშვო ბიბლიოთეკამ ბიბლიოთეკის კვირეულის პროგრამით ჩაატარა ლონისძიება „რომელმან შექმნა სამყარო“. ლონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-13 ბაგა-ბაღისა და 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა; №5 ქართულ-გერმანულ საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლონისძიება გერმანულ ენაზე სათაურით „მოდის გაზაფხული, რომ სიყვარულზე კვლავ შეგვახსენოს“. ლონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე მაია გოგელაშვილი. ბავშვებმა გერმანულ ენაზე წაიკითხეს გოეთეს ლექსები. 3 მაისს ა. სინაურის სახელობის ლიგერატურულ სახლში (გამგე ც. მხეიძე) შეხვერა მოუწყვეს ოგია იოსელიანს. თემაზე „ქალის სახე ო. იოსელიანის შემოქმედებაში“ ილაპარაკა მწერალმა ცისანა ყურაშვილმა. ყველას



უნდოდა მისაღებოდა საყვარელ მწერალს და გულთბილი სიგყვები ეთქვა მისთვის. ლიგერატურული სახლის თანამშრომლებმა მწერალს სახსოვრად მაცხოვრის ხაგი გადასცეს.

გრადიციულად, შინაარსიანი მასობრივი ღონისძიებებით ყოველთვის გამოირჩეოდა ქ. რუსთავის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი მ. ბურკვაძე); კვირეული ჩატარდა დევიზით „აჩუქეთ წიგნი ბიბლიოთეკას“. კვირეული ერთდროულად გაიხსნა 28 აპრილს ქალაქის ყველა ბიბლიოთეკაში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოემის საღამო „გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე“. ბიბლიოთეკარებმა და მკითხველებმა ისაუბრეს პოეზიაზე, სიყვარულზე, პატრიოტიზმზე. №7 საქალაქო ფილიალში ჩატარდა ლიგერატურული დილა „დედა ენა ქართული“, ხოლო №10 ფილიალში – პოემის საღამო „ლექსი თვითონ მწერს“. №11 ბიბლიოთეკა – ფილიალში მოეწყო სპორტული შეჯიბრება ჭადრაკში. შეჯიბრებაში გამარჯვებულები მარი სიფრაშვილი და ირაკლი ჯახველაძე დაჯილდოვდნენ წიგნე-

ბით. 29 აპრილს ქალაქის №2, 3, 5 და მე-10 ფილიალებმა შეხვედრა მოუწყვეს ქალაქის ღვაწლმოსილ ადამიანებს. ღონისძიება ჩატარდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ბევრი სამახსოვრო დღეები გაიხსენეს პირველმა მეფოლადეებმა, მშენებლებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. №8 საბავშვო ფილიალმა მე-17 სკოლასა და ქართულ გიმნაზიასთან ერთად ჩაატარეს ინტელექტუალური თამაში „შემოვიაროთ ცოდნის 9 წყარო“. მე-3 და მე-6 საქალაქო ფილიალებმა ჩაატარეს პოემიის საღამო „სიჭაბუკისა და გაბაფხულის პოეტი“, რომელიც მიეძღვნა გ. ლეონიძის დაბადებიდან 105-ე წლისთავს. ერთობლივი კონფერენციები და დიპლომები ჩატარდა №2, №1 საბავშვო, №5 საქალაქო ბიბლიოთეკებში. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა-ფილიალმა ჩაატარა პოემიის საღამო, რომელიც მიეძღვნა გიციანისა და გ. ლეონიძის შემოქმედებას. ასევე ერთობლივი ღონისძიებები ჩაატარეს მე-6, მე-8, მე-11 ბიბლიოთეკა-ფილიალებმა; 6 მაისს მწერალთა სახლში საბიბლიოთეკო გაერთიანებამ ჩაატარა აწ გარდაცვლილი რუსთაველი მწერლის ი. შავლოხაშვილის წიგნის „გორი ვერ დამკრა სიბერემ“ პრეზენტაცია. წიგნი გამოიცა ქალაქის მერის მ. გყეშელაშვილის დახმარებით. №11 საბავშვო ბიბლიოთეკამ 25-ე საშუალო სკოლასთან ერთად მოაწყო ლიგერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „წიგნი – ჩემი მუდმივი მეგობარი“.

№8 საბავშვო ფილიალში მოეწყო ბავშვთა ჩანახაგების განხილვა თემაზე „მე ვხედავ ხვალინდელ დღეს“. ერთობლივი ღონისძიებები ჩატარდა მე-12 საბავშვო, ქალაქის მე-2, მე-3, მე-5 და მე-10 ბიბლიოთეკა-ფილიალებში. ღონისძიებათა თემატიკას შეადგენდა პოემია, წიგნი, ბიბლიოთეკა. ყოველი ღონისძიება საინტერესო იყო იმით, რომ მასში ძირითადად ბავშვები, მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ლიგერატურულ საღამო-შეხვედრაზე „მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი“, მოწვეული იყო აფხაზე-

თიდან ლგოლვილი 3 ოჯახი; ღონისძიებაზე წამოყენებულ იქნა წინადადება, ლგოლვილი ობოლი ბავშვი, 8 წლის ანა სანაია უფასოდ ჩარიცხულიყო მე-4 სამუსიკო სასწავლებელში.

№1 საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო III კლასელ მოსწავლეთა ბიბლიოთეკის მკითხველად კურთხევა, ბიბლიოთეკაში გაწევრიანდა 28 მოსწავლე. აქვე მე-9 სკოლასთან ერთად გაიმართა ვიქტორინა-კონკურსი „ვინ უკეთესად იცნობს ჩვენი ქალაქის ისტორიას“. საინტერესო იყო საღამო თემაზე „ვინც რომ წიგნი შე-



გვაყვარა“, მოწვეული იყო მე-16 სკოლის პედაგოგი რ. მურჯიკნელი, რომელსაც მოსწავლეებმა გულთბილი გაცილება მოუწყვეს.

ერთობლივი ღონისძიებები ჩაატარეს №12, №8 და 11 ბიბლიოთეკა-ფილიალებმა. კვირული რუსთაველი დაიხურა 11 მაისს.

ამ დღეს ბიბლიოთეკარები დააჯილდოეს სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. კვირულის ღონისძიებები სათანადოდ გააშუქა ადგილობრივმა პრესამ და გელევიზიამ.

ქ. გორში საბიბლიოთეკო კვირულის დღეებში №4 საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში ჩატარდა ლიგერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ვიდრე ენა ცოცხლობს, ერი არ მოკვდება“. დამსწრეთ კიდე ერთხელ გაიხსენეს იოანე ბოსიძე, ფარნავაზ მეფე, ი. გოგებაშვილი, რომელმაც 1876 წელს გამოსცა პირველი „ღედა ენა“. 23 აპრილს წიგნის მაღაზია „დილა“-ში მოეწყო გორელ მწერალთა წიგნების გამოფენა. წარმოდგენილი

იყო ჯემალ ინჯიას, ბაურ წაქაძის, გერონტი გოგინაშვილის, ვანო ჩხიკვაძის, ზეინაბ მეგრეველის, ნელი ჩალაურის და სხვ. თხზულებათა გამოცემები. გამოფენაზე სიტყვები წარმოსთქვეს ჯემალ ინჯიამ, პროფ. შ. ქურდაძემ, ნანა აბრამიძემ და სხვებმა.

ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანება (ღირექტორი დიანა გელაშვილი) ღირსეულად აგრძელებს დამკვიდრებულ გრადიციებს, აგარებს შინაარსიან, მიმზიდველ მასობრივ ღონისძიებებს. წელს, 28 მაისს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო „სახალისო ლიტერატურული მარათონი“ რაიონის მე-8-9 კლასების მოსწავლეთათვის. მარათონში მონაწილეობდა 22 მოსწავლე. გამოცხადდა 4 საკონკურსო თემა: „გულზე ღარგული“, „შენ ხარ საწყისი ბედნიერების“, „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „იყავნ ნება შენი“. სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულნი. I ადგილი – ვანო აბაშიძე – ხაშურის დ. ყიფიანის სახელობის სკოლა – პანსიონის IX კლ. მოსწავლე.



ნდეთა დაცვის რაინდები“. ინფორმაციები ფუსტების შესახებ ნაკლებად მოიპოვება, ამიტომ ლექციაში დიდი ინტერესი გამოიწვია. კვირეულის პროგრამით სალონმა მოაწყო მკითხველთა და ბიბლიოთეკართა ექსკურსია ბოლბის დედათა მონასტერში. მათ დაათვალიერეს აგრეთვე გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი პატარძელში. თბილისში ექსკურსანტებმა მონახულეს წმინდა სამების საკათედრო ტაძარი.

კვირული მცხეთის საბიბლიოთეკო გაერთიანებებში (ღირექტორი თ. გარსევანიშვილი) გაიხსნა 17 მაისს, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, რომელიც 120 წელს ითვლის. ამ დღეს თავიანთი ნამუშევრების გამოფენა მოაწვევს მცხეთელმა მხატვრებმა: მაკა გურაშვილმა, მარიამ ქუქჩიშვილმა და ანა ნოდიამ. მათგან მაკა გურაშვილს ადრეც ჰქონდა პერსონალური გამოფენა თბილისში, რის შესახებაც თავის ღრობე იუწყებოდა ჟურნალი „ელიგა“. 18 მაისს შედგა მწერალ ვალერიან მამუკელაშვილის წიგნის „სიკეთის ათინათები“ პრემიენგაცია. მწერლის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ილია ბარამიძემ, ალექსანდრე დიდუბაშვილმა, მანანა ლუმბაძემ და სხვებმა. 19 მაისს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა მწერალ ღათო გურაშვილთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მცხეთის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ნანული თათარაშვილი, ს/ბ-ს ღირექტორი თ. გარსევანიშვილი, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის



II – ხორგუაშვილი ეთერი – №9 საშუალო სკოლის მე-10 კლ. მოსწავლე

III ადგილი გაიყვეს ლალი მეგრეველმა და თეონა გელაშვილმა. ხაშურის №2 ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს მკითხველთა ლიტერატურული საღამო „ათინათი“. 22 აპრილს აქ ხაშურის №7 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ზოია ნობაძემ წაიკითხა ლექცია „ფუსტები – საეკლესიო სიწმი-



დირექტორის მოადგილე ქ. ნიკურაძე.

მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკაში მცხეთის №1 საშუალო სკოლის პედაგოგმა დოლო ბრაჭულმა მოამზადა და ჩაატარა „გაკვეთილი ბიბლიოთეკაში“, ბიბლიოთეკაში მოეწყო IV კლ. მოსწავლის მარიამ წიკლაურის ნამუშევრების გამოფენა. დიდი ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ ჟურნალ „დილას“ 100 წლისთავთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა ჟურნალის რედაქტორი დოლო წიფვივაძე.

ვაზიანის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალმა (გამგე ნ. ბუთხუბი) სკოლის ბიბლიოთეკასთან ერთად ჩაატარა გ. ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. გალაკტიონის ლექსები წაიკითხეს ძმებმა ბაბა და ვალერი ბარიძეებმა, თ. ლოლობერიძემ, ს. სააკაძემ, თ. ბუთხუბმა და სხვებმა. ძველი ქანდის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. თათარაშვილი) მოეწყო ლიტერატურის გამოფენა ფაშიშვლე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით. აგრეთვე გამოფენა თემაზე „ქართლის ჭირის მოზიარე“ – დ. გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლის აღსანიშნავად. 17 მაისს ჩატარდა საღამო „სანთელივით ცაღ აწვდილი დავით“. საღამოს მონაწილეთათვის მოეწყო ექსკურსია მცხეთის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად.

გარდაბნის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 28 აპრილს მოეწყო საქართველოს კულტურის სამინისტროდან გადაცემული წიგნების გამოფენა. კვირული გახსნა რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის განყოფილების უფროსმა თამარ ქვათაძემ. 6 მაისს მოეწყო შეხვედრა ქართული და ამერბაიჯანელი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, მოწვეულნი იყვნენ ზემზა მედულაშვილი, ამერბაიჯანელ პოეტ შურედინ მამედლი. მათ უპასუხეს მკითხველთა შეკითხვებს, წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

10 მაისს ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა უმასპინძლეს რაიონის ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლებს. შეხვედრას ესწრებოდნენ კოჯრის, სართიჭალის, კუმისის, გამარჯვების, ფონიჭალის, ახალი სამგორის ბიბლიოთეკის გამგეები, მათ გულთბილი შეხვედრა მოუწვევს სამგორის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლების ბიბლიოთეკის გამგეს დავით გოგსაძეს, რომელსაც წელს 80 წელი შეუსრულდა, აქედან 45 წელი მან ბიბლიოთეკაში იღვაწა.

გურჯაანის რაიონის მთავარი ბიბლიოთეკა, რომელმაც ბოლო წლებში მნიშვნე-



ლოვანი სასიკეთო ცვლილებები განიცადა, ყოველთვის ღირსეულად აღნიშნავდა კვირულებს. ამჯერად ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ხალხური პოემის საღამო. მონაწილეობდნენ ხალხური მთქმელები, გურჯაანის



სახელმწიფო ანსამბლი „გურჯაანი“. საინგერესო ღონისძიებები ჩატარდა მელაანის (გამგე ც. ჯავახიშვილი), კალაურის (გამგე მ. მამათელაშვილი), ჩუმლაყის (გამგე ნ. ომარაშვილი), ვაზისუბნის (გამგეები: ბ. არჩილოვა, ი. კაკიაშვილი), ველის ციხის (გამგე ც. თათულაშვილი), კაჭრეთის (გამგე ქ. ჯავახიშვილი), ვეჯინის (გამგე ნ. არღაბიშვილი) – სასოფლო ბიბლიოთეკებში. სოფლების ჯანდარისა და ძირკოკის ბიბლიოთეკებმა (გამგეები ლ. ლაბიშვილი, ნ. სეფიაშვილი) შეხვედრა მოუწვევს სოფლის მკვიდრ პროფ. სოსო მახარაშვილს. ძირკოკელმა ს. მახარაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა გურჯაანულ ახალგაზრდების განათლების საქმეში. კარდენახის ბიბლიოთეკარებმა ნ. მჭედლიშვილმა და მ. ჩალათაშვილმა შეხვედრა მოუწვევს ომის მონაწილეებს; სოფ. ვაჩნაძიანისა და კახიფრის ბიბლიოთეკებმა (ნ. კასრელიშვილი, დ. ბენიძე) ჩაატარეს საბავშვო დღი, რომელიც მიეძღვნა ა. წერეთლის დაბადებიდან 165-ე წლისთავს. საინგერესო ღონისძიებები ჩატარდა შაშიანის (გამგე ნ. ხახანაშვილი), არაშენდის, ქოდალოს, ნანიანის, ჯიბითის სასოფლო ბიბლიოთეკებში, კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკებს გვერდით ედგნენ რაიონის გამგეობის წევრები, კულტურის განყოფილების გამგე თინათინ ბარდიაშვილი, გამგებლის მოადგილე მაგდა ჩახვაშვილი და სხვები.

ასპინძის საბიბლიოთეკო გაერთიანების (დირექტორი ვ. შეყილაძე) თითქმის ყველა ბიბლიოთეკამ მიიღო მონაწილეობა კვირეულის ჩატარებაში. საინგერესოდ აღნიშნა კვირეული ხიზაბავარის, რუსთავის, გოლოშის, საროს, დამალოს, ფიის და სხვ. ბიბლიოთეკებში. დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. გაიმართა ლიგერაგურულ-მუსიკალური კომპოზიცია – „წიგნი, ბიბლიოთეკა, მკითხველი“, ღონისძიებას ალაამაზებდა სამუსიკო სკოლის პედაგოგთა ვოკალური ჯგუფის მიერ შესრულებული სიმღერები. ღონისძიებას ესწრებოდა რაიონის გამგებელი კ. ბუცხრიკიძე.

სენაკის საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი ც. ხორავა) მუდამ ყურადღებას იქცევდა მაღალი გემოვნებით შერჩეული და დახვეწილი საბიბლიოთეკო ღონისძიებებით. 14 აპრილს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა



სამეცნიერო კონფერენცია „ენა წარსულის მოწმე და მომავლის მშობელი“. ძველი სენაკის მე-14 ფილიალში მოეწყო ქიული შარგავას გმირობისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია. ფოცხოს №17 და №18 ბიბლიოთეკა-ფილიალებმა ჩაატარეს პოეზიის საღამო, ხოლო ხორშის №9 ფილიალმა გამართა მეგრული ფოლკლორის საღამო. ღონისძიებები ჩაატარეს ლელაძამის, უშაფათის, ნოსირის, გეჯეთის, ჭალაღიდის, ეკის, ბანის, ბიბლიოთეკა-ფილიალებმა. კვირეული დაიხურა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ღონისძიებით „ქართული კინოსა და სცენის ჯალოქარი“, რომელიც მიეძღვნა აკაკი ხორავას დაბადებიდან 110-ე წლისთავს. დახურვის ცერემონიალს ესწრებოდა რაიონის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ი. კუპრეიშვილი, რომელმაც სიგელებით დააჯილდოვა ბიბლიოთეკარები.

შუახევის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების



თიანება (ღირექტორი მერი თურმანიძე) ჯერ კიდევ მარტში შეადგინა კვირეულის ღონისძიებათა პროგრამა. კვირეული გაიმართა თითქმის ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალში. 19 მაისს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ფოლკლორის საღამო თემაზე „ნენეს ბორჩხით გადარჩენილი ქართული სიგყვა“. ღონისძიებას ესწრებოდა გამგებელი ლ. ქამადაძე, აჭარის კულტურისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, პრესა-გელევიზია. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ბეპირისტიკვიერების ძველი და ახალი ნიმუშები, ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო ბიბლიოთეკართა ნამუშევრების გამოფენა. საინტერესო ღონისძიებებით აღინიშნა კვირეული სოფ. დღვანის ბიბლიოთეკა-ფილიალში (გამგე შ. ფუტყარაძე), მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები. „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ამ თემატიკაზე აგებული ღონისძიება სანახაობრივად მიმზიდველი გამოდგა. ღონისძიებას უძღვებოდნენ შ. ფუტყარაძე და პედაგოგი მანანა ტარიელაძე. ღონისძიებისათვის მასალა შეარჩია პედაგოგმა ნ. ფუტყარაძემ.

მრავალი საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა ბიბლიოთეკების კვირეული **ხარაგაულის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში** (ღირექტორი იზა ვეფხვაძე). ცალკეულ ბიბლიოთეკებში მოეწყო შეხვედრები რაიონის ხელმძღვანელობასთან, ომის ვეტერანებთან, შემოქმედებით

ინტელიგენციასთან.

საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საბავშვო დილა „ჩემი საყვარელი ლექსი“, ბავშვებს შესაძლებლობა მიეცათ გამოემქლავნებინათ თავიანთი ნიჭი და უნარი. ბიბლიოთეკასთან შექმნილმა სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა (ხელმძღვანელი ი. ვეფხვაძე) შეხვედრა მოუწყო მწერალ გურამ დოჩანაშვილს. კვირეულის პროგრამით მოეწყო ექსკურსიები, ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა წიგნები.

ჭიათურის საბიბლიოთეკო სისტემაში (ღირექტორი თ. მასხარაშვილი) ღონისძიებები ჩატარდა როგორც ცენტრალურ, ასევე ფილიალურში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოუწევს ჭიათურელ პოეტებს: იზო ცარციძეს, აბა წერეთელს, დოდო აბაშიძეს, ნიამ აჭარაძეს, პეტრე ჯაჯანიძეს, ივერი თაბაგარს, ბონდო მუმლაძეს.

მე-2 და მე-3 ბიბლიოთეკებში (გამგეები გ. გოგშელიძე, ნ. ტყემალაძე) მოეწყო შეხვედრა ომის ვეტერანებთან. მე-7 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ბარელიძე) ჩატარდა ხალხური პოეზიის საღამო. მე-5 საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე ც. მუმლაძე, ღირექტორი ნ. ჩუბინიძე), №1 სამუსიკო სკოლასთან ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა №6 საბავშვო, №1 საქალაქო (გამგეები რ. ნოზაძე, ლ. შეყილაძე), №9 საქალაქო (გამგე მ. გოგესაშვილი) ბიბლიოთეკებში. პირველის 56-ე სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. გურაბანიძე) ჩატარდა ბეპირი ქურნალი „სიბრძნე ცოდნისა და კითხვის შესახებ“. მკითხველთა დასწრებით გამოირჩეოდა ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდა კაცხის 23-ე (გამგე ს. ჩაგილიშვილი), რგანის 30-ე (გამგე ლ. ყიფშიძე), ღვითორის (გამგე ლ. ღამბაშიძე), ზოდის 17-ე (გამგე ნ. თაბაგარი) ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

ბაღდათის საბიბლიოთეკო სისტემაში (ღირექტორი თ. მასხარაშვილი)



რექტორი ა. ყიფიანი) ძირითადად ჩაგარდა ლიგერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები – მამული, ენა, სარწმუნოება. ამგვარი ღონისძიებები ჩაგარდა: ღიმის, ობხის, ვარციხის, ფერსათის ბიბლიოთეკა-ფილიალებში. კვირეული შეაჯამეს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა №1 საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს დ. ებანოძეს. ღონისძიებების ჩაგარების საუკეთესო ორგანიზატორებად მიჩნეულ იქნენ ღიმის №1 და №2 ფილიალის გამგეები ლ. მალლაკელიძე და ც. ზირაქიძე.

საინტერესო პროგრამით წარსდგა მკითხველთა წინაშე **თერჯოლის საბიბლიოთეკო სისტემა** (დირექტორი ნ. არეშიძე). წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 23 აპრილს მოეწყო წიგნის ბეიმი. სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებიდან საინტერესო იყო ახალთერჯოლის სას. ფილიალის ღონისძიება „გალაკტიონი“. ენის, მამულის, ისტორიის, ფოლკლორის, საგროფილო ლირიკის, სარწმუნოების თემატიკას მიეძღვნა ღონისძიებები ღვინკითის, ჭოგნარის, კვახჭირის, ქვედა ალისუბნის, ზედა და ქვედა სიმონეთის, რუფოთის, ეწერის, გელეფის, ზედა საზანოს ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

კვირეულის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიხსნა **საგარეჯოს** ახლადშერემონტებული რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა (გამგე ვერიკო კერაგიშვილი). როგორც ადგილობრივი გაზეთი „ივრის განთიადი“ იუწყება, 1 აპრილს აქ ჩაგარდა იუმორისტული საღამო. სტუმრებს შორის იყვნენ გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი, მწერალ რ. ინანიშვილის მეუღლე რ. ინანიშვილი. 1 აპრილს აქ, ფაქტობრივად, დაიწყო საბიბლიოთეკო კვირეული.

მეგად საყურადღებო იყო **მესტაფონის რაიონის** განათლების განყოფილებისა და სკოლების ბიბლიოთეკების მიერ გამართული ხალხური პოეზიის საღამო, რომელიც 15 ივნისს

ჩაგარდა სახელმწიფო თეატრში.

რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ნახული კაპანაძე) ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაგარდა. 25 მაისს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო პოეზიის საღამო. საბავშვო ბიბლიოთეკებმა ჩააგარეს ლიგერატურული დღია „წიგნი ცოდნის წყარო“. ზედა საქარის სასოფლო ბიბლიოთეკებმა ჩააგარეს ლიგერატურული საღამო „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე ე. ქათამაძე) ჩააგარა ლიგერატურული საღამო „წიგნი და მკითხველი“. ზედა საქარის საკრებულოს თავმჯდომარემ ი. ფერაძემ №19 ბიბლიოთეკას საჩუქრად 150 ლარის ღირებულების წიგნები გადასცა.

სამეიმო ვითარებაში ჩააგარეს ღონისძიებები ილემის, ცხრაწყაროს, ქვედა საქარის, ალავერდის, პირველი სვირის, ქვედა საზანოს ფილიალებში.

საქართველოს რაიონებში ჩაგარებული ღონისძიებებიდან ჩვენ შევძელით მხოლოდ ნაწილი წარმოგვედგინა, მაგრამ ისიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი მასშტაბის და როგორი შინაარსის ღონისძიებებით აღინიშნა ბიბლიოთეკების ეს დიდი ფორუმი. ისევე, როგორც წინა წლებში, ბიბლიოთეკების კვირეულში გამორჩეული ადგილი საჯარო ბიბლიოთეკებს უკავიათ. წლითიწლობით ამ ღონისძიებებში ერთვებიან სხვა უწყების ბიბლიოთეკებიც, განსაკუთრებით სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლებისა, მაგრამ რედაქციას ხელთ არა აქვს მასალები მათ შესახებ. ვფიქრობთ, ამ ბიბლიოთეკების დამფუძნებლებმა უფრო მეტად უნდა იმზუნონ ამ ღონისძიებათა გაშუქებისათვის. ჩვენ ხელთ მეტად მწირი ინფორმაციაა, თუმცა ზოგი გამონაკლისიც არის. ასე მაგალითად, საინტერესო მასალები მოგვაწოდა თბილისის 36-ე სკოლის ბიბლიოთეკის გამგემ მზია ფიფიაძე. იგი გვაგვამობინებს, რომ სკოლის ბიბლიოთეკამ მე-6 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით საინტერესოდ მიმოიხილა საბავშვო ლიგერატურა, როგორც



კლასიკური, ისე თანამედროვე. მოსწავლეებმა თ. არეშიძემ, ა. შენგელიამ, ს. ირემამვილმა, მ. ფიფიამ და სხვებმა საბავშვო ლიგერაგურის საკმარისი ცოდნა და კრიტიკის უნარი გამოამჟღავნეს. მათ დამსწრეთ თვალწინ გადაუშალეს მთლიანი სურათი ქართული საბავშვო ლიგერაგურის განვითარებისა, რამაც მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

კვირეულის საბეიმო დახურვა გაიმართა 13 მაისს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. დახურვას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასშედიის წარმომადგენლები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია და კვირეულის ორგანიზატორი ორგანიზაციები. კვირეულის შედეგები შეაჯამეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გ. გაბაშვილმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კვირეულის საბეიმო დახურვაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, კულტურის მუშაკთა პროფკავშირებმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ ფულადი ჯილდოები გადასცეს ბიბლიოთეკართა ერთ ჯგუფს. ფულადი ჯილდოები გადაეცათ: ომარ შოთაშვილს, ქეთევან ნიკურაძეს, ლილი გარიელაშვილს, ლამარა თოდრიას, ელენონორა ბარდაძეს, ნანული გოგიას, თენგიზ ჯანგირაშვილს, თეკლე ვახტანგიშვილს, ლილფარ გეინალოვას, ცოსიკ ხაჩაგრიანს, ეთერი მამულაშვილს, დალი შოთაშვილს, მანანა მოსიძეს, ლალი ყაულაშვილს, ციცია მერებაშვილს, ბელა ახვლედიანს, ნანა ფირცხალავას, რუიზან კალმახელიძეს, ელისო მიქიაშვილს, მუნვერ ბერიძეს, რიგა წაქაძეს, მზია გოგონიძეს, ნანა აბრამიძეს, მედეა ბურკვაძეს, მანონი ხორავას, გუგული დემეტრაძეს, მარი ლორიას, ზაირა კაპანაძეს, ციური ჩანგლაძეს, ლელა კაცაძეს, ლელა გოცირიძეს.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

სამინისტრომ კვირეულის დახურვის დღეს თითო კომპიუტერი გადასცა 1. რუსთავის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკას; 2. აჭარის რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკას; 3. წყალგუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკას; 4. სიღნაღის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკას; 5. ყვარლის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკას.

კვირეულის დახურვაზე საპატიო სიგელები გადაეცათ ღვაწლმოსილ და ამაგდარ ბიბლიოთეკარებს, აღინიშნა, რომ კვირეულმა კიდევ ერთხელ ცხადყო ბიბლიოთეკართა შემართება, ერთუზიანობა, მზადყოფნა – ითანამშრომლონ როგორც ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მიმდინარე კვირეული, შედარებით წინა კვირეულებთან, გამოირჩეოდა ორგანიზებულობით, მკითხველთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით; ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბევრი ღონისძიება, რომელიც კვირეულის პროგრამით ჩაგარდა, ნაკარნახევი იყო სწორედ მკითხველთა მიერ. სწორედ ისინი ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას არა მარტო კვირეულის ორგანიზებაში, არამედ ცალკეულ ღონისძიებათა წარმართვასა და შეფასებაშიც.

ქურნალის სარედაქციო კოლეგია შენიშნავს, რომ აქ წარმოდგენილი მასალა მხოლოდ ერთი ნაწილია ამ ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა, რომლებიც ჩაგარდა აპრილისა და მაისის თვეებში. მასალები ცხადყოფენ, რომ კვირეული თვისებრივად, ფსიქოლოგიურად ამზადებს ბიბლიოთეკარებს, ამაღლებს მათ პასუხისმგებლობას და პოპულარიზაციას უწევს ბიბლიოთეკებს.

მიმდინარე კვირეულის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამ ღონისძიებებში სულ უფრო ორგანულად იყვნენ ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ალექსანდრე ლორია

ასურეთ-გაბილონელთა და ხეთების არქივ-ნიგნსაცავები

ასურეთის დიდი მბრძანებელი ასურბანიფალი (მეფობდა ძვ. წ. 669-633 წწ.) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის კულტურული აღორძინების საქმეს. ფლობდა რა უზარმაზარ სამხედრო მანქანასა და ეკონომიურ შესაძლებლობებს, საჭიროდ მიაჩნდა, უკვლავყო თავისი სახელი. თავს ღმერთის შვილად აცხადებდა და თავის თავზე ლაპარაკის დროს განსაკუთრებით უსვამდა ხაზს თავის განსწავლულობას: „ღავეუფლე ღმერთ ნაბუს სიბრძნეს... ავითვისე მთელი ხელოვნება დამწერლობისა, ყველა ოსტატის წერის ხელოვნებაო“.

ასურბანიფალის დროს ასურეთმა თითქმის ყველა მეზობელი დაიმორჩილა. დაპყრობილი ქვეყნები მუდმივად ჯანყდებოდნენ და ასურბანიფალის სიკვდილის შემდეგ კიდევაც დაამხეს ასურეთის მძლავრი იმპერია. ამან არსებული კულტურის შერყევა გამოიწვია და, ცხადია, დაზარალდა ასურბანიფალის დიდებული არქივ-წიგნსაცავიც, რომელიც მაშინდელ საგახგო ქალაქ ნინევიამი იყო მეფის კარზე.

XIX საუკ. შუა წლებში აქ წარმოებულმა გათხრებმა ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა. აღმოჩნდა არქივ-წიგნსაცავის ნანგრევები ათეულ ათასობით თიხის ფირფიგებით, რაც საშუალებას იძლევა ნათლად დავინახოთ, რაოდენ დიდი სამწიგნობრო კულტურა სუფევდა ამ მხარეში. აქ თავმოყრილი იყო სხვადასხვა დროის ასურული და ბაბილონური გეგმები ლურსმნული დამწერლობით. აღმოჩნდა როგორც ისტორიული, ისე რელიგიური, მაგიური, სამეცნიერო, აგრეთვე ლიგერატურული ნაწარმოებები.

მათ შორის – საყოველთაოდ ცნობილი მსოფლიო შედეგრი-ეპოსი „გილგამეშიანი“. აქ ორიგინალურ გეგმებთან ერთად, თავმოყრილი ყოფილა ნათარგმნი ლიგერატურაც. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, განსწავლულ მონარქს ბევრი უზრუნვია არქივ-წიგნსაცავის გამდიდრებაზე. ამგვარი დიდი წიგნანი მასის მოვლა-პაგრონობა, ფონდების დაცვა და მათი გამოყენება უდავოდ კარგ ორგანიზაციას მოითხოვდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ დაცული „წიგნები“ თიხის ფირფიგებს წარმოადგენდა, რომლებიც ხის ან თიხისავე ყუთებში თავსდებოდა და ისე ინახებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი ფართობი უნდა სჭეროდა მას. ამ ფონდის მუსგად გაწყობისა და აღნუსხვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საჭირო დოკუმენტის პოვნა. მაგერი-ალური წყაროებით არ არის დადასტურებული, როგორი კაგალოგებით სარგებლობდნენ ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში, მაგრამ არქივ-წიგნსაცავის ნანგრევებში აღმოჩენილი მასის გარჩევა-ანალიზი მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ აქ ფონდი სისგემატურად უნდა ყოფილიყო განლაგებული და ალბათ კაგალოგიც სისგემატური იქნებოდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, სისგემატიზაციის რანაირ სქემას იყენებდნენ. როგორც ჩანს, „წიგნებზე“ მიმაგრებული იყო თიხისავე ფირფიგები, რომლებზედაც ეწერა საწყისი სიტყვები, აგრეთვე იმ თავსოს დასახელება, რომელშიც დაცული იყო ეს დოკუმენტი და თაროს რიგი. ფირფიგები დამაგრებული იყო თარომეც. ფირფიგაზე ეწერა მოცემულ თარომეც დაცული მასალის დარგი.

როგორც ირკვევა, ეს იყო ჩვენთვის ამჟამად ცნობილი და საკმაოდ გავრცელებული მიმავრებითი სისგემის ერთ-ერთი ვარიანტი.

ნინევიის ბიბლიოთეკას თავისი თეგიც ჰქონია წარწერით: „ასურბანიფალის სასახლე. მეფეთ-მეფის, ასურეთის ქვეყნის ხელმწიფისა, რომელსაც ღმერთმა ნაბუმ და ღმერთმა გალისგამ მიანიჭეს მგრძნობიარე სმენა და მახვილი თვალი, რომ მოიპოვოს ჩვენი ქვეყნის მწერალთა ქმნილებები“.

სავარაუდოა, რომ მიუხედავად სიმკაცრისა, არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული ღოკუმენგების ხელყოფის ფაქტები, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო არ იქნებოდა მსგავსი გამაფრთხილებელი წარწერები: „ის, ვინც გაბუდავს წაილოს ეს ფირფიგები, დაე, დასაჯოს თავისი რისხვით აშურმა და ბელითმა, ხოლო მისი შთამომავლობის სახელი ამ ქვეყანაზე სამუდამოდ იქნეს დავიწყებას მიცემული!“

ნინევიის ბიბლიოთეკის ფონდების სიმრავლეზე მეტყველებს როგორც ნანგრევებში აღმოჩენილი თიხის ფირფიგები, ისე შემორჩენილი კაგალოგების ფრაგმენტები. ეს კაგალოგები XIX საუკ. ბოლოს დაიბეჭდა ლონდონში 5 ტომად. რაც შეეხება თვით ფირფიგებს, ისინი მთლიანად გადაიბიდა და დაცული იქნა ლონდონში. მათ შორის „გილგამეშიანის“ კარგად შენახული კომპლექტი.

შუა მდინარეთში მყარი სახელმწიფოებრივი პომიცია არასოდეს ყოფილა. ასურეთ-ბაბილონური ურთიერთობები, მათი კულტურული მემკვიდრეობა ძნელად მღვარგასავლებია. უშუალოდ ბაბილონეთში საარქივო და საბიბლიოთეკო საქმიანობა განსაკუთრებული ყურადღების საქმე იყო. იყო დრო, როდესაც ბაბილონეთი არამც თუ ვინმეზე დამოკიდებული ქვეყანა იყო, თვითონ წარმოადგენდა ჰეგემონსა და მპყრობელს.

ბაბილონეთში ძალიან ადრე განვითარდა დამწერლობა. ბაბილონეთის სამეცნიერო-კულტურულ შედეგს წარმოადგენს ძვ. წ. 2100

წელს შექმნილი „მეფეთა ცხოვრების ნუსხა“, რომელშიც უძველესი ამბებია გადმოცემული.

ბაბილონეთში, როგორც სხვა არქაულ ქვეყნებში, გრადიციად იყო ქცეული ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრებისა და ქვეყნად მომხდარი ღირსშესანიშნავი მოვლენების დეტალური აღწერა. როგორც ცნობილია, ასურეთის დამპყრობლური ომები არასოდეს უვლიდა გვერდს ბაბილონეთს. ბაბილონი შუამდინარეთი უდიდესი კულტურის ქვეყანას წარმოადგენდა და მისი დამორჩილება მუდამ შედიოდა ასურეთის ინტერესებში, მით უმეტეს, რომ ბაბილონეთი ყველაზე ახლო მეზობელი იყო მისი და კულტურულად უამრავი რამ ჰქონდათ საერთო. ბაბილონეთი დაპყრობის შემდეგ არასოდეს ცხრებოდა და მუდამ იბრძოდა თავისუფლებისათვის. ძვ. წ. 689 წ. ასურეთის მბრძანებელმა სინაქერიბმა დაიმორჩილა ბაბილონეთი და მთელი შუამდინარეთის მარგალიტი – ქალაქი ბაბილონი მიწასთან გაასწორა; გახსნა ეფფრატის რაბები და წყლით დაგბორა ქალაქი. სინაქერიბის მემკვიდრეებმა შეარბილეს პოლიტიკა გამუდმებით მოჯანყე დაპყრობილ ქვეყნების მიმართ. განსაკუთრებით მოქნილად მოქმედებდა ასურბანიფალი, რომელმაც ბაბილონი საკმაო ხნით დაამოშინა და აღმშენებლობას მიჰყო ხელი – ააშენა სასახლეები, გაიყვანა არხები, აღმართა გაძრები, გააშენა ბაღები; შემოიკრიბა მოაზროვნე ადამიანები, პოეტები, მეცნიერები, სწავლულები, მაგრამ მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს გაეგრძელებინათ მისი პოლიტიკა. ძვ. წ. 626 წელს ბაბილონელებმა თავისუფლება მოიპოვეს. ქვეყანამ შეძლო ნაწილობრივ აღედგინა თავისი დიდება.

ბაბილონეთი განსაკუთრებით ძლიერ ქვეყანას მეფე ჰამურაბის დროს წარმოადგენდა (ძვ. წ. 1792-1750). მართალია, ცოცხა რამ ვიცით მისი სასახლის კარის არქივის დაცვის არსებობაზე, მაგრამ ისტორიულად ცნობილი ფაქტებისა და იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ცხოვრები-

სეული გრადიციების ანალიზი გვაფიქრებინებს, მეფე ჰამურაბის მაღალორგანიზებული ბიბლიოთეკა-არქივი უნდა ჰქონოდა, მით უფრო, რომ ამ პერიოდს განეკუთვნება სააღმშენებლო წარწერები, იურიდიული საბუთები, რელიგიური ტექსტები და სხვა, რომელთა დაცვა განსაკუთრებულ პირობებში მოხდებოდა.

„ბიბლიაში“ შემონახულია ცნობა იმაზე, რომ ბაბილონში წიგნსაცავები არსებობდა, რომლებშიც საარქივო მასალა და განძიც იყო დაცული. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ეკბაგანას წიგნსაცავი, მიდიის მხარის ციხე-ქალაქში¹.

შუამდინარეთში ბიბლიოთეკა-არქივები იშვიათობას არ წარმოადგენდა. სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ აქ ბიბლიოთეკები ყველა სასწავლებელს ექნებოდა, რომლებიც მრავლად იყო გახსნილი საკულტო დაწესებულებებთან. სასახლეებსა და ტაძრებში არსებულ ბიბლიოთეკებს „დაფების სახლებს“ უწოდებდნენ, ისიც უდავოა, რომ ამ ეპოქის ბიბლიოთეკებს საკმაოდ მაღალი დონის ორგანიზაცია და შრომის კულტურა ახასიათებს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ შუამდინარეთის ხალხთა გომობრივი ახლობლობა, ენათა მონათესავეობა, ეთნიკური სი-ახლოვე, მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა, კოლონიურ-მეგროპოლური ცხოვრების ხასიათი ხელს უწყობდა ერთიანი დიდი კულტურის შექმნას, რომელიც ცნობილია ბაბილონურ-ასურული (ასურულ-ბაბილონური) კულტურის სახელწოდებით. ამ კულტურას ერთობლივად ქმნიდნენ: შუმერები, ასურები, აქადიელები, ბაბილონელები და სხვანი, რომლებიც ათასწლეულთა განმავლობაში ავითარებდნენ საბიბლიოთეკო-საარქივო საქმეს და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს აარსებდნენ დიდი საცავების სახით.

ყოველივე ამას იმ დროს ცივილიზებულ ქვეყნებზე დიდი გავლენა ჰქონდა. ერთ-ერთ

ასეთს ხეობი წარმოადგენდნენ, რომლებიც ითვისებდნენ რა ირგვლივ არსებული ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობას, ქმნიდნენ თავისთავად, თვითმყოფად კულტურას.

ხეობის სამეფო ძვ. წ. II ათასწლეულში არსებობდა მცირე აზიაში – ანაგოლიის ფარგლებში. ჯერ რამდენიმე დამოუკიდებელი ქალაქისაგან შედგებოდა, შემდეგ – ძვ. წ. XVIII საუკუნეში მეფე ლაბარნა პირველმა, რომელიც ხეობის მამამთავრად ითვლება, შეძლო ხეობის ეთნოსური ქვეყნის ჩამოყალიბება. ხეობები ექიმებოდნენ ეგვიპტესა და ბაბილონეთს. განვითარების უმაღლეს დონესაც მი-აღწიეს, მაგრამ გამუდმებულმა ომებმა მას ძირი გამოუთხარა და ძვ. წ. 1200 წელს საბოლოოდ დაეცა.

1907 წელს თურქეთში, ანკარასთან შორი-ახლოს გათხრების დროს 10 ათასზე მეტი თიხის ფირფიგა აღმოჩნდა ბაბილონური ლურსმნული დამწერლობით. როგორც დადგინდა, ეს იყო ხეობის უძველესი დედაქალაქის არქივ-წიგნსაცავის ნანგრევები. შემდეგში კვლავ აღმოჩნდა 6 ათასამდე ფირფიგა და ბევრიც მიუკვლეველი დარჩა. თვლიან, რომ ასურბანიფალის ბიბლიოთეკის შემდეგ, ეს ბიბლიოთეკა ყველაზე დიდი უნდა ყოფილიყო არქალ ხანაში.

ხეობის კულტურაში განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი უჭირავს სწორედ დამწერლობით ძეგლებს, აგრეთვე ორიგინალურ არქიტექტურას, მონუმენტურ ხელოვნებას, ბარელიეფებს.

აქ თავმოყრილი ლურსმნული წარწერებიდან თავდაპირველად მხოლოდ ბაბილონური იქნა ამოკითხული, რაც შეეხება ხეთურ ნაწერებს, ისინი შედარებით გვიან გაშიფრეს. მათი უმრავლესობა შედგება რელიგიური ტექსტებისაგან – რიგუალები, ჰიმნები, ლოცვები, ღვთაებათა სიები, რელიგიური დღესასწაულების

¹ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: ლორია ა. „ბიბლიაში“ დაცული ცნობა ეკბაგანას წიგნსაცავის შესახებ: (გამოკვლევა) // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2001, №1. – გვ. 34-35.



აღწერა, მოგვების ტექსტები, აგრეთვე ასტროლოგიური ლიტერატურა. ხეთებს ბაბილონელთაგან უსარგებლიათ მდიდარი მათემატიკური ნაშრომებით. იყო შრომები სასამართლოს შესახებ. ვხვდებით ისტორიულ მასალასაც. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „მურსილისის ანალები“, რომლის ავტორია მეფე მურსილისი. ერთ-ერთ უძველეს პირველყოფილ ავტოგრაფულ ნაწარმოებს წარმოადგენს მეფე ხაგუსილის ავტობიოგრაფია. აქაა აღმოჩენილი კილას ეპოსური ნაწარმოების – პოემის ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს ღმერთების ბრძოლას ხელისუფლებისათვის და ათას ხუთასი წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ჰომეროსის პოემა. ვხვდებით ხეთების საყვარელ ჟანრს – იუმორისტულ-სატირული ხასიათის პაგარ-პაგარა მოთხრობებს, რომლებიც უმეტესად დასცინიან უნიათო მოხელეებს. აღმოჩნდა აგრეთვე „გილგამეშინის“ ნაწყვეტებიც. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია მეფეთა მაგიაზე. აღსანიშნავია მითოლოგიური ლიტერატურაც. ბოლო პერიოდის ხეთურ ლიტერატურას ნათლად ეგყობა ბაბილონური გავლენა. ხეთური ლიტერატურა ითვლება ერთგვარ შუალედურ რგოლად ბაბი-

ლონურ და ბერძნულ ლიტერატურას შორის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხეთური ტექსტები უმეტესად გამორჩევა ნაშრომზე ავტორის მითითებით; საყურადღებოა ხეთი ავტორების მიერ შექმნილი ბიბლიოთეკარებისა და არქივარქივებისათვის განკუთვნილი მეთოდიკური ხასიათის ლოკუმენტები ფონდის დაცვის შესახებ.

შემორჩენილია ბიბლიოთეკის კატალოგის ნაწილი. საგულისხმოა, რომ კატალოგებში მითითებულია „დაკარგული წიგნები“, რაც მეცხველებს ხეთების ბიბლიოთეკარქივების მაღალ მოწესრიგებულობაზე.

ხეთების დედაქალაქი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო, მაგრამ უმეტესად ამ როლს ხაგუსასი ასრულებდა. ეს ქალაქი ძვ. წ. XIII საუკუნეში მთლიანად შთანთქა ხანძარმა. ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, პოეტური ნაწარმოებები ხის ფირფიტებზე იწერებოდა¹, ამიგომაც მათი უდიდესი უმრავლესობა განადგურდა, თიხის ფირფიტები კი გადარჩა, თუმცა ისინიც საკმაოდ დამიანდნენ.

ჩვენამდე მოღწეული ფირფიტების უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის ამოკითხული.

¹ ეს ალბათ გამოწვეული იყო იმით, რომ საგარებლად მოსახერხებელი ყოფილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Володин Б.Ф. Всемирная история библиотек, – Сп.-Б., 2002. (серия библиотечка).
- Глухов А.Г. Судьбы древних библиотек. – М., 1992.
- Талалакина О.И. История Библиотечного дела за рубежом. – М., 1982.
- Library history. – 1995. – Vol 1. – №1.

გიორგი სარაჯიშვილი

„ლონ კიხოტი“ ოთხასი წლისა

„თავისუფლება უძვირფასესი სიკეთეა, ზეცისაგან კაცთა მიმართ ნაბოძები. არაფერი არ შეედრება თავისუფლებას: არც დედამიწის გულში დაფარული სიმდიდრე, არც ზღვის ფსკერში ჩაფლული განძი. თავისუფლებას და პატიოსნებას უნდა შესწიროს კაცმა თავი, რადგან ყველაზე უდიდესი სიღარიბე ამ ქვეყნად – მონობაა“.

სერვანტესი

მიგელ დე სერვანტეს საავედრა ნათლობის აქტით, 1547 წელს ალქალა-დე-ენარესში დაიბადა, გაღარიბებული იდალგოს მრავალშვილიან ოჯახში, რის გამოც მან ვერ მიიღო სრული განათლება. 1557-61 წლებში სწავლობდა ვალიადოლიდის იემუიგთა კოლეგიაში, შემდეგ – მადრიდში. იგი ესპანეთის უძველესი კეთილშობილთა შგოს წარმომადგენელია. შემორჩენილა გადმოცემები მისი წინაპრების რაინლობაზე და სახელოვან ამბებზე. ახალგაზრდობაშივე აღმოაჩნდა ლექსების კითხვის სურვილი და ამასთან ერთად მისწრაფება „საბრძოლო ცხოვრებისადმი“. 1569 წელს რომში გაჰყვა პაპის საგანგებო ელჩს, ერთი წლის შემდეგ კი სამსახური დაიწყო იგალიაში მყოფ ესპანეთის ჯარში, სადაც 5-6 წელი დაჰყო. მოიარა იგალიის მრავალი ქალაქი, გაეცნო ქვეყნის კულტურას, შეისწავლა ენა. 1571 წელს მონაწილეობა მიიღო ევროპის ფლოგის ბრძოლაში თურქეთთან, თავი გამოიჩინა ლეპანტოს შეტაკებაში. ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა აღმოჩნდა გააფთრებული ომის შუაგულში,

ლონ-ხუან ავსტრიელის ღრმის ქვეშ. იმყოფებოდა საშიშ ადგილებში და იბრძოდა „ჭეშმარიტი პოეტური შემართებით“, დაიჭრა ოთხჯერ, რის გამოც მესინას ჰოსპიტალში მთელი გამთარი იწვა. მკლავში დაჭრილი, ხეიბრად დარჩა. მიიღო მონაწილეობა ესპანელთათვის უიღბლო ომში – გუნისის ექსპედიციაში. იქიდან დაბრუნებული, პოლიტიკურ შეხედულებებზე სრული შეგნებით და დარწმუნებით, გაემართა ახალ ლაშქრობაში – ალჟირში. თურქების მიერ იქნა აყვანილი ცყველ და წაყვანილი ალჟირში. მეკობრეებმა მონად მიჰყიდეს ალჟირის ფაშას. აქ ის მძიმე შთაბეჭდილებების ქვეშ აღმოჩნდა იმის გამო, თუ როგორ ექცეოდნენ ესპანელებს. არაადამიანურ მუსულმან მბრძანებელს ესმოდა მისი ცყველ მნიშვნელობა, იგი არ კარგავდა იმედს ღიღი რაოდენობის გამოსასყიდი თანხის მიღებაზე, რაკი სერვანტესს ღონ-ხუანის სარეკომენდაციო წერილები აღმოუჩინეს. ცყვეობაში ყველა მისი გეგმა და ჩანაფიქრი წარუმატებლად მთავრდებოდა. სერვანტესს არა ერთხელ ელოდა სიკვდილით დასჯა. ერთ ხანს გალერბეც კი მოხვდა, არავის და არაფერს არ შეეძლო გაეჩერებინა მისი თავგამოდება. ასეთ ცხოვრებას ეწეოდა იგი 1580 წლამდე, სანამ არ მოხდა მისი ფულით გამოსყიდვა, რომელიც ერთმა ბერმონაზონმა შეაგროვა ვაჭართა შორის.

ხუთი წლის მძიმე ცყვეობის შემდეგ, სილაგაკემ აიძულა კვლავ ჯარში ემსახურა. მომდევნო სამი წელი პორტუგალიაში ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას. შემდეგ საბოლოოდ სამხედრო სამსახურიდან გადადგა, რადგან მეგად

ძნელი გვირთი აღმოჩნდა მისთვის. მცირელი გროშის არ მქონე, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი, ეძლევა ლიგურაგურულ საქმიანობას. სერვანგესის ბიოგრაფი შალი წერდა: „... ოცნებით გაგაცეხულ პოეტს ცხოვრების გამოცდილება აკლდა და ვერც სამხედრო სამსახურიდან და ვერც თავისი ნაწარმოებიდან ვერ ისარგებლაო“. მოწაფეობაში დაწერილ პირველ ლექსებს, სონეტებს, ეპიგრაფებს, ელეგიას, პასტოლალურ პოემებს, მოსდევდა დიდი რაოდენობა პიესებისა, რომლებსაც წარმატებები არ ჰქონია, რადგან ლოპე დე-ვეგასთან მოუწია კონკურენცია. ლუკმა პურის ძებნაში, მომავალი „ღონ-კიხოგის“ ავტორი იძულებულია შევიდეს ინტენდანტის სამსახურში – „უძლეველი არმაღის“ სურსათით მომარაგება ევალება. ამ საქმეში იგი განიცდიდა დიდ წარუმატებლობას, ოფლს ღვრიდა ინლოეთის ფლოტის მომარაგებისათვის. დადიოდა ესპანეთის ქალაქსა და სოფელში, არ გოვებდა კუთხე-კუნჭულს სურსათის აღმოჩენისათვის. ხვდებოდა გლეხებს, ვაჭრებს, მწყემსებს, მეფუნდუკეებს, ბერებს... ეცნობოდა ესპანეთის ყველა კუთხის ყოფას, მზე-ჩვეულებებს, ადამ-წესებს. ხარკის აკრეფა უჭირდა, ანგარიში ერეოდა, ვალები ეღებოდა. საქმეში სრულ უნიჭობას ამჟღავნებდა, არაპრაქტიკულობის გამო ვერ ახერხებდა ეწარმოებინა საანგარიშო სამუშაოები, აწყდებოდა სხვადასხვა უსიამოვნებებს. მის წინააღმდეგ აღიძრა საქმე სასამართლოშიც კი და სამჯერ მოუხდა ციხეში ჯდომა – 1592, 1597 და 1609 წლებში.

ყველა დროის საუკეთესო ნაწარმოები, თითქმის ყველა ხალხთა ენაზე თარგმნილი, იშვიათი ბედის აღმოჩნდა – 1604 წელს დაწერილ „ღონ კიხოგის“ პირველ ნაწილს, 1605 წელს გამოქვეყნებისთანავე უდიდესი წარმატება მოჰყვა ესპანეთში. სულ რაღაც რამდენიმე კვირაში მოხდა პირველი გამოცემის „გაფანტვა“. იმავე წელს შეიქმნა აუცილებლობა ოთხი გამოცემისა. მაღრიდში საფრანგეთის წარმომადგენლობას არ ჰყოფნიდა სიტყვები იმასთან

დაკავშირებით, თუ რა გამოიწვია „ღონ კიხოგმა“ ფრანგებს შორის. მეორე ნაწილი 1604-16 წლებს შორის გაჩნდა.

1605 წლიდან მოყოლებული 1857 წლამდე, 252 წლის მანძილზე სხვადასხვა ენებზე „ღონ კიხოგი“ 400-ჯერ გამოიცა: ინგლისურზე – 200-ჯერ; ფრანგულზე – 168-ჯერ; იტალიურზე – 96-ჯერ; პორტუგალიურზე – 13-ჯერ; პოლონურზე – 8-ჯერ; დანიურზე – 6-ჯერ; რუსულზე – 2-ჯერ; ლათინურზე 1-ჯერ. ქართულ ენაზე კი იგი თბრგმნა სამოგადლო მოღვაწემ ნიკო ავალიშვილმა და პირველი 32 თავი 1869-71 წლებში „მნათობში“ დაბეჭდა, რომელსაც თავად რედაქტორობდა, ხოლო მისივე თარგმნილი პირველი წიგნი დორეს სურათებით, გექსტი შედარებული გიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე ჯავახიშვილის დახმარებით, 1906 წელს გამ. „ცნობის ფურცლის“ პრემიად დაბეჭდა „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობამ“. მეორე წიგნის გამოსცემა ნ. ავალიშვილმა ვერ მოასწრო და ხელნაწერად დარჩა. ორივე ტომი შეიცავდა დაახლოებით – 1700 გვერდს, 300 სურათით, – წერდა 1904 წელს გამ. „ცნობის ფურცელი“ ხელმომწერთა საყურადღებოდ ანონსში და აქვეყნებდა კოტე გულისაშვილის საინტერესო წერილს – „ესპანელი მწერალი სერვანგესი და მისი რომანი „ღონ კიხოგი“.

1598 წლიდან თითქმის არავითარი ცნობა არ არის სერვანგესის შესახებ. ბოლოს, 1603 წელს გამოჩნდა ვალიადოლიდასში, სადაც კერძო საქმეებს მოჰკიდა ხელი, ცოგათოლენი გასამრჯელოს მისაღებად. 1605 წელს რომანის პირველ ნაწილს „მთელი ესპანია დიდის ამბით მიეგება“, მაგრამ „ავტორის ნივთიერი მდგომარეობა არაფრით არ გააუმჯობესა“. (კოტე გულისაშვილი). ამან მგრებიც ბევრი შესძინა: დასცინოდნენ, ცილს სწამებდნენ, ღვინდნენ და „ვინ იცის კიდეც, რას არ სჩადიოდნენ, იმისი მგრები“. მიუხედავად ამისა, სერვანგესს თავი არ დაუნებებია წერისათვის, არ შეუწყვეტია უკანასკნელ დღემდე. მოთხრობები, დრამა-

გული ნაწარმოებები, პოემები ავტორის სიცოცხლეშივე ბევრი გამოიცა, ბევრიც მისი გარდაცვალების შემდეგ, ზოგიერთმა კი ვერ მოაღწია ჩვენამდე.

სერვანტესის შემოქმედების მწვერვალი და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილებაა რომანი „მახვილგონიერი ილალოლონ კიხოგ ლამანჩელი“. „მაშინ, როცა ინკვიზიციის სასტიკი ცენზურა ახშობდა თავისუფალ აზრს, სერვანტესმა უძლიერესი მხაგრული სიმართლით ასახა დიდი ისტორიული ეპოქა მთელი თავისი წინააღმდეგობებით, მოგვცა ამ ეპოქის მრავალფეროვანი სურათი“ (მერი გიგინიძე). „ღონ კიხოგში“ თითქმის სავსებით იხატება სერვანტესის გენიოსური ნიჭი. „ღონ კიხოგი“ სასაცილოა, მაგრამ სასაცილო გენიოსის ხელით დახატული“. (კოტე გულისაშვილი).

სერვანტესის გმირის სვე-ბელში გამოიხატება მთელი მსოფლიოს დაცინვა, რომელიც, ჰეინეს სიგყვებით, „ღმერთმა შეჭქმნა და დაამკვიდრა ამ ქვეყნად, ხოლო დიდებულმა პოეგმა თავის პაგარა ნაბეჭდ ქვეყანაში მიბაძა მას“.

„ღონ კიხოგში“ მკითხველს თვალწინ წარმოუდგება დაახლოებით 670 მოქმედი პირი, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ესპანეთის მაშინდელ ეპოქაზე. ესენი არიან სამღვდელთა წარმომადგენლები, გაიძვერა მეუღლები, რეგენი მოხელეები, მცონარა არისტოკრატები, ბაქია ჯარისკაცები, ბრიყვი და ყოყონა ექიმები, გაქნილი მეფუნდუკეები, მეჯორეები, კახა ქალები, მოხეგიალე მსახიობები, სგუდენგები, ავაბაკები, კაგორლელები და სხვ.“ (მერი გიგინიძე). ფ. შლეგელმა პირველმა შენიშნა მთავარი გმირების მნიშვნელობათა სიმბოლო: „ღონ კიხოგი – პოეზიაა, სანჩო – ცხოვრების პროზა“. რომანი თავიდან ბოლომდე დიალოგია რაინდსა და მის საჭურველმგვირთველს შორის. მათ საუბრებში ჰარმონიულადაა გადახლართული ამალელებული ჰუმანური აზრი და ხალხის სიბრძნე“. ღონ კიხოგი მსჯელობს განყენებულად, მალაღფარლოვნად,

რიგორიკული ფრაზებით, ღვლარჭნილი სტილით, რომანებიდან ნასესხები მოძველებული ენით. სანჩო კი ლაპარაკობს უბრალო, ცოცხალი ხალხის ენით, ანდაზებით, გამოცანებით, კალამბურებით, ნაკვესებით.... პანსას სახით ესპანეთის მწერლობაში პირველად გამოჩნდა ხალხის სალი ამროვნება, ღირსებები, უბალო კეთილშობილება“ (მერი გიგინიძე). „ღონ კიხოგი ცოცხალი სარკეა თავის შემოქმედების კეთილშობილი სულისა“, წერდა კოტე გულისაშვილი და მადრიდში შექმნილ „განსაკუთრებულ საიუბილეო“ კომისიის შესახებ აღნიშნავდა, თუ რა მზადება იყო 1905 წელს „ღონ კიხოგის“ 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით. დღესასწაულების პროგრამაში კომისიას დაუდგენია: 1. დაბეჭდოს აკადემიისაგან დამზადებული იაფფასიანი გამოცემა „ღონ კიხოგისა“, 2. ამავე თხზულებას გამოსცემენ შემოკლებულად გიმნაზიებისათვის და კიდევ უფრო შემოკლებით სახალხო სკოლებისთვის; 3. გამოაცხადებენ კონკურსს სხვა (წვრილ) ნაწარმოებთა კრიტიკულ გამოცემებისათვის; 4. თეატრებში წარმოადგენენ სერვანტესის სხვადასხვა პიესებს, უმთავრესი სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება „თეატრ ესპანოლ“-ში; 5. დადგენილი და განახლებული იქნება კაპელა Reletar ალქალის იმ გაძარში, სადაც სერვანტესი მოუნათლავთ; 6. დაადგინეს დაასრულონ სერვანტესის სახელობის მუზეუმი ალქალში. გარდა მუზეუმისა, ესპანელ მწერალთა და მხაგვართა კავშირი დააარსებს სერვანტესის სახელობის ინსტიტუტს, რომლიდანაც შრომის უნარ-ღაკარგული მწერლები და მხაგვრები შემწეობას მიიღებენ; 7. სერვანტესის სახელის პატივსაცემად გაიმართება საუნივერსიტეტო დღესასწაული და გამოსცემენ იმის სახსოვარ მეღლებს.

ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სერვანტესი, ესპანეთის კულტურის ისტორიაში „ოქროს საუკუნის“ სახელით არის ცნობილი. ამ ეპოქის უდიდესი მოვლენა იყო სერვა-

ნგესის შემოქმედებაც. რაზმეც ბელინსკი ამბობს: „ღაიწყო ახალი ერა ჩვენი უახლოესი ხელოვნებისაო“.

სერვანტესი „უანგარო ადამიანი იყო, არ შეეძლო სახელ-დიდებისთვის ემრუნა, ანდა გამაჯვების მოლოდინი ჰქონოდა. ხან აღგაცებული იყო, ხან მრისხანე, სრულიად დამონებული თვისთა მისწრაბებათაგან“. (შალი).

1609 წელს სერვანტესი წმინდა ზიარების მორჩილთა ძმობის წევრი გამხდარა, ხოლო 1613 წელს შესულა ფრანცისკელთა ორდენის გერციარიუმში (საერო, ნახევრად მონაზვნურ რელიგიურ ძმობაში). სიკვდილის წინ კი „სრული ხელდასმა“ მიიღო. რამდენიმე დღით ადრე თმა „ბერად“ შეუკრეჭია. ბერად აღკვეცილა. სერვანტესი ნათლობიდან 69 წლის ასაკში გარდაიცვალა მადრიდში, 1616 წლის 23

აპრილს. „დიდი იუმორისგის კუბოს ბედის ირონია თან სდევდა“ – საფლავს არ ჰქონია წარწერა და იგი დაკარგულა. სერვანტესი „ძმობის“ ხარჯით მონასტერში დაუსაფლავებიათ. დიდებულ ესპანელს ბედმა სიკვდილის შემდეგაც დიდხანს არ მიაგო ღირსეული პატივი. გარდაცვალებიდან 219 წლის შემდეგ, 1835 წელს, მადრიდში აუგეს ძეგლი ყველა დროის მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოების – „ღონ კიხოსის“ შემქმნელს, წარწერით: „მიგელ სერვანტესი საავედრას, ესპანელ პოეტთა მეფეს“.

გენიოსი მწერლის პორტრეტი, ის რომელიც დღესაა მიჩნეული, ეკუთვნის ინგლისელ მხატვარს უ. კენგს, ვისაც დაუხატავს სერვანტესი „სამოძღვრებო ნოველების“ პროლოგში მწერლისავე საკუთარი გარეგნობის აღწერის საფუძველზე.

ლიტერატურული ურთიერთობანი

კახაბერ ლორია

კნუტ ჰამსუნის „ზღაპრულ ქვეყანაში“

მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება ისეთი თავისებური ბიოგრაფიისა და ორიგინალური შემოქმედებითი ხელწერის მწერალი, როგორც ნორვეგიელი კნუტ ჰამსუნია. „ჰამსუნის ცხოვრება რომანს გვაგონებს“, – ირწმუნებოდა ერთი ნორვეგიელი ლიტერატურის ისტორიკოსი ჯერ კიდევ 1897 წელს. ამ განცხადების შემდეგ ჰამსუნმა 55 წელი იცოცხლა და მოესწრო როგორც შემოქმედებით აღიარებას (ნობელის პრემია 1920), ისე საკუთარ მორალურ-იდეოლოგიურ გაცამტვერებასაც – ძალზე ხანდაზმული და ნაციზმისადმი აშკარა სიმპათი-

ების გამო თავისუფლებისმოყვარე მშობელი ხალხისაგან ბურგშექცეული.

ისე როგორც მისი ცხოვრება, ჰამსუნის არაერთი წიგნიც იწვევს აზრთა სხვაობას და არაერთგვაროვანი წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა ქართველებს ამ მხრივ ყველაზე უფრო მაინც ერთი გვაინტერესებს: „ზღაპრულ ქვეყანაში – განცდილი და ნაოცნებარი კავკასიაში“. კავკასიაში ჰამსუნმა 1899 წელს პირველ მეულელსთან ერთად იმოგზაურა. გენიალური ნორვეგიელი მოგზაურობისას დღიურებს აწარმოებდა, რომელთა საფუძველზეც დროთა განმავლობაში შეიქმნა ეს საკმაოდ

თავისებური წიგნი, რომლის შესახებაც ცალსახა ამრი თავად ჰამსუნის სამშობლოშიც არაა ჩამოყალიბებული. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად მწერალს წიგნი წარმოედგინა მოგზაურობის გრადიციულ, ჩვეულებრივ აღწერად და მეტი დოკუმენტურობისათვის სურათებიც კი ჰქონდა შერჩეული. როგორც ჰამსუნის წერილიდან ჩანს გერმანელი მეგობრისა და გამომცემლის ალბერტ ლანგენისადმი, მწერალი იშვიათი თავდავიწყებით შესდგომია „კავკასიურ წიგნზე“ მუშაობას (ასე მოიხსენიებს ჰამსუნი თხზულებას მასალაზე მუშაობის პერიოდში). „ეს იქნება საუკეთესო რამ, რაც კი შემიქმნია“, – წერს მეგობარს უკვე საერთაშორისო აღიარების მქონე პროზაიკოსი, რომელსაც იმდროისათვის შექმნილი აქვს გენიალური ნაწარმოებები: „შიმშილი“, „მისგერიები“, „პანი“, „ვიქტორია“ და სხვა. საგულისხმოა, რომ წიგნზე მუშაობის რამდენიმე წლის განმავლობაში ჰამსუნმა შეცვალა არა მარტო მისი სათაური (აღსანიშნავია, რომ ნორვეგიულში სიტყვები: ნაოცნებარი და ნასიმბრალი ერთმანეთს ემთხვევა), არამედ პრინციპულად გარდაქმნა ნაწარმოების ქანრულ-ესთეტიკური სახეც, როგორც ჰამსუნის ნორვეგიული მკვლევარი მარტინ ნაცი შენიშნავს, „დოკუმენტურ-აქტუალურიდან მარადიულ-ეგზისტენციურამდე“.

„ზღაპრულ ქვეყანაში“ შეუძლებელია სრულფასოვნად იქნეს გააზრებული ჰამსუნის სხვა ნაწარმოებებთან მიმართების გარეშე. წიგნი 1903 წელს გამოიცა და ემთხვევა მწერლის შემოქმედების ე. წ. გარდამავალ პერიოდს. ის გარკვეულწილად საეგაპო წიგნია. ერთი მხრივ, დასრულებულია 90-იანი წლების ციკლი („შიმშილი“, „მისგერიები“, „პანი“ და ა. შ.), მაგრამ ჰამსუნის პროზაში ჯერ მხოლოდ იკვეთება ის კონტურები და გენდენციები, რომლებიც ჩამოყალიბებულ სახეს მის ე. წ. „მოხეცილის გრილოგასა“ და ხალხის ცხოვრების აღწერით განსაკუთრებულად გამორჩეულ ნა-

წარმოებებში („ბენონი“, „როსა“ და სხვა) მიიღებს. „ზღაპრულ ქვეყანაში“ რომ ყურადღება კავკასიაზე მიპყრობილი, ეს ნაწარმოების სრული სათაურიდანაც ნათელია. ერთგვარი შესავლის ფუნქციას ასრულებს პეგერბურგის ვლადიკავკაზამდე მგზავრობა (მოსკოვის გავლით), რომელიც საკმაოდ რეალისტურ ფერებშია გადმოცემული, თუმცა თან ახლავს არაერთი საოცარი „ლირიკული გადახვევა“, ასე დამახასიათებელი ამ თხზულებისათვის. საინტერესო და ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად პირველ პირში მონათხრობისა, მთავარი გმირის სრული გაიგივება კნუტ ჰამსუნთან მაინც არ ხდება. მისი სახელი და გვარი არსად ჩანს, ისევე როგორც არსადაა მითითება მოგზაურობის დროზე. მიზეზი იმისა, რომ ჰამსუნი „გვემალება“, წიგნისათვის მეტი უნივერსალობის მიცემის სურვილი უნდა იყოს. ამავდროულად, თხზულებაში მთლიანადაა მიჩქმალული მთავარი გმირის თანამოგზაურის ვინაობა. მხოლოდ ერთხელ, ისიც წიგნის დასაწყისში გაკრთება ინფორმაცია, რომ ის მთხრობელის ცოლია, შემდეგ კი აქა-იქ მოიხსენიება და ისიც მხოლოდ როგორც „მოგზაურობის თანამგზავრი“ ან „მოგზაურობის ამხანაგი“. არადა, ნუ დავივიწყებთ, რომ ამ მეგად გრძელი მოგზაურობის „ამხანაგად“ ჰამსუნს სწორედაც რომ სილამამით მომაჯადოებელი ის ბერგლიოგ ბეკი ჰყავს, რომლის მიმართაც არამარტო შეყვარებული, არამედ (როგორც მკვლევარები აღნიშნავენ და ჰამსუნის პოეზიაშიც ჩანს) პირდაპირ შეპყრობილი იყო ეროტიკული თვალსაზრისით. დაუჯერებელიც კია, რომ ადამიანი, რომლის მიმართაც „ზღაპრულ ქვეყანაში“ ჰამსუნი საოცრად ირონიულ და მოგვირგობილ და მოკიდებულებასაც ამქდავენებს, იგივე ქალია, რომლის ჰამსუნთან საქორწინო მოგზაურობისას იწერებოდა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უკვდავი ჰიმნი სიყვარულისადმი – გენიალური „ვიქტორია“ (1898 წ.). თუმცა, არაა გამორიცხული, ყოველივე შეგნე-

ბულ ლიგერატურულ არჩევანს უკავშირდებოდეს, რათა „ზღაპრულ ქვეყანაში“ უკეთესად წარმოჩნდეს თავად გმირი – მთხრობელი, მოხეციალე, მოგზაური...

მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში უკვე აღიარებული მწერალი იყო, რუსეთსა და კავკასიაში ჰამსუნმა ინკოგნიტოდ მოგზაურობა არჩია, რამაც გარკვეული კვალი დაამჩნია მის წარმოდგენასა და შთაბეჭდილებებს. ეს მომენტი ქართველ ლიგერატორებსაც აქვთ შემჩნეული, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლება „ზღაპრულ ქვეყანაში“ განვიხილოთ როგორც დოკუმენტური ნაწარმოები. ეს მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა იქნებოდა. ამ მხრივ ჰამსუნის წიგნი პრინციპულად განსხვავდება ფრიდრიხ ნანსენის მშვენიერი წიგნისაგან „კავკასიის გავლით ვოლგისაკენ“ (1925-41), რომელშიც მეორე დიდი ნორვეგიელი არსებითად იმავე მარშრუტს გადის, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით. ნანსენის წიგნისაგან განსხვავებით, ჰამსუნთან ერთმანეთში განუყოფლადაა გადაჯაჭვული ფაქტობრივად არსებული, სუბიექტურად განცდილი და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ნაოცნებარ-ნაოცნებარევი. შეიძლება ითქვას, რომ „ზღაპრულ ქვეყანაში“ გენიალური მწერლის მიერ მკითხველისათვის შეთავაზებული მორიგი ლიგერატურული „მისტერია“, რომლის „ამოხსნა“ მხოლოდ გრადიციული „მეცნიერულ-ლოგიკური“ მიდგომებით ძალზე გაჭირდება. ამ ფონზე გადაჭარბებით უარყოფითად არ უნდა შეფასდეს დოკუმენტური თვალსაზრისით ის აშკარა უმუსტობები და ზოგჯერ უხეში შეცდომებიც, რომლებსაც მწერალი თხზულებაში უშვებს. აკი წერდა კიდევ ამ წიგნის რუსულად მთარგმნელს: „... ნუ დაივიწყებთ, რომ უცხოელის თვალსაზრისი კავკასიაზე შეიძლება ბევრ რამეში მცდარი იყოს“, და თავად თხზულებაშიც აღნიშნავდა: „უფრო გარკვეულ შთაბეჭდილებას ვერ მიიღებ ქვეყანაზე, რომელსაც მაგარებლის ფანჯრებიდან ეცნობოდი“. მაგ-

რამ მხოლოდ მაგარებლის ფანჯრებზე როდია საქმე. ნანსენისაგან განსხვავებით, ჰამსუნს იმდენად კავკასია კი არა, მაინც მისი გმირის კავკასიასთან, შორეულ ეგზოტიკურ კულტურასთან შეხვედრა და ამ შეხვედრით აღძრული ფიქრები თუ ოცნება-სიმშრები აინტერესებს.

ჰამსუნის „ზღაპრულ ქვეყანაში“, რა თქმა უნდა, გარეგნული პლანი არსებობს და, მიუხედავად იმისა, რომ ისიც განცდა-შთაბეჭდილებებითაა სავსე, მაინც უშუალოდ უკავშირდება მოგზაურობის მარშრუტს. მაგრამ წიგნი არა მარტო აწმყოში განცდილის გადმოცემაა, არამედ იგი აღსავსეა „ცნობიერების ნაკადის“ მოძალებით და, აქედან გამომდინარე, განუწყვეტელი მონაცვლეობით დროში (და, შესაბამისად, სივრცეშიც). ეს მონაცვლეობა გადაწვდება მწერლის ბავშვობას ნურლანდში (ჩრდილო ნორვეგიაში), მის ახალგაზრდობას ამერიკაში, ბოლოდროინდელ ცხოვრებას ფინეთში და ა. შ. ასე რომ, გარკვეულწილად ეს არის მთხრობელის მოგზაურობა არა მარტო კავკასიაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავისსავე სულიერ სამყაროში და არ არის გასაკვირი, რომ ჰამსუნს მოგზაურობისას ძირითადად სწორედ ის ხვდება თვალში, რაც გამორჩეულად ეხმიანება მის სულიერ განწყობილებას.

ნიშანდობლივია, რომ ჰამსუნის პირველი კონტაქტები კავკასიასთან ღეგალებზეა აქცენტირებული, საერთოდ, ითვლება, რომ ჰამსუნის ღეგალის ოსგაგია და მისი სტიქია არ არის „ღისგანცია და პანორამა“. ეს არაა გასაკვირი, თუკი იმასაც გავისხეხებთ, რომ მას ბოგიერთები მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს იმპრესიონისტ (!) მწერლად მიიჩნევენ. ჰამსუნს აინტერესებს კავკასიელთა ჩაცმულობა და იარაღი. ჩაცმულობას თითქმის მთელი ნაწარმოების მანძილზე ექცევა ყურადღება. თუმცა „ზღაპრული ქვეყნის“ ფერი და გემო მარტო განსაცმლით არ აღიქმება. არმავირშივე იგემებს მთხრობელი ევროპელისაგან სრულიად გამორჩეულ ყურძენს. ეს „კავკასიური ყურძენია!“,



არცერთ სხვას რომ არ ჰგავს. ჰამსუნს უკვირს, როგორ მიირთმევედა აქამდე იმ „უბალრუკობას“, რასაც სხვა ქვეყნებში ყურძენს ეძახიან. არ შეიძლება არ აღინიშნოს მწერლის პოზიციური წინასწარგანწყობა კავკასიის მიმართ. „(მოგზაურობამდე) გარკვეული ღროის განმავლობაში კავკასიაზე ბევრი წიგნი წავიკითხეო“, – აცხადებს ერთგან მთხრობელი, მაგრამ ეს კეთილგანწყობა მარტო ამ წიგნებით ძნელად თუ აიხსნება. ჰამსუნი, სამოგადლო, კეთილგანწყობილია ყოველივე აღმოსავლურისადმი, ორიენტიზაციისადმი და ამას აქვს თავისი მსოფლმხედველობრივი მიზეზები. საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთში მწერალი არა მარტო სრულიად კავკასიას (ეს ხომ მისთვის სავსებით არაევერობული ქვეყანაა!), არამედ რუსეთსაც გულისხმობს და არაერთხელ ამქადაგებს დადებით დამოკიდებულებას სლავებისადმიც. უფრო მეტიც, ნაწარმოებში ეპითეტი „ზღაპრული“ მოსკოვის მიმართაცაა გამოყენებული („მოსკოვი ზღაპრულია!“), მაგრამ „ზღაპრული ქვეყანა“ არსად სახელდება გექსტში. ერთადერთი მინიშნება არის მხოლოდ წიგნის ბოლოს, სადაც ბათუმის მიღამობებზე იგყვის მთხრობელი: „საიგავო ქვეყანა“. თუმცა თხზულების სათაურიდან ცხადზე უცხადესია, რომ „ზღაპრულ ქვეყანაში“ ჰამსუნი სრულიად კავკასიას გულისხმობს. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი შეფასება მის შემოქმედებაში მშობლიურ ნურლანდსაც კი არ ღირსება. ის სხვადასხვა წიგნებში იხსენიება როგორც „ზრაპრული“, მაგრამ მწერლისთვის „ზღაპრულ ქვეყანად“ მაინც, მხოლოდ კავკასია დარჩა. სხვათა შორის, მეგად საყურადღებოა ის იდუმალი კავშირი, რომელიც „ზღაპრული ქვეყნის“ მთავარი გმირისთვის თავისი ბავშვობის მხარესა და კავკასიას შორის სამხრეთის მაღალ მთებში მას თავისი სამშობლო ელანდება: „ახლა ხომ საღამოა შინ, ნორვეგიაში, – ვფიქრობ მე, – და მზე ბევრ ადგილას ჩადის ზღვაში. ჩასვლისას წითელია მზე, მაგრამ შინ,

ნურლანდში ის კიდევ უფრო ბევრად წითელია ვიდრე სხვა ადგილებში...“ შეიძლება ითქვას, რომ ჰამსუნის მთელი მოგზაურობა საოცარი ნოსტალგიური გრძნობებითაა აღბეჭდილი – თითქოს ის თავის ბავშვობისაკენ მიიღვოდეს. განსაკუთრებით ეხება ეს ყაზბეგი-ღუშეთის მონაკვეთზე მგზავრობას, როდესაც მთხრობელი პირდაპირ შეპყრობილია მონაგრებით (ნუ დავივიწყებთ, რომ კავკასიაში მოგზაურობამდე ჰამსუნი მთელი ოცი წლის მანძილზე არ ყოფილა თავის ნურლანდში, მაგრამ ამ საოცარი მოგზაურობის დასასრულისთანავე, ფაქტობრივად, უკანმოუხედავად გაემგზავრა ბავშვობის მხარეში), თუმცა თავად სიგყვა მონაგრებას წიგნში ისევ მხოლოდ კავკასიასთან მიმართებაში თუ წავაწყდებით: „... და მე შევსვი წყალი, მდინარე მტკვრის წყალი და ეს იყო ყველაზე დიდი სიგიჟე, რადგანაც ვისაც ერთხელ მაინც მტკვრის წყალი დაუღვია, კავკასია ყოველთვის მოენატრება და გული უკან გამოუწევს“; მოგზაურობის დასასრულს კი კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ ამრს: „ხვალ ჩვენ კვლავ ბაქოსკენ და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მივემგზავრებით. ასე რომ მალე ამ ქვეყნის გარეთ ვიქნებით. მაგრამ ყოველთვის მომენატრება აქაურობა და გული აქეთ გამომიწევს. მე ხომ მტკვრის წყალი დამიღვია“. სინამდვილეში ჰამსუნი ბაქოში აღარ წასულა, გემით გაემგზავრა ბათუმიდან მაშინდელ კონსტანტინეპოლში (სავარაუდოა, რომ მწერალი ისევ გარკვეული ლიტერატურული მოსაზრებებით „გვიბნევს გზა-კვალს“). აქ არ შეიძლება გამოჩვენდეს არ შევეხოთ „ზღაპრული ქვეყნის“ ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს, რომელიც ნაწარმოებს კიდევ უფრო აშორებს დოკუმენტურობას და, მხატვრული თვალსაზრისით, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას. თბილისში, სასტუმრო „ლონდონში“ ჰამსუნის თანამგზავრი თითქმის ქურდულად კითხულობს მის დღიურს და გაოცებას ვეღარ მალავს: „კი მაგრამ, რომელი პოლიციელი შეგხვდა გზაში?“, – ეკი-

თხება ქალი მწერალს განცვიფრებით. „და არც იმ ჯირითის მჯერა მთებზე, კობის ახლოს,“ – დაამატებს შემდეგ, რითაც, ბუნებრივია, მთავარი გმირის აღფრთოვანებას არ გამოიწვევს. თუმცა, სავარაუდოა, რომ ჰამსუნის „მოგზაურობის ამხანაგის“ პირით აქ „ჩვენ“, ზედმეტად „რეალისტურად“ განწყობილ მკითხველებსა და ლიტერატორებს გვაძლევს აშკარა მინიშნებას და „ზღაპრული მხარის“ გასაამრებლად დამატებით მხატვრულ-თემატურ ინტრიგას გვთავაზობს. არ დაგვაფიწყდეს, რომ ნაწარმოებში თითქმის ოცჯერ (!) არის მოხსენებული ერთი უცნაური ავადმყოფობა – „კავკასიური ცხელება“, რომელიც კავკასიაში ფეხის შედგმისთანავე (!) „შეეყარა“ ჰამსუნს (საკითხის მეტი გაიდუმალებისათვის ნაწარმოების მიხედვით იგივე „ავადმყოფობა“ ჭირს ჰამსუნის ერთ მეგობარს, რომელიც ბაქოში მუშაობს. ამ უკანასკნელს კავკასიის გარდა ეს ავადმყოფობა არსად აწუხებს). ამ „ცხელებით“, როგორც ჩანს, აიხსნება მთხრობელის ცნობიერების „ღატორგუნვა“, რაც გზას უხსნის სიმბრისეულ ჩვენებებსა თუ ჰალუცინაციებს. ამგვარი წარმოდგენების კულმინაციაა სწორედ მთავარი გმირის საოცარი „თავგადასავალი“ კობის მიდამოებში. მისტიური სცენა, რომელიც ცხენის ხორცის სახალხო მირთმევით იწყება, თანდათანობით სულ უფრო შორდება ლოგიკურის ფარგლებს. ცოცხლის შემდეგ იღუმალ ღამეში გაუჩინარებული მხედარი (მთავარი გმირი) მთებს გადაივლის და ერთ განსაცვიფრებელ სოფელში აღმოჩნდება, სადაც, არც მეტი და არც ნაკლები, თურმე მაჰმადიანები ცხოვრობენ, მასპინძელს კი საკუთარი პაგარა ჰარემიც აქვს. აქ „უცხო მხედრის“ თავში ახალ-ახალი ფანტაზიები იღვიძებს – იგი შინაგანად თანაუგრძნობს კავკასიელ ქალებს, განსაკუთრებით კი მასპინძლის ყველაზე ღამამ ცოლს და დახმარების ხელს სთავაზობს ქალთა გათავისუფლების მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად. „უცხოელი მოგზაური ამ დაჩაგრულ არსებებს პაგარა ლექსსაც

კი უძღვნის, რომელიც შეიძლება მათი განთავისუფლების ჰიმნადაც იქცეს (!) ბუნებრივია, ყოველივე ამის აღქმა „ლოკუმენტური მონათხრობის“ პოზიციიდან სრულიად შეუძლებელია (მით უმეტეს, რომ თხრობის გონივრული შეურჩევია მწერალს, „სიცხისეულ ფანტაზიაზე“ რომ მიგვანიშნებს), ისევე, როგორც ნამდვილად არ ჰგავს სინამდვილეს მთავარი გმირის „დეტექტიური“ ურთიერთობა ებრაული სახის მქონე პოლიციის ოფიცერთან, რაც თითქმის მთელი მოგზაურობის განმავლობაში „მიმდინარეობს“ და „ზღაპრული ქვეყნის“ ერთიან კომპოზიციაში ერთგვარ „მცირემეტრაჟიანი“ რომანის სახეს ღებულობს, ამ ოფიცრის სახე თხზულებაში სულ უფრო და უფრო იღუმალი ხდება, რაც კი უფრო ხშირად ვხვდებით მას, და ნიშანდობლივია, რომ საბოლოოდ ნაწარმოებში არც ეს „მისტერია“ იქნება გახსნილი, ისე მოულოდნელად გაიყვანს მას ავტორი მოქმედების ასპარეზიდან.

როგორც უკვე შევნიშნეთ, ჰამსუნის „ზღაპრულ მხარეში“ თავისი (უფრო ზუსტად მთხრობელის) სულიერი განცდების გადმოცემით უფროა დაკავებული, ვიდრე საკუთრივ მოგზაურობის აღწერით, მაგრამ ადრეული შედეგებიდან („შიმშილი“, „ჰანი“, „მისტერიები“) განსხვავებით, რომელთა მთავარი გმირების გაიგივება თუ არა, დაკავშირება მაინც ასევე ადვილად შეიძლება ავტორის ფიგურასთან, „ზღაპრულ ქვეყანაში“ ჰამსუნს (მის გმირს) გარემომცველი სამყაროც საკმარისად აინტერესებს. ის კავკასიურ ყოფას, სიცოცხლის ხალისს, უშუალობას, ანგიპრაგმატიზმს უპირისპირებს გექნოკრატიულ ცივილიზაციას, რომლის კრიტიკა და რომლისაგანაც გაქცევა თანდათანობით ჰამსუნის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად იქცევა. ჰამსუნს „ზღაპრულ ქვეყანაში“ უბრალო ხალხი, მისი ცხოვრება, ყოველდღიური ფუსფუსი იზიდავს. თქმა არ უნდა, ეს საზოგადოდ ნებისმიერი მოგზაურის ინტერესიცაა, მაგრამ არ შეიძლება გენიალური მწე-

რლის ამ გარკვეულწილად საეგაპო ნაწარმოებში არ დავინახოთ შემობრუნების წერტილიც, როდესაც იგი, მეგ-ნაკლებად, უკან გადასწევს მანამდე ასე აშკარად გამოკვეთილ ინდივიდუალიზმს და წარმოაჩენს კონტურებს იმ სამოგადობრივი უგოპიისა, რომელიც შემდგომში რიგ მის ნაწარმოებებს დაედება საფუძვლად. კავკასია კი, ყოველ შემთხვევაში ჰამსუნის თვალით დანახული, ადამიანური ჰარმონიის იდეალურ-იდილიურ ნიმუშსაც წარმოადგენს. და ამ მხრივ არცაა პრინციპული განსხვავება, თბილისს აღწერს მწერალი, თავისი კოლორიტული აზიური უბნით, ჭრელი, ხალხსავსე ბაზრობებით თუ წყნარ და უშფოთველ პაგარა დასახლებებს, რომელთა მცხოვრებლებსაც აღიქვამს როგორც ბუნების ჭეშმარიტ შვილებს, ლამაზ და განად, სიცოცხლით აღსავსე ადამიანებს.

ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი დიდი მწერლის მიერ დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომებს, რომლებსაც ნაწარმოების არსის შეცნობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მაინც გულდასაწყვეტია. მიუხედავად იმისა,

რომ „ზღაპრული ქვეყნისადმი“ ჰამსუნის დამოკიდებულება ცალსახაა (აკი წერდა კიდეც მოგზაურობის შემდეგ ერთ-ერთ პირად წერილში: „ეს სხვა პლანეტაა, უფრო ლამაზი ადამიანები, უფრო წითელი ღვინო, უფრო მაღალი მთები და ყაზბეგის ირგვლივ, მე მგონია, ღმერთი ცხოვრობს მთელი წლის განმავლობაში“), მისი ცოდნა საქართველოზე აშკარად გოვებს უკეთესის სურვილს და ამ თხზულების მხატვრული თავისებურებების გათვალისწინების მიუხედავად, გარკვეულ ჩრდილს აყენებს ნაწარმოებს, განსაკუთრებით კი მის შემეცნებით მხარეს. თუმცა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, ეს უაღრესად საყურადღებო და მიმზიდველი წიგნია, ამას კი მნიშვნელოვანწილად ნორვეგიული სიგყვისადმი (და სამოგადოდ სიგყვისადმი) ჰამსუნის ჯადოქრული დამოკიდებულება განაპირობებს. იშლება ზღვარი პროზასა და პოეზიას შორის და მკითხველიც იშვიათ სიამოვნებას განიცდის ჰამსუნის შემოქმედების მართლაცდა „ზღაპრულ ქვეყანაში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაწერელია აკაკი. კნუტ ჰამსუნი და საქართველო. // სახალხო განათლება. – 1989, 25 იანვარი.
2. კაკაბაძე ნოდარ, რუხაძე ნოდარ. კნუტ ჰამსუნი და საქართველო. // ლიტერატურული საქართველო. – 1971, 12 თებერვალი.
3. კვესელავა მიხეილ. მოგზაურობა ზღაპრულ მხარეში // საუნჯე. – №1/1980.
4. გრეფუნ ააგე. კნუტ ჰამსუნი: ზღაპრულ ქვეყანაში; (ანალიზი) – სკანდინავიური ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, ოსლოს უნივერსიტეტი, 1984.
5. ჰამსუნი კნუტ. ზღაპრულ ქვეყანაში განცდილი და ნაოცნებარი კავკასიაში: ბიორნ რუდბორცისა და ულე პეტერ ფოერლანდის ვრცელი ბოლოსიგყვაობით. – ოსლო: გირდენლანი, 2000. (ნორვეგია).
6. Traefeen Aage – “Knut Hamsun: I Evetrylend“: (En Analyse), Institutt for hordisk sprak og littertuz, universitetet i oslo, 1984.
7. hamsun kvut. “I Aeventyrland _ Oplevet og Droemt i Kaukasien“ (Med fydig etterord Av Bjoern Rudborg og ole Petter Foerland) – Olso, Gyldendal, 2000.



გულნარა სგურუა

წიგნი და მკითხველი

აღამიანის განათლება, მისი გონებრივი განვითარება, სულიერი სამყაროს მრავალფეროვნების გამოძიება და ამაღლება წიგნის გარეშე შეუძლებელია. ყოველგვარი კულტურისა და განათლების საწინდარი წიგნია. „ცოდნა სანთელს გავს – თვითონ იწვის და სხვას გზას უნათებს“, „წიგნი ის ცოდნის ლამპარია, რომელიც გზას გინათებს“. დღეს, დღევანდელ ეპოქაში წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ მისი მოხმარებისა და გამოყენების კულტურას სწავლა და დაუფლება უნდა, ამიგომ არის, რომ წიგნი თავისი ცხოვრების მეკვლელ ყველას როდი გაუხდია, წიგნთან ნამდვილი და ერთგული მეგობრობა ყველას როდი ხელეწიფება...

წიგნის კითხვის კულტურის შეთვისება ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდება და შეიძლება პერიოდებადაც დაეყოს ადამიანის ზრდისა და განვითარების მიხედვით. ეს პერიოდები მოიცავს მთელ იმ შინაარსობრივ მასალას, რომელზედაც უნდა გაიზარდოს მკითხველი.

თუ ადამიანი ბავშვობიდან არ ეზიარა წიგნის კითხვის კულტურას, ძნელად თუ მისგან ნამდვილი მკითხველი დადგეს. ბავშვობის დროინდელ კითხვის პერიოდს მე გაუცნობიერებელ პერიოდს ვუწოდებ, პერიოდს, რომელიც პატარა ადამიანში აღძრავს კითხვის სიყვარულს, ავითარებს ინტუიციას, ხელს უწყობს ფიქრისა და ამბროვნების განვითარებას, ფანტაზიის წარმოქმნას, ნიჭიერების წრთვნას და ამავე დროს ბავშვის ხასიათსაც მიმართულეობას აძლევს. ამ პერიოდს მოჰყვება კიდევ

უფრო საინტერესო – პიროვნებად ჩამოყალიბების პერიოდი, როდესაც ადამიანი გარკვეულია, რას კითხულობს, თვითონვე ირჩევს წიგნებს, ასახელებს თავის საყვარელ მწერლებს.

მესამე პერიოდად ვთვლი პროფესიული ლიტერატურით დაინტერესების პერიოდს... ეს ჩემი დაყოფა, კითხვის კულტურის პერიოდიზაცია შეიძლება ბევრისთვის სადაო იყოს.

კითხვის კულტურის ანალიზის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, როგორი მკითხველია პიროვნება – წიგნიერი თუ წიგნით გამართობი. ყველა მკითხველი წიგნიერი როდია, კითხვის კულტურა საჭირობოროტო საკითხია. თუ მკითხველი სისტემატურად კითხულობს, მიზანდასახულია, იცის რისთვის და რაგომ კითხულობს, თუ ის კითხვის შედეგად მოეწონება საზოგადოებას თავისი ცოდნით სარგებლობის მომგან პიროვნებად, აი, იმ შემთხვევაში კითხვაში დახარჯული დრო მნიშვნელოვანია, მიზანს მიღწეული. მაგრამ, ხომ არიან ადამიანები, რომლებიც კითხულობენ გასართობად და დროის გასაყვანად, ნაირნაირი მსუბუქი ამბების თვალის გადასაველებლად? ასეთ მკითხველებს ვერ ჩავთვლით კითხვის კულტურას ნამიარებ მკითხველებად.

კითხვის კულტურაში იგულისხმება აგრეთვე წიგნისადმი დამოკიდებულება, მისდამი მოპყრობა, ხმარების ეთიკა. (აქ სასაუბრო ბევრია. წიგნს რომ კარგად მოეპყრო, უნდა პატივს სცემდე, პატივს რომ სცემდე – უნდა იცოდე, რას წარმოადგენს ის, რა ისტორია გაუვლია და როგორ მოვიდა ჩვენამდე.

რა უმწეო იქნებოდა კაცობრიობა, რომ და-



მწერლობა უძველესი დროიდან არ მომდინარეობდეს, რომ უძველესი ცივილიზაციების ამბები მხოლოდ არქიტექტურული ძეგლებით, სამარხებში აღმოჩენილი ძვირფასეულობით, სხვადასხვა ნივთებითა და ნიმუშებით შემოიფარგლებოდეს და იქვე არ იყოს უძველესი სიგევათისის ფირფიგაზე, გყავზე, ჭილბე, ხეზე, ქვაზე ამოჭრილ-ამოკაწრული, უძველეს ადამიანთა გულიდან, სულიდან, გონებიდან ამოძახილი. ამ გემთ ჩამოთვლილ ნივთებზე სამარადქამოდ შეყინული სიგევა ჩვენამდე რომ არ მოსულიყო, ბევრ რამეს დაკარგავდა ისტორია.

რამდენი რამ არ ვიცოდით ძველი ადამიანების ცხოვრებაზე მანამ, სანამ ფრანგმა შამპოლიონმა 1790- 1832 წწ. არ გაშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები, ხოლო გერმანელმა გროტეფენდმა 1775-1853 წწ. არ ახსნა ლურსმნული წარწერების საიდუმლოებანი. ამით ყველა აღრე აღმოჩენილი წარწერისა და დოკუმენტების წაკითხვა შესაძლებელი გახდა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო პალესტინაშიც, სადაც უძველესი წერილობითი დოკუმენტები აღმოაჩინეს. ამდენად, დღეისათვის ბევრი რამ ვიცით იმ ხალხთა შესახებ, რომლებიც უძველეს სამყაროს ეკუთვნიან. მათ შესახებ ან საერთოდ არაფერი ვიცოდით, ან სულ ცოცა რამ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია მივიწყებული კულტურის შესანიშნავი ძეგლები. საინგერესოა ასურეთის მეფის ასურბანიფალის სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილი 25 ათასი თიხის ფირფიგა ლურსმნული გეჟსტებით. ამ მნიშვნელოვან ნაწერებში, გრაქტაგებსა თუ ლოცვებში, რელიგიურ მითებში საინგერესოა გილგამეშის ეპოსი, რომელმაც შემოინახა თქმულება წარღვნაზე.

შუმერული მითის მიხედვით, ღმერთ ენქის ნეკნი სტკიოდა, ნეკნი შუმერულად „თი“-ს ნიშნავს. ქალღმერთს, რომელიც ენქის ნეკნის მოსარჩენად გამოიძახეს, ერქვა ნინთი, ე. ი. ნეკნის ქალი, მაგრამ ამავე დროს „ნინთი“ სიცო-

ცხლის მიცემასაც გამოხატავს, ე. ი. ეს სიგევა სიცოცხლის მიმნიჭებელ ქალსაც ნიშნავს.

შემდეგში ნინთი ევათი შეიცვალა და ძველმა ებრაულმა გომებმა ევა აქციეს ადამიანთა მოღვმის ლეგენდარულ დედად. შუმერული მითის გავლენით ყველაფერი აირია: სიცოცხლის მიმცემი ქალი „ნინთი“ ნეკნის ქალსაც ნიშნავდა და წარმოიქმნა ვერსია, თითქოს ევა ადამის ნეკნისაგან წარმოიშვა. ასე წიგნიერად მოვიდა ჩვენამდე ეს მეტად საინგერესო ამბავი.

წიგნს დიდი ხნის ისტორია აქვს და მასზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მინდა ჩვენს სინამდვილეს დავუბრუნდე, გავიხსენო წლების წინანდელი ამბავი.

მახსოვს, მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ საინგერესო წერილები იბეჭდებოდა რუბრიკით – „მკითხველი ჩვენი მეგობარი“, რომელსაც ძირითადად მწერლები ეხმაურებოდნენ, მაგრამ მკითხველსა და მწერალს შორის შუამავალ ბიბლიოთეკარებსაც გაგვიჩნდა სათქმელი.

მწერალი მკითხველს იცნობს (მწერალი თვითონაც მკითხველია), მაგრამ იმ მასიურ მკითხველთან, მკითხველთა კატეგორიებთან მაინც ისე არა აქვს საქმე, როგორც ბიბლიოთეკებს, ამდენად, ვერც ისე იცნობს მკითხველს, როგორც ბიბლიოთეკარი. რას კითხულობენ, როგორ კითხულობენ, მათზე უკეთ ვინ იცის ამას, თუმცა იმ დღეებში მხოლოდ მწერლებმა გააჩაღეს ამ თემის ირგვლივ საუბარი.

უნდა ჰქონდეს თუ არა მწერალს მკითხველბთან კონტაქტი, ვის მოუტანს ასეთი კონტაქტი სარგებლობას, მწერალს თუ მკითხველს? – დავისვა ასეთი კითხვები. აღნიშნულ თემაზე თუ ვისაუბრებთ, ბიბლიოთეკარის თვალსაზრისით, მწერლისა და მკითხველის შეხვედრა მწერლის ნაწარმოებების საშუალებით უნდა ხდებოდეს, რაც საკმარისად სარგებლიანია ორივესათვის: მწერლისთვის სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც მისი წიგნი გყუილად არ დაწერილა, წა-

იკითხეს, გაიცნეს მისი ამრები, იღებენ. მკითხველისათვის მხოლოდ წაკითხვაა სასარგებლო და თუნდაც საშუალო ხარისხის ნაწარმოები იყოს, იგი მაინც ერთი საფეხურია საწინაოსკენ, რადგანაც ხომ აიძულებს მკითხველს, იფიქროს მასზე და გამოთქვას თავისი აზრი?..

მწერლისა და მკითხველების საქმიანი კონტაქტისათვის ნაწარმოების წაკითხვას უფრო ვანიჭებ უპირატესობას, ვიდრე სხვა ურთიერთობებს, რადგანაც ვფიქრობ, რომ ამ ურთიერთობაზე ეფექტური არაფერია. კარგ მწერალს შეუძლია მკითხველზე დიდი ზეგავლენა მოახდინოს, მის გემოვნებას და კითხვის კულტურაზე კეთილსასურველად იმოქმედოს.

მწერალს „ერი ზრდის“, „ცა ნიშნავს“. მართალია, სხვადასხვაა მათი თემა და იდეა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი კაცობრიობისათვის აუცილებლად საჭირო საქმეს ემსახურებიან... ამა თუ იმ ერის მწერლობა ასახავს იმას, რაც მისი ხალხის ცხოვრებაში ხდება. იგი ვერ ასცდება, ვერ გადააბიჯებს თავისი ხალხის ყოფას. მოწინავე იდეების მაგარებელ ხალხს მოწინავე მწერლობაცა ჰყავს. არ ვამბობ მთავლის პერსპექტივების განჭვრეტის უნარზე, რაც ფენომენალური ნიჭის მქონე იშვიათ გამოწვევებს გააჩნიათ, საერთოდ, მწერლობაზე მოგახსენებთ. თავისი ხალხის ფიქრის, სულისა და გულის მოძრაობებში ღრმად შეჭრა მწერლის მოვალეობაა და მისი შემოქმედებაც თავისი ხალხის ჭირის და ვარამის, სიხარულის და სიკეთის სარკე უნდა იყოს, „ბუნების ნათავხედი სარკე“, რომელშიც არა მხოლოდ მისივე ერი ჩაიხედავს, არამედ კაცობრიობასაც შეეძლება მასში ჩახედვა და მოგაღსაკაცობრიო იდეალებისა და გკივილების დანახვა. ამ მიზნის განსახორციელებელი ხერხები და გზები მწერალმა საკუთარი ხალხის წიაღში უნდა მიაკვლიოს, მხოლოდ თავისაში, თორემ თუ სხვათა ხალხის, სხვათა მწერლების ხერხებს და გამოხატვის საშუალებებს წაუხედა, იგი ვერ დაიმკვიდრებს თავს ვერც სხვათა და ვერც სა-

კუთარ ხალხში. მწერლობა თავისი ხალხის გარეშე, ხალხი მწერლობის გარეშე წარმოუდგენელია. მხოლოდ მოწინავე მწერლობას შეუძლია ერის წარმოჩენა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მოწინავე მწერლობის ნიადაგი ხალხია, მღელვარე, სიმაღლეებისკენ, იღებენ-საკენ, მიზნებისაკენ მისწრაფებული ხალხი.

მწერალი ხალხისთვის წერს, რაც არ უნდა დაიჩემოს ჩემთვის ვწერო, საბოლოოდ მაინც ხალხს ეკუთვნის მისი შემოქმედება. მწერალი, რომლის ნაწარმოებსაც არავინ წაიკითხავს, არ იქნება მწერალი, ვერ გახდება მწერალი. ამიგომ არის მწერლისათვის მკითხველი აუცილებელი.

როდესაც სიგყვა მკითხველს ვახსენებთ, ძალაუნებურად წარმოგვიდგება ადამიანი, რომელიც დამეგობრებულია წიგნს, რომელსაც წიგნი შეყვარებია და ეს უკვე თავისთავად ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს: გემოვნებასაც, კულტურასაც, განათლებასაც, ყველაფერს ერთად. დიდი ხანია უკვე ასე დამევიდრდა ცნება „მკითხველის“ შინაარსი ჩვენს ცნობიერებაში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ წიგნზე შეყვარებული კაცი ყოველთვის არ ნიშნავს ფაქტობრივ მოვნიბიანს, კულტურულს და განათლებულს. ყველა მკითხველზე წიგნიერს ვერ იგყვი, რაც უნდა ბევრი წიგნი ჰქონდეს წაკითხული. წიგნიერება სულ სხვა რამ არის და წაკითხულ წიგნთა რაოდენობით იგი არ განისაზღვრება, არც წაკითხულ ავტორთა ავტორიგეტებით.

წიგნის კითხვა რომ ჩვევად აქვს კაცს გადამქეული, კარგიაო, – იგყვის ზოგი, მაგრამ ისეთი ჩვევა რის მაქნისია, უშედეგოდ და უნაყოფოდ უამრავ ღროს რომ გაკარგვინებს? ყველაფერს თავისი შედეგი თუ არ ახლავს და ეს შედეგი საზოგადოების წინსვლის მდინარეს თუ არ უერთდება, სასარგებლოაო, ვერ ვიგყვით ამაზე.

მკითხველთა ნაირფეროვნება ბიბლიოთეკაზე უკეთ ვის გაეგება. კარგმა ბიბლიოთეკარმა იცის, რაგომ ყველა მკითხველს წიგნიერს ვერ უწოდებ. როდესაც მკითხველზე ვსა-

უბრობთ, ალბათ ყველა ბიბლიოთეკარს თავისი მკითხველები ახსენდება. რომ ჰკითხონ, რამდენნაირ მკითხველს იცნობო, იმდენს იგყვის, რამდენი მკითხველიცა ჰყავს. და სწორიც იქნება. ყველა მკითხველი თავისებურია, მაგრამ მათ შორის არის ისეთი კატეგორია, რომელსაც სხვებისგან გამოვარჩევთ. როცა ადამიანი წიგნებს კითხულობს და მაინც წიგნიერი არ არის, ეს თითქოს უცნაური რამ არის, მაგრამ გასაკვირი არაფერია. დაკვირვებულ ბიბლიოთეკარს თუ ვკითხავთ, რა როგორ ხდება და რაშია საქმე, უეჭველად დამაჯერებლად ახსნის ამას. ერთ ახალგაზრდა მკითხველს ა. ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალი“ მიაწოდეს წასაკითხად. ახალგაზრდამ კარგა ხანს ათვალიერა წიგნის თავი და ბოლო. შუაშიც ჩაიხედა და ბოლოს ასე თქვა: რამე საზღვარგარეთულს ვერ შემირჩევთ? როგორ არაო, ხათრი არ გაუგებეს პირველად შემოსულს და რამდენიმე საზღვარგარეთელი მწერლის ნაწარმოები დაუდეს წინ. ს. მოემის – „სიგიჟე ერთი ღამისა“ და ჟ. ამაღუს „ღონა ფლორი და მისი ორი ქმარი“ შეარჩია და „ბესიკის თავგადასავალი“ გვერდზე გადადო.

თუმცა, როგორც ჩანდა, ეს უკანასკნელი არასოდეს წაეკითხა. არც ბელიაშვილის ბელეგრისტიკას იცნობდა და არც ბესიკზე გაეგონა რამ...

არიან მკითხველები, რომლებიც მშობლიურ მწერლობასაც იცნობენ და საზღვარგარეთულსაც ეგანებიან, უამრავს კითხულობენ, მაგრამ მათი ინგერესის ფარგლები ძალიან ვიწროა.

ზოგი მკითხველი წიგნებს მშობლიური თუ საზღვარგარეთული ლიტერატურის გაცნობის მოტივაციით კი არ კითხულობს, არამედ რაც შეიძლება მეტი ჭრულ-ჭრელი ამბების ამოკითხვის მიზნით, რადგანაც კითხვა მხოლოდ გართობად მიუჩნევიან.

გყუილა როდი ამბობენ, წიგნი ადამიანის აღმზრდელიაო, ღიახ, ასეა, თუკი კითხვის კულტურას ბავშვობიდანვე ვფლობთ... მაგრამ,

სამწუხაროდ, გამოცდილებამ ბევრ შემთხვევაში ისიც მაფიქრებინა, რომ წიგნის კითხვა ისეთივე ნიჭია, როგორც მხატვრობა, პოეზობა, მწერლობა და სხვ. თუ შესაძლებელია მკითხველის აღზრდა – ეს ბავშვობის ასაკიდან მხოლოდ...

კარგად აღზრდილი ადამიანი კარგი მკითხველიც არის. ასე რომ, როგორც ვთქვით, კარგი მკითხველის ცნებაში მხოლოდ წიგნების დიდი რაოდენობით წაკითხვა კი არ იგულისხმება, არამედ წიგნებიდან ცოდნის მიღება. არა მხოლოდ მეცნიერული, ცხოვრებისეული ფილოსოფიურისაც.

XXI საუკუნეში მკითხველი გაცილებით ინფორმაციული გახდა, რასაც მხოლოდ წიგნით როდი აღწევს. ეპოქალურმა ქარგეხილებმა საოცარი სიახლეები შემოიგანა კაცობრიობის ცხოვრებაში. ის, რასაც სიმბარშიაც კი ვერ წარმოიდგენდა მეოცე საუკუნის თუნდაც 80-იანი წლების ადამიანი, დღეს რეალობად არის ქცეული. ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციის ხანამ მსოფლიო მეცნიერების მიღწევებს ნებისმიერი მსურველი დაჩქარებული ტემპებით ამიარა. ტექნიკურმა მოვლენებმა ინტელექტუალთა გარეობაც კი გამოიწვია. დადგა საკითხი – წიგნი თუ კომპიუტერი! საკითხის ასე დაყენებამ ერთხანს ბიბლიოთეკების ყოფნა-არყოფნის ამრიც შექმნა. მსგავსი პრობლემები განვითარებულ ქვეყნებში 90-იან წლებში წამოიჭრა. ბიბლიოთეკართა მოძრაობა, რასაც საბიბლიოთეკო ასოციაციები ჩაუდგნენ სათავეში, სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმია, რომელიც აუცილებელია საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. ბიბლიოთეკები ახალი ტექნიკით აღჭურვილ ნებისმიერი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ცენტრებად იქცნენ.

წიგნი და კომპიუტერი თანაბრად მოექცნენ ინგერესის სფეროში. ბიბლიოთეკის ღარბაზებში გაიხსნა მულტიმედია, მედიათეკები. უკანასკნელი, უახლესი ინფორმაციის მისაღებად ბიბლიოთეკაში მისული მომხმარებლისათვის

ღია თაროზე გამოფინეს წიგნები და სხვა გე-
ქნიკურ წყაროებში მოქცეული ინფორმაციები.
გახსნეს ზრდასრულთა ინგერესებისა და მო-
თხოვნების შესაბამისი კურსები და კლუბები.

ამა თუ იმ სახელმწიფოში მოხვედრილ ემი-
გრანტებს მოუწყვეს ადგილობრივი სახე-
ლმწიფო ენის და წერა-კითხვის შემსწავლელი
წრეები. ბიბლიოთეკის დარბაზებში შექმნეს
კულტურისა და განათლების, დასვენებისა და
გართობის ცენტრები და, რა საკვირველია, ყო-
ველივე ეს მოიპოვეს საზოგადოების თანადგო-
მით, მათივე ინგერესებიდან გამომდინარე.

საქართველოში 90-იან წლებში ბიბლიოთე-
კათმცოდნეობისა და ბიბლიოთეკების ასალო-
რძინებლად რამდენიმე ასოციაცია შეიქმნა.

მათ შორის აქტიურად მოღვაწეობენ საბიბლი-
ოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასო-
ციაციები. გარდა იმისა, რომ მათ მიერ ახალი
ტექნოლოგიების დანერგვამ გამოაცოცხლა ბი-
ბლიოთეკების ცხოვრება, მათი ძალისხმევით
შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი აზრის
შემობრუნება ბიბლიოთეკებისაკენ, მაგრამ
დღევანდელი მომხმარებლისთვის საჭირო თა-
ნამედროვე ბიბლიოთეკის შესაქმნელად ჯერ
კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. მიუხე-
დავად ყოველივე ამისა, ცნებები – წიგნი, მკი-
თხველი, მწერალი და ბიბლიოთეკარი კვლავ
რჩება და დარჩება ერთმანეთის პარგნიორ კო-
მპონენტებად. წიგნი კაცობრიობის თანმდევი
უკვდავი მოვლენაა.

ოსტინ ჯერსილდი, ნინელი მელქაძე

წიგნები და მათი მრავალრიცხოვანი მკითხველი

(შემოკლებული თარგმანი ინგლისურიდან)*

XVIII საუკუნეში ქართული წიგნის გამოცემა
შებლული იყო, ხშირად ფერხდებოდა პოლი-
ტიკურ კატასტროფათა გამო. მეფე ვახტანგ VI-მ
XVIII საუკუნის დასაწყისში დაასრულა პი-
რველი ქართული სტამბა თბილისში. მან შე-
აგროვა ურიცხვი მანუსკრიპტი და სცადა ბიბლი-
ოთეკის შექმნა. 1723-1735 წლებში ვახტანგ მე-
ექვსე და მისი მომხრეები თურქთა სასტიკ ბაგო-
ნობას გაექცნენ და პეტრე პირველის მიწვევით
რუსეთში გადაიხვეწნენ, სადაც განაგრძეს ლი-
ტერატურული მოღვაწეობა. 1737-1744 წლებში
ქართულ ენაზე გამოსცეს 17 თხზულება, ძირი-
თადად რელიგიური ხასიათისა (რაც დაემატა
თბილისში აღრე გამოცემულ 20 წიგნს).

წიგნის გამოცემა გაგრძელდა 1762-1798
წლებში ერეკლე მეორის მეფობის ხანაში, მა-
გრამ 1795 წელს სპარსთა შემოსევამ, შე-

იძლება ითქვას, შეაფერხა ქართული ლიტერა-
ტურის განვითარება, შეწყდა მნიშვნელოვანი
დისკუსიებიც ბიბლიოთეკის, როგორც
აღზრდა-განვითარებისა და კულტურული კე-
რის, ჩამოყალიბების ირგვლივ. საქართველოს
უკანასკნელი მეფისწულის – იოანეს პროექტის
მიხედვით, უნდა დაარსებულიყო სახალხო ბი-
ბლიოთეკა, რომელიც ცალკე განთავსდებოდა.
სამწუხაროდ, ეს პროექტი მხოლოდ ქალაქდღმე
დარჩა. თბილისის დაპყრობისა და განადგურე-
ბის გამო ვერ მოხერხდა მისი რეალიზაცია, ასე
დასრულდა ბიბლიოთეკის დაარსების ეს მცდე-
ლობა.

1828 წელს. ა. გრიბოედოვმა თავის მეგობარსა და თანამოაზრესთან ნიკოლოზ მორდვინო-
ვთან ერთად განაგრძო თბილისში ბიბლიოთე-
კის დაარსებაზე ზრუნვა. ერთი წლის შემდეგ

გრიბოედოვი გარდაიცვალა, მაგრამ მოასწრო, ბიბლიოთეკის შექმნის იდეა სანკგ-პეტერბურგის სამინისტროებისათვის გადაეცა. 1830 წლის აპრილში მორდენიოვი შინაგან საქმეთა მინისტრს – არსენ ბაკრევსკის წერდა: „ხალხის განათლების დონე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მუშაკებისა, დაბალია... მეცნიერების და კულტურის შესახებ არსებობს არასაკმარისი, მწირი ინფორმაცია, მხოლოდ სანკგ-პეტერბურგში, მოსკოვსა და ოდესაში არსებობს სახალხო ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, სადაც ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია გაეცნოს რუსულ, უცხოურენოვან წიგნებსა და ჟურნალებს.“

ბაკრევსკიმ მხარი დაუჭირა მორდენიოვის შემოთავაზებულ წინადადებას და 1830 წლის 5 ივლისს, მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, თუ რა დიდი წვლილი მიუძღვის სახალხო ბიბლიოთეკებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, გამოსცა სპეციალური მიმართვა ადგილობრივი მმართველობებისადმი. ამ მიმართვით მოუწოდებდა მათ, განემარგათ აღმზრდელიობით და წესებულებების დირექტორებისათვის ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაარსების მნიშვნელობა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაგეგმა 52 ბიბლიოთეკის გახსნა და აქედან 29 წარმატებით დაასრულა.

ვრონცოვი ერთ-ერთი პირველი ოფიციალური პირი აღმოჩნდა, ვინც სანკგ-პეტერბურგიდან წამოსულ ამ ინიციატივას გამოეხმურა და 1829 წელს ხელი შეუწყო ოდესაში ბიბლიოთეკის დაარსებას. ოდესის სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც მთელ რეგიონში მთავარ წიგნსაცავს წარმოადგენდა, გადაიქცა რევოლუციამდელი რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბიბლიოთეკად. აღმზრდა-განათლების შესახებ იმპერიული სახელმწიფოს შეხედულებანი ძირითადი ქალაქებიდან პროვინციებზეც ვრცელდებოდა.

ბაკრევსკის ცირკულარმა თბილისამდეც მოაღწია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ საკითხის განხილვა დაიწყო, თუმცა მალევე მი-

ვიწყა. იმ პერიოდში კავკასიაში მიმდინარე სისხლისმღვრელი ომის გამო რეგიონში შექმნილი მძიმე ვითარება სახელმწიფოსაგან მთელ რესურსებსა და ყურადღებას მოითხოვდა და მაშინ, ცხადია, შეუფერებელი იყო ბიბლიოთეკის გახსნაზე საუბარი. ოფიციალურ პირებს მხოლოდ მართვასა და წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები აღელვებდათ. სიგუაცია დაახლოებით 10 წლის შემდეგ, ვრონცოვის ჩამოსვლისას შეიცვალა, ოდესის მსგავსად, ვრონცოვმა აქაც განაგრძო განათლებაზე ზრუნვა. და 1846 წლის იანვარში დააარსა კავკასიაში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა. ამ ახალი დაწესებულების დაუყოვნებლივ ამოქმედებისათვის მან სანკგ-პეტერბურგიდან წიგნების უზარმაზარი კოლექცია მიიღო და კავკასიური კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსანდრე ივანეს ძე ჩერნიშევს განუმარგა: „თბილისსა და რეგიონს გარეთ, მე ვერ აღმოვაჩინე ვერცერთი სახალხო ბიბლიოთეკა. ამიგომაც ჩემი სურვილი იყო დედაქალაქში მისი დაარსება, რათა მოსახლეობაში გამეძლიერებინა კითხვის დიდი სურვილი და გამეცნო მათთვის განათლების სარგებლიანობა და მნიშვნელობა.“

სანკგ-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ანტონ ანტონისძე დეგუროვისაგან შევისყიდე რამდენიმე ათასეული წიგნით აღჭურვილი, მდიდარი და უზარმაზარი კოლექცია, დასაბამი დავუდე საჯარო ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებას“. განათლებული საზოგადოების მეშვეობით, ვრონცოვი რეგიონის გარეთაც ეძებდა მხარდაჭერას – იმპერიის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა ბიბლიოთეკას წიგნებს უგზავნიდა. მოგვიანებით, თბილისის ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, კავკასიაში ფუნქციონირება დაიწყო უფრო პაგარა ბიბლიოთეკებმა – სტავროპოლში (ადმინისტრატორთა ჯგუფის დაფინანსების წყალობით), შემახაში (სახელმწიფოს მხარდაჭერით და ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელშეწყობით), თემირ-ხან-

შურაში (ადგილობრივ სწავლულთა საზოგადოების ძალისხმევით) და პიატიგორსკში (კავკასიის მინერალური წყლების ღირექტორატის დაფინანსებით). რუსებმა და არა მხოლოდ მათ, ერთნაირად აიგაცეს სახელმწიფო აზრი – იმპერიის მოწინავე რეგიონებში აღზრდა-განათლების მნიშვნელობის შესახებ.

გაბრიელ ალექსის ძე გოკარევის, მეფისნაცვალ ვორონცოვის ადგილობრივ მინისტრს, დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიოთეკის პირველად ორგანიზაციაში. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კავკასიის შესახებ დაწერილი ნაშრომების კოლექციის შეგროვება. 1846 წელს, კავკასიური კალენდრის ფასდაკლებით გაყიდვით მიღებული 500 ვერცხლის რუბლით, გოკარევა მუშაობა დაიწყო ძველი და თანამედროვე მწერლების მიერ კავკასიის ირგვლივ შექმნილი ნაწარმოების ვრცელი ბიბლიოგრაფიის შედგენაზე. რასაკვირველია, ეს არ წარმოადგენდა პაგარა სამუშაოს, აღნიშნული თემა საკმაოდ გავრცელებული იყო ევროპულ და რუს რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

გოკარევის ორწლიანი, დაუღალავი მუშაობის შედეგად (1847-48 წ.წ.) მზად იყო კავკასიაში გამოცემული ბიბლიოგრაფიული სტატიების სერია. როგორც იგი წერდა 1848 წელს: „თავი მოვეყარე იმ ინფორმაციას, რაზედაც ხელი მიმიწვდებოდა. საბოლოოდ, ჩემი საწყისი ბიბლიოგრაფიული სამუშაოს შესრულების შემდეგ, უკვე შემძლია შევუდგე თბილისში ეროვნული ბიბლიოთეკის შექმნის მნიშვნელოვან საქმეს, რომელიც სპეციალიზირებული იქნება რეგიონის ირგვლივ არსებულ მასალებზე. – გოკარევა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 125 წიგნად გამოცემული თავისი 48 ნაშრომი.

ვორონცოვმა განათლების სამინისტროს მიმართა თხოვნით, მხარდაჭერა აღმოეჩინა მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის პუბლიკაციათა პოპულარიზაციაში, რომლებიც იმპერიის გარეთ მდებარე უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა კოლექციებში ინახებოდა. მათ შო-

რის მნიშვნელოვანი იყო ქართველი ინტელიგენციის დიმიტრი ყიფიანის ხელთ არსებული ლეგუროვის 6, 846 ტომი და 242 ტომში თავმოყრილი 75 ნაშრომი (თავდაპირველად ფრანგულ ენაზე), რომელიც ეკუთვნოდა პოლკოვნიკ დავიდოვს, ვორონცოვის აღიუგანგს. 1847 წელს ბიბლიოთეკამ პერიოდულ გამოცემებზე ხელმოწერა დაიწყო სხვადასხვა სფეროს წიგნების კომისიონერ კრაშენიკოვთან; სანკტ-პეტერბურგიდან (12 დასახელება) და გერმანულ მაღაზიასთან მოსკოვში (11 გერმანული, ბერძნული და ლათინური დასახელება).

ადგილობრივი ქართველი ინტელიგენცია საკმაოდ აქტიურად უჭერდა მხარს ბიბლიოთეკის გაძლიერებას და ამით, კულტურის განვითარების ხელშეწყობას. აქაც, ისევე როგორც სახელმწიფოს ელიტარული სამსახურები, მულტიეთნიკური თანამშრომლობა სუფევდა. სომეხი დავიდ არზანოვი, პოლონელი კონსტანტინე ორლოვსკი და უკრაინელი სერგეი ვასილოვსკი და სხვები ასე მიმართავდნენ ქართველ ინტელიგენციას: „თბილისში არც ერთი საჯარო ბიბლიოთეკა არ არსებობს და ახალგაზრდა ქართველი თავადაზნაურები, რომლებიც დაწყებით განათლებას იღებენ, შეზღუდულნი არიან, უჭირთ უახლესი ინფორმაციების მიღება მეცნიერებასა და ლიტერატურაში. მათი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთი წევრი მზად არის გაიღოს 30 რუბლი ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. – ეს მასალები შემორჩა დიმიტრი ყიფიანს, რომელიც გახლდათ სწორედ ის პიროვნება, ვინც ორგანიზატორის ფუნქცია იკისრა.

1846 წელს დაარსებული თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა 1848 წლის 5 ივლისს უკვე მზად იყო პირველი მკითხველების მისაღებად. სტეფან ბასიკის ძე საფონოვმა, მეფისნაცვლის სამსახურის ღირექტორმა, 1848 წლის 5 ივლისს გულითადი შეხვედრა მოუწყო მკითხველებს: „ბიბლიოთეკის გახსნა საშუალებას გვაძლევს დავასრულოთ ჩვენი ძირითადი ამოცანა – მკი-

თხველთა უმრუნველყოფა წიგნებთან თავისუფალი ურთიერთობით“.

ბიბლიოთეკა მუშაობდა ყოველდღე კვირის გარდა ცხრიდან ორ საათამდე. ფონდი შედგებოდა 1300 დასახელებისგან (რომელიც წარმოდგენილი იყო 3 600 ტომად) და აქედან 153 (333 ტომი) კავკასიას შეეხებოდა. წიგნების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, რის გამოც ვორონცოვმა ვახტანგ ორბელიანს სთხოვა საკუთარი სახსრებით აეგო შენობა, რომელსაც შემდეგ იჯარით გადასცემდა თბილისის ბიბლიოთეკას. იგი აშენდა თბილისის ცენტრში მდებარე ალექსანდრეს ბაღში და შემდეგ მართლაც, არენდით გადაეცა ბიბლიოთეკას 28 წლით. ყოველწლიური გადასახადი 1 200 ვერცხლის რუბლს შეადგენდა. ეს ახალი შენობა 1852 წლის 1 მაისს გაიხსნა.

რეგიონში გაბატონებული ენები, მათ შორის ქართულიც ნაკლებად იყო წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში. აქ სუფევდა ევროპისა და მისი კულტურისადმი პატივისცემა და მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენდა – ამ სამყაროს ღირსებათა გავრცელება რუსეთის ფარგლებში. გავრცელებული თვალსაზრისით კი, რუსეთში უდავოდ იყო „ევროპული“ კულტურა და ეს ქვეყანა აგრძელებდა ევროპული საგანმანათლებლო მუშაობის გრადიციებს მის ყველაზე დამორეზულ საზღვრებშიც. სახელმწიფო სამსახურის ელიტარულ წრეს, ჩვეულებრივ, ევროპელები წარმოადგენდნენ და ზოგიერთ მათგანს განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა საზღვარგარეთთან დაკავშირებასა და იმპერიის გაფართოებაში, მაგალითად, გერმანელი კარლ ფონ ბაიერი, რუსეთის სახელმწიფო გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, ბიბლიოთეკას ესტუმრა 1855 წელს კავკასიაში მოგზაურობის დროს და აღფრთოვანება ვერ დამალა მისი უზარმაზარი კოლექციის გამო. თბილისში პირველი მთავარი ბიბლიოთეკარი იყო სანკგ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფრანგული ენის ყოფილი პედაგოგი

და რუმინელების მუზეუმის ბიბლიოთეკარი, ლუდვიგ დე სანგ გომა, რომელიც შემდეგ მისმა ვაჟმა შეცვალა.

გამოცემათა გარკვეული რაოდენობა, რასაკვირველია, ქართულ და კავკასიურ ენებზე იბეჭდებოდა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ევროპული და რუსული მასალების სიჭარბე. როგორც ცხრილებიდან ჩანს, ბიბლიოთეკის ფონდს ძირითად რუსული, ფრანგული, გერმანული, და ინგლისური ენები წარმოადგენდა. ინგლისური ენა რუსეთის იმპერიისათვის შორეული იყო (თუმცა ვორონცოვი თვითონ ფლობდა ინგლისურ ენას და მამა ეკატერინეს ელჩი იყო ინგლისში), ფრანგული და გერმანული ავსებდა რუსულ ენას, როგორც მულტიეთნიკური, ელიტარული სამსახურის ძირითადი ენები. კავკასიაში ამგვარი შერწყმის შესანიშნავი მაგალითი იყო ადოლფ პეტრეს ძე ბერკეს პიროვნება, რომელიც დედით გერმანელი, მამით კი ფრანგი იყო. ბერკე ხანგრძლივსა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში სახელმწიფო სამსახურში – სხვადასხვა დროს იყო კავკასიური კალენდრის რედაქტორი, გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის დეპარტამენტის რწმუნებული და კავკასიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობდა 1858 წლიდან 1868 წლამდე.

„ევროპელები“ ყველანაირად უწყობდნენ ხელს რუსეთში კულტურის განვითარებას. რომელიც უფრო „РОССИЙСКАЯ“ იყო, ვიდრე „РУССКАЯ“ და ოცნებობდნენ განათლების კულტურულ გრანსფორმაციაზე პროვინციულ რუსეთსა და მის საზღვრებს გარეთ. ამ გრანსფორმაციის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა კულტურის შესახებ აზრის გაჩენა ხალხში, რომელსაც მანამდე „ცივილიზაციასთან“ შეხების ნაკლები გამოცდილება ჰქონდა. 1830 წლიდან რუსეთი თავისთავად ექსტრაორდინალური ენერგიით დაადგა ევროპასთან კავშირის დამყარების გზას. სახელმწიფოს მდგომარეობა

რეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართულ, ნაციონალური ინდივიდუალიზმის განვითარებასა და წარმოჩენაში. მსგავსად თეატრისა, ქართველები ბიბლიოთეკას ქართულ კულტურის პრობლემებს უკავშირებდნენ, რომლებიც ეხებოდა ქართულენოვანი პუბლიკაციების შემღებლას და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს, აგრეთვე ქართულენოვანი ლიტერატურის უკმარისობას ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის ოფიციალური წარმომადგენლები აგროვებდნენ რეგიონალურ გაზეთებს, როგორც იყო „დროება“ და „ივერია“ საქართველოდან, აგრეთვე ამერბაიჯანისა და სომხეთის გამოცემებს. ქართველები საქართველოში გამოცემულ ყოველ ახალ წიგნს მიიჩნევდნენ კულტურულ მოვლენად, რომელიც დიდ მნიშვნელობას იძენდა თვითმყოფადობის პრობლემასა და ქართული კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადასაჭრელად. ქართველები ხშირად უდარებდნენ ერთმანეთს საკუთარ „დაუღვერობას“ და სომხების ძალისხმევას თვითგაძლიერებისათვის. თბილისში სომხების ძლიერი ეკონომიკური და დემოგრაფიული მეზობლობა, შესაძლოა სტიმულს აძლევდა შედარებით დაკნინებულ ქართველ თავადაზნაურობას, გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობები მაღალ კულტურასთან საზიარებლად. ვორონცოვი ძალზე მფარველო-

ბდა მოსაზღვრე მხარეთა კულტურულ დაწესებულებებსა და სწავლულთა საზოგადოებებს. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმპერიის ახალი, თანამედროვე მოდელის შექმნა, რომელიც განთავისუფლებოდა დამპყრობლური, ქონებრივი მემკვიდრეობისგან. 1869 წელს გაერთიანდნენ ბიბლიოთეკისა და კავკასიის მუზეუმის ადმინისტრაციები. მათ ხელმძღვანელობდა გუსტავ რადე. ევროპელ სწავლულთა არქივი გადანაწილდა რუსეთის სხვადასხვა რეგიონის სახელმწიფო სამსახურებში. კავკასიის მუზეუმი, რომელიც 1867 წელს დაარსდა, მთელი იმპერიალური ეპოქის მანძილზე აცნობდა კულტურულ ფასეულობებს სანკგ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასა და მოსაზღვრე მხარეებში არსებულ დაწესებულებებს, რომლებიც იმპერიის მიზანს მთლიანად იზიარებდნენ, ქართველები დადებითად აფასებდნენ განათლებული იმპერიის არსებობის იდეას.

ვორონცოვის სიკვდილის შემდეგ (1856 წ.) ქართველმა თავადაზნაურობამ და მრავალრიცხოვანმა სწავლულთა საზოგადოებებმა ფულადი სახსრები გაიღეს ვორონცოვის პატივისცემის ნიშნად, თბილისში მისი ძეგლის ასაგებად. ამ ძეგლზე მუშაობა დაიწყო 1860 წელს და დასრულდა 1868 წელს.

თარგმანი შეასრულეს ბიბლმცოდნ. – ბიბლიოგრაფიის (უცხო ენის სპეციალიზაციით) სპეციალისტების V კურსის სტუდენტებმა: თ. ლონდარიძემ, მ. მულაძემ, თ. მუმლაძემ, თ. სვიანაძემ, ი. ხეჩინაშვილმა.

* თარგმანი შესრულებულია სტაგიადანი: Ostin Gersild and Neli Melkadze. Books and their many eses // Explorations in Russian and Euroasian History. – 2002. – Winter / Otume 3, Numbtr. 1. – p. 27-49.

გუგული ჯინჭარაძე

რეს. საბავშვო ბიბლიოთეკის მეთოდგანყოფილების გამგე

ბავშვთა შორის მოქუშავე ჰიბლიოთეკების მკითხველბთან მუშაობის ზოგადი საკითხი

მანამედროვე ეტაპზე ჩვენი ძირითადი ამოცანაა, შევინარჩუნოთ ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკების მუშაობის სპეციფიკური თავისებურება.

ცნობილია, რომ დღევანდელ ეტაპზე ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკები გამოყოფენ შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებს: სკოლამდელი და I-II კლასის ბავშვები, III-IV, V-VI, VII-IX და დანარჩენი საკლასო ასაკის მოსწავლეები, აგრეთვე პედაგოგები, მშობლები, სტუდენტები, ყველა ის, ვინც საბავშვო ლიგერაგურით სარგებლობს.

თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა ბიბლიოთეკაში მომიღვისა და მათი ეფექტურად მომსახურებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფონდების გეგმაზომიერ დაკომპლექტებას, რასაც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს მიერ წლების მანძილზე პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდი – საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა უნდა იცოდეს, რამდენი ბავშვია ბიბლიოთეკის მიკრორაიონში კლასების მიხედვით, როგორია მათი ფონდებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი და რას მოითხოვს მომავალი თაობა!

ბავშვის მოთხოვნა მრავალფეროვანია, იგი თანდათან ფართოვდება, ბავშვს სჭირდება ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები, რომლებიც ახალ ინფორმაციებს მოიცავენ, ითხოვენ ახალ მხატვრულ, იურიდიულ და საბუნებისმეტყველო, მხარეთმცოდნეობით ლიგერაგურას, მასალებს საქართველოს ისტორიის შესახებ და სხვა.

საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაობის სპეცი-

ფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, დაკომპლექტების სწორად წარმართვისათვის საჭიროა მუდმივი კავშირი სკოლის პედაგოგებთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფონდების ასაკობრივი პრინციპით სწორად დამუშავებას, რისთვისაც ვითვალისწინებთ წიგნებში მოცემულ აღნიშვნებს, თუ რომელი ასაკის მკითხველისათვისაა ის განკუთვნილი. იგივე ხდება ვიშუალურ საშუალებათა ერთეულებზე. საყურადღებოა ისიც, თუ როგორი შრიფტითაა დაბეჭდილი და როგორია გაფორმებული წიგნი. ვეცნობით ახალ სასწავლო პროგრამებს და კლასგარეშე საკითხავი ლიგერაგურის სიებს. გვაქვს ჩვენი საკუთარი შეხედულებაც, რომელი ასაკისათვის შეიძლება გავითვალისწინოთ ესა თუ ის წიგნი, როგორც მხატვრული ლიგერაგურა, ისე დარგობრივი, მაგრამ არ უნდა გადავალთ ბავშვის გონება, კითხვა დავაწყებინოთ მარგივიდან და შემდეგ თანდათანობით რთული წიგნები მივაწოდოთ. ასეთი პრინციპით დამუშავებულ წიგნებს მიეწერება ასაკის აღმნიშვნელი ნიშანი: სკოლამდელი და I-II კლასის მოსწავლეთათვის გათვალისწინებული წიგნები აღნიშნულია რომაული ციფრით – I, III-IV კლასელთათვის – II, V-VI კლასელთათვის – III, VII-IX კლასელთათვის – IV, დანარჩენი ლიგერაგურა აღინიშნება – V-თი.

პირველყოფლისა წიგნს ჯერ მიენიშნება ასაკი, შემდეგ შინაარსის გამომხატველი ინდექსი; როდესაც წიგნს ინდექსი აწერია, უკვე ცნობილია, რომელი კლასისათვის გათვალისწინებულ წიგნთან გვაქვს საქმე. უმცროსი

ასაკის კლასელთათვის გათვალისწინებულ წიგნებს უფრო მარტივი ინდექსი მიეწერება, შემდეგ კი თანდათანობით ვართულებთ. ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში ფონდების სისტემატიზაციის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ის სხვადასხვა ასაკის მომხმარებლებს იღებს მხედველობაში. მაგალითად, I-II კლასელებისათვის წიგნები არ საჭიროებს სისტემატიზაციას, თითოეულ წიგნზე მხოლოდ ასაკის აღმნიშვნელი ნიშანი იწერება, დანარჩენი ასაკისათვის გათვალისწინებული ფონდი კი კლასიფიცირდება საერთო წესის მიხედვით.

ბავშვებთან მუშაობისას საბიბლიოთეკო დოკუმენტების ეფექტურად გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორაა მემოთ აღნიშნული თითოეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის გათვალისწინებული ფონდები ორგანიზებული, დაცული არის თუ არა ასაკობრივი პრინციპი (ფონდების ორგანიზაციის შესახებ ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში იხილეთ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ – 2001, №2 (3)).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ფონდები ცალ-ცალკე გვაქვს გამოყოფილი თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამოყოფილი ლიგერაგურა არის მხოლოდ საბავშვო; მოზრდილთა ასაკისათვის გათვალისწინებული ფონდის გამოყენებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, ამა თუ იმ მწერლის კრებულებიდან ბავშვებს მივაწოდოთ თავისი ასაკისათვის შესაფერისი ნაწარმოებები, აქ მთავარია, ბიბლიოთეკარმა შეძლოს გამოიყენოს ეს. ამგვარი ძიება და შევსება ფონდისა დაუსრულებელი პროცესია. ეს თავისებურება დამახასიათებელია საბავშვო ბიბლიოთეკის სპეციფიკისათვის. ესაა ერთადერთი დიდი განმასხვავებელი ნიშანი მოზრდილთა ბიბლიოთეკებისაგან ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებისა. სწორედ ესაა ძნელი, და თუ არა გამოცდილი, ფონდების

ღრმად მცოდნე, დაინტერესებული ბიბლიოთეკარი, სხვა ამ საქმეს თავს ვერ გაართმევს.

ბავშვებთან მუშაობისათვის ასაკობრივი პრინციპის დაცვა საჭიროა არამარტო საბავშვო ბიბლიოთეკაში, არამედ ოჯახშიც, ბავშვი პირველად წიგნს ოჯახში იხილავს; ამიგომ მშობელმა საბავშვო წიგნები ცალკე უნდა გამოიყოს და შეარჩიოს კიდეც ამა თუ იმ მწერლის რომელი ნაწარმოები წააკითხოს ბავშვს ამა თუ იმ ასაკში. ამიგომ აუცილებელია, კავშირი საბავშვო, სასკოლო ბიბლიოთეკებთან და პედაგოგებთან, ეს კი ბავშვების ასაკობრივი კითხვის სწორად წარმართვის დიდი წინაპირობაა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმ ძირითად სამუშაოს, რომელიც ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში უნდა შესრულდეს, წინ უსწრებს ასაკობრივი პრინციპის დაცვა.

ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში წიგნობრივი ფონდების ეფექტურად გამოყენების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საცნობარო აპარატის სწორ ორგანიზაციას, ორი სახის კატალოგია გამოყენებული ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში – ანბანური და სისტემატური. არსებობს თემატური, მხარეთმცოდნეობის კარგოთეკები, თითოეულ საკატალოგო ბარათზე და ასევე კარგოთეკაზე მოცემულია ასაკის აღმნიშვნელი ნიშანი. ბავშვებთან მუშაობისას ჩვენ დიდ ადგილს ვუთმობთ ინფორმაციას საცნობარო აპარატის გამოყენების შესახებ. ბავშვებთან საუბრისას საჭიროა ხამგასმით აღინიშნოს, რომ კარგად შედგენილი კატალოგი არის ბიბლიოთეკის ფონდის გახსნის ძირითადი საშუალება. მაგრამ დღეს ძალიან შეიცვალა ბავშვის მოთხოვნილებები, ბავშვს აინტერესებს, თუ წიგნი ჩვენ არ გვაქვს, სად შეიძლება იყოს იგი. აქ უკვე ახალი ტექნიკის გამოყენებაა საჭირო, ეს კი ბიბლიოთეკარისაგან მოითხოვს, კარგად იცოდეს ათწილადი კლასიფიკაცია, და შეეძლოს კომპიუტერ-

რის საშუალებით მოიძიოს მკითხველის მიერ მოთხოვნილი წიგნი და მიაწოდოს ბავშვს სრული ინფორმაცია. კომპიუტერის ცოდნა საჭიროა არა მარტო ბიბლიოთეკარის, არამედ ბავშვისათვისაც. სჯობს ბავშვებს თავიდანვე ვასწავლოთ კომპიუტერის გამოყენება. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის მიერ კომპიუტერის გამოყენებისას საჭიროა ასაკობრივი პრინციპის დაცვა, კონტროლის საშუალებათა გამოხატვა ბავშვის მიერ კომპიუტერთან მუშაობის დროს.

დიდი ადგილი ეთმობა ბავშვებთან მუშაობას წიგნით. ვცდილობთ, ბავშვებს საშუალება მივცეთ, თვითონ იაზროვნონ წაკითხულზე. ბავშვებს უსვამთ კითხვას: მოგეწონა ეს წიგნი? ჩვენი მიზანია, ჩამოვუყალიბოთ ბავშვს კითხვის უნარი, შევინარჩუნოთ გრადიცია ბავშვის კითხვისა. საჭიროა გავითვალისწინოთ სიახლეები. წინასწარ გავეცნოთ ახალ სასწავლო პროგრამებს და მოვამზადოთ მათი პასუხები.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა შორის ბიბლიოთეკებში მოწყობილ თვალსაჩინოების ხარისხს. გამოფენების მოწყობის ძირითადი წყარო არის წიგნები. ზოგჯერ ჩვენ გამოფენას ვაწყობთ ერთ წიგნზე, ზოგჯერ ერთ თემაზე, სხვადასხვა თემაზე და ასე შემდეგ და ვითვალისწინებთ ასაკს. გამოფენის სათაურის შერჩევა დამოკიდებულია თვით ბიბლიოთეკარის შემოქმედებით ნიჭზე.

გამოფენა, რომელსაც ბიბლიოთეკაში პირველად მოსული ბავშვი იხილავს, უმჯობესია იყოს ახალი წიგნების, სადაც იქნება როგორც მხაგვრული ლიგერაგურა, ისე დარგობრივიც. სასურველია ამ დროს ბავშვებს ვსაუბრონ გამოფენილი წიგნების, მათი ავტორების შესახებ. საერთოდ, თვალსაჩინობიდან ბიბლიოთეკებში სჯობს ეროვნული ელემენტი წამოიწიოს წინა პლანზე, მოეწყოს გამოფენა მხარეთმცოდნეობისა და ბავშვთა ნამუშევრებისა, გაკეთდეს საინფორმაციო სტენდები და სხვ.

ბავშვთა საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმის საქმეში დიდ როლს ასრულებს მასობრივი ღონისძიებები. საბავშვო ბიბლიოთეკებმა მიკრორაიონის სკოლებთან ერთად, სასურველია, შეადგინონ ერთობლივი საშუალო პროგრამა სასწავლო წლის განმავლობაში ჩასატარებელი მასობრივი ღონისძიებებისა. უნდა ვეცადოთ, უფრო მეტად ჩაგარდეს შეხვედრები, წიგნის განხილვა, კითხვა-პასუხის საღამო, ვიქტორინა-კონკურსი და სხვა. ამ მიმართებით პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ვრწმუნდებით, რომ ბავშვებს ამა თუ იმ საგანში მიღებული ცოდნის გაღრმავების საქმეში დიდ დახმარებას უწევს საგნობრივი ვიქტორინები, რასაც შეიძლება დაეუკავშიროთ სიახლე – შემოვიღოთ საბავშვო ბიბლიოთეკებში სკოლებთან შეთანხმებით სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივმოქმედი საგნობრივი კვირეულები, რომლის დროსაც ბიბლიოთეკარი ცალკე გამოყოფს თაროზე კლასგარეშე საკითხავ ლიგერაგურას კლასებისა და საგნების მიხედვით. პირველი კვირეული, სასურველია, მიეძღვნას საქართველოს ისტორიას I-IX კლასის მოსწავლეთათვის. ჩაგარდება კონკურსი – ვინ მეტ წიგნს წაკითხავს აღნიშნულ საგანში. გამოვლინდება გამარჯვებული სკოლა და ბავშვი.

ბავშვების მიერ სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავების მიზნით, ასეთივე წესით კვირეულები ჩაგარდება ყველა საგანში. ეს იქნება ერთ-ერთი მეთოდი ბავშვების მიერ ამა თუ იმ საგანში სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავების მისაღწევად.

როდესაც ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში მასობრივი ღონისძიების ჩატარებაზე ვსაუბრობთ, არ იქნება სწორი, თუ ვიფიქრებთ, რომ ადრე გამოყენებული ფორმები მთლიანად ყველა მოძველდა. როგორც ადრე, დღესაც ბავშვებს ძალიან მოსწონთ ეს ღონისძიებები და მათ საკმაოდ უფექტიც აქვს. მაგალითად, ასეთია „მკითხველთა ფორმულიარის

დაცვა“, რომლის ავტორი იქნება მე-8-9 კლასელი ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველი, ის ისაუბრებს მის მიერ წლების განმავლობაში წაკითხული წიგნების შესახებ და აღნიშნავს, თუ რა მისცა მას საბავშვო ბიბლიოთეკამ, რით გაიმდიდრა მან გონება. ღონისძიებაზე, სასურველია, დაესწრონ ყველა ასაკის მკითხველი ბავშვები.

აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს დიდი ადგილი აქვს დათმობილი მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურით მუშაობას. საქართველოში არსებულ ბავშვთა შორის მომუშავე ყველა ბიბლიოთეკას შეუძლია ჩაატაროს ღონისძიება-კონკურსი „დაუსწრებელი მოგზაურობა საქართველოში“. ბიბლიოთეკარი შეადგენს საქართველოს მხარეების შესახებ არსებული ლიტერატურის სიას. ბავშვი აირჩევს მხარეს და წაიკითხავს წიგნებს შერჩეული მხარის შესახებ. ჩატარდება კონკურსი – ვინ უფრო კარგ მასალას წარმოადგენს. გამოვლინდება გამარჯვებული სკოლა და ბავშვი.

კარგ შედეგს იძლევა ბავშვებთან მუშაობის დროს წიგნის განხილვა, შეხვედრა წიგნის ავტორებსა და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩატარებული ღონისძიების ხარისხს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ბიბლიოთეკარმა, რომელსაც უკვე დადგენილი აქვს ღონისძიების ჩატარების თარიღი, ინფორმაცია დროულად მიაწოდოს სკოლებს – სად, როდის და რომელ საათზე ჩატარდება ღონისძიება. ჩვენი მიზანი სწორედ ის არის, რომ რაც შეიძლება მეტ ბავშვს მივაღებინოთ ღონისძიებაში მონაწილეობა და მეტი ბავშვი დაესწროს მას. ჩატარებული ღონისძიების ხარისხიც ამით შეფასდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისათვის ხალხური შემოქმედების გაცნობას, საუბარს პოეზიაზე, სიმღერაზე, ლიტერატურის მნიშვნელობაზე, გრადიციებზე. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ეს თემები ამოუწურავია.

საუბარი სჯობს დიალოგის სახეს აგარე-

ბდეს. დიალოგის წარმატება დამოკიდებულია ბიბლიოთეკარის პროფესიონალიზმზე, საუბრის დროს მკითხველს უნდა დაუტოვოთ უფლება, თავისი შესაძლებლობები წარმოაჩინოს. რა თქმა უნდა, ეს საშუალებები არ არის საკმარისი, მაგრამ, რაც მთავარია, ბავშვთა ბიბლიოთეკაში მოზიდვის მიზნით, საკმაოდ ეფექტურია. მთავარია შევაცვაროთ ბავშვებს წიგნი ისე, რომ პატარაობიდანვე ჩამოყალიბდეს მკითხველად. არის შემთხვევა, როცა ბავშვი შემოდის ბიბლიოთეკაში და არ იცის, რა მიმართულებით იკითხოს; ამ შემთხვევაში სჭირდება სწორედ მას დახმარება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკარის ტაქტს, მომსახურების კულტურას; ეს დადებითად მოქმედებს მკითხველზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკარის ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი მკითხველი ჰყავდეს ჩაბმული კითხვაში. ამ მიზნის მისაღწევად კარგ შედეგს იძლევა დაკვირვება ჩვენს მომხმარებელზე – როგორ დადის ბავშვი ბიბლიოთეკაში, თვეში რამდენჯერ მოვიდა, რამდენია ბიბლიოთეკის მიკრორაიონში ისეთი ბავშვი, რომელიც საერთოდ არ დადის ბიბლიოთეკაში. სასურველია, ასეთი კვლევა წლის განმავლობაში ორჯერ მაინც ჩატარდეს. ბავშვებთან მუშაობა ანალიზის შედეგების მიხედვით უნდა წარიმართოს. საჭიროა ინდივიდუალური მუშაობა ბავშვებთან, რაც ხელს შეგვიწყობს, ღრმად ჩავწვდეთ მათი კითხვის ინტერესებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკის ინფორმაციას სკოლებში პედაგოგებთან და მშობლებთან, სკოლის ბიბლიოთეკარებთან. არიან მშობლები, რომლებიც ფიქრობენ, თუ ბავშვი აკადემიურად ჩამორჩენილია, მან არ უნდა იკითხოს კლასგარეშე ლიტერატურა, რომ ხელი არ შეეშალოს. ასეთ მშობლებთან განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო. უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ეს პირობით, ხელს შეუწყობს ბავშვებს უკეთ იმეცადინონ. ვინც სისგემატურად კითხულობს, ის გაოიჩნევა დახვეწილი გეპირი

მეგყველებით და წერის კულტურით, საზოგადოებაში და ოჯახში წესიერებით, და შრომის ნაყოფიერებით. არიან ბავშვები, რომლებიც ბევრს კითხულობენ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რას და როგორ კითხულობენ.

მთავარია, არ უნდა ვკამყოფილდებოდეთ ცნობილი და პრაქტიკაში გამოცენებული ფორმებითა და მეთოდებით – ვეძიოთ სიახლე და გამოვიყენოთ მუშაობაში, რაც შეიძლება მეტი მკითხველი მოვიზიდოთ ბიბლიოთეკაში და ჩამოვაცალიბოთ თანამედროვე მომხმარებლად.


ჩვენ ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ საკითხს შევხებით. საჭიროდ მიგვაჩნია, ამომწურავად გავაშუქოთ ეს თემა პრაქტიკული მაგალითების მოყვანით. უნდა გვახსოვდეს, ბავშვებთან მუშაობის დროს არაფერი არ არის მეორეხარისხოვანი, ყველაფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

რელაქციის შენიშვნა: სპეციალისტები უეჭვ

ველად შენიშნავენ, რომ მოცემულ კონსულტაციაში ახალი არაფერია, ყველაფერი საფუძვლით ცნობილი და საკმაოდ საფუძვლიანადაა დამუშავებული. სამწუხაროდ, სიახლეთა შესახებ ავტორი არაფერს გვეუბნება. ჩვენ ვთვლით, საჭიროა საფუძვლით ახლებური მიდგომა ამ საკითხისადმი, და მივესალმებით, თუკი ვინმე მოგვაწვდის კონსულტაციებს მასობრივი მუშაობის ახლებური ფორმების შესახებ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გადავწყვიტეთ გამოგვექვეყნებინა ეს სტატია, რადგანაც, როგორც ეგყობა, ისეთი კომპეტენტური ორგანო, როგორც რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილებაა, ამას საჭიროდ თვლის. ალბათ საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების საკმაოდ ნაწილი ამ საქმიანობასაც უგულვებელყოფს და მათთვის ეს კონსულტაცია ამდენად, შეიძლება, სასარგებლო გამოდგეს.

სპეციალისტის თვალთ



მარინე რეხვიაშვილი

მუსიკა და ჩვენი აღსაზრდელები

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და განათლების პროცესის მართვაში უდიდესი როლი ენიჭება მოზარდის ქცევის ფორმების სწორ მართვას (თამაში, წიგნების ხმამაღალი კითხვა, სახვითი შემოქმედება, მუსიკა, ყოფითი საქმიანობა და ა. შ.) პიროვნული თვისებები ინტენსიურად სწორედ სკოლამდელ ასაკში ყალიბდება, შემდეგ კი მრდასრული ადამიანის სტრუქტურაში შედის სოციალ-ინტელექტუალური და მნეობრივ-ესთეტიკური ღირებულებების სახით.

მუსიკა, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების მნეობრივ-ესთეტიკური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, განსაკუთრებით 5-6 წლის ასაკში, უვითარდებათ მუსიკისადმი შემეცნებით-შეფასებითი დამოკიდებულება. მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები სხვადასხვა გრძნობით – ემოციურ რეაქციას იწვევს, ყოველივე ამას კი მრავალფეროვანი გრძნობების გამოწვევა შეუძლია,

რაც მყარ საფუძველს ქმნის ესთეტიკური აღზრდა-განვითარებისათვის.

ჩვენი თაობა შესანიშნავ ქართველ საბავშვო კომპოზიტორების ნაწარმოებებზე აღიზარდა. ყველას გვახსოვს საოცრად თბილი და საყვარელი სიმღერები, რომლებსაც დღევანდელი მოზარდი თაობაც დიდი სიყვარულით მღერის.

90-იანი წლების შემდეგ პოლიტიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ თავისებური გავლენა იქონია განათლების სისტემაზეც. დაიწყო სასიცოცხლო მწიბრივი კრიტიკიუმების რღვევა. ამ პროცესმა გავლენა იქონია აღზრდის სისტემაზე და გარკვეულ ფასეულობათა გადაფასება გამოიწვია. ინფორმაციული სფეროს სწრაფმა ზრდამ, რასაც ინტელექტუალური გემოვნების ცვლა მოჰყვა, ახალი მოთხოვნილებები წარმოშვა მოზარდთა სასიმღერო რეპერტუარის მიმართ, თუმცა ეს სულაც არ ამართლებს იმას, რომ პრიორიტეტი მისცემოდა მწიბრივ-ესთეტიკური თვალსაზრისით ასაკისათვის სავსებით შეუფერებელ ნაწარმოებებს. სკოლამდელი პერიოდი აღზრდის პროცესში ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლოა, რამეთუ პიროვნება ძირითადად ამ დროს ყალიბდება.

ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო, დღესდღეობით ძალიან ძნელია იმ დიდი პასუხისმგებლობის გარება, რომელიც სკოლამდელების აღზრდელს გვაკისრია. მიუხედავად ამისა, ყველანაირად ვცდილობთ, პატივს ვცემთ ის სულიერი საზრდო მივაწოდოთ, რომელიც აუცილებელია მათი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. საბავშვო ბაგა-ბალებში მოღვაწეობენ მუსიკის საუკეთესო პედაგოგები, რომლებიც წერენ მოზარდებისათვის შესაფერისი რეპერტუარის მუსიკალურ ნაწარმოებებს. თითქმის 30 წელზე მეტია ვემსახურები ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ვცდილობ ვწერო ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც გამოყენებულია ანა კალანდაძის, ნოდარ ღუმბა-

ძის, ცირა ქიგიაშვილის, გივი ჭიჭინაძის მაღალ შემოქმედებითი ლექსები.

როდესაც საკუთარ სიგყვიერ მასალას ვიყენებ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ იმას, რომ ის და მასზე დაწერილი მელოდია ბავშვისათვის გასაგები, მისაწვდომი და სასიამოვნო იყოს. მიმაჩნია, რომ ნაკლები მნიშვნელობა არც მწიბრივ-ეთიკურ საწყისებს უნდა დაეთმოს.

ჩემი სიმღერების პირველი შემმოწმებლები ბავშვები არიან, მიხარია, რომ ისინი კარგად ღებულობენ ჩემს ნაწარმოებებს, რაც შემოქმედებით ძალას მმაგებს და მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები საქმეს.

რედაქციისაგან: „ბიბლიოთეკა და მუსიკა“ – განსაკუთრებული თემაა, რომელიც სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის ყურადღაღები უნდა იყოს. როცა უკვე 3-წლიდან აღსაზრდელს ჩვენს მომხმარებლად ვთვლით, როცა აუდიოვიზუალური საშუალებები სულ უფრო და უფრო მკვიდრდება პრაქტიკაში, როცა მუსიკალური ნაწარმოებებით დაინტერესება დღითი დღე იზრდება, არ შეიძლება ბიბლიოთეკები ამ მოვლენას გვერდს უვლიდნენ და არ ზრუნავდნენ შესაბამისი მასალით მკითხველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ეს დღევანდელი დღის გადასაწყვეტი და საზრუნავია. ამდენად, საგულისხმოდ მიგვაჩნია წინამდებარე წერილი, რომელიც ხელს შეუწყობს საკითხისადმი სპეციალისტთა ყურადღების მიქცევასა და დაინტერესებას.

აგგორი – მარინე რეხვიაშვილი თბილისის 192-ე ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებელია და მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. იგი ამჟამად მუშაობს თავისი მუსიკალური ნაწარმოებების შეკრება-გამოცემაზე, რაც უინტერესო არ უნდა იყოს ჩვენი სპეციალისტებისათვისაც.

მისი შემოქმედების შეფასებისათვის ინტერესმოკლებული არაა, გავეცნოთ კომპოზიტორთეორეტიკოსის, ვ. სარაჯიშვილის სახელობის

კონსერვატორიის აკადემიის პროფესორის, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, ვიცეპრეზიდენტის ნოდარ მამისაშვილის გამოხმაურებას – „საბავშვო მუსიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში. ამ თვალსაზრისით, კარგი საჩუქარი მოუმზადა ბავშვებს ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებელმა მარინე რეხვიაშვილმა. მისი სიმღერების კრებული კარგად მიესადაგება პაგარების აღქმით სამყაროს. სიმღერები ჩიგუნებზე, დედაზე, გაბაფხულზე, ყვავილებზე... თითქოს თვით ბავშვთა უშუალო განცდებშია აღმოცენებული: ადვილად დასამახსოვრებელი მელოდიები, კარგად შერჩეული სასიმღერო რეგისტრები ითვალისწინებენ ბავშვის მეხსიერებასა და სასიმღერო აპარატს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საფორტეპიანო თანხლების პროფესიულად დახვეწილი ფაქტურა. მისი გამომსახველობითი გამომგონებლობა დიდად შეუწყობს ხელს ბავშვის გემოვნების დახვეწას“.

ვიფიქროთ იმაზეც, თუ როგორ დავუკავშიროთ მუსიკა ბიბლიოთეკას!

იმედს გამოვთქვამთ, სპეციალისტები გამოგვხმაურებიან და აღნიშნული თემის ირგვლივ მოგვაწვდიან თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს.


ჩვენნი მილოცვა

ჩვენნი მილოცვა



ფრიდონ ხალვაში – 80

პოეტი ახალგაზრდაა მანამდე, ვიდრე მის პოეტურ ხმას ბზარი შეეპარება. ფრიდონ ხალვაშის პოეზია ძველებურად ჟღერს – შემართებით, გულწრფელად, ცეცხლოვანი სტრიქონებით, შიგა და შიგლირიმით გამოთბარი; ამ ბოლო დროს კიდევ უფრო აფსებს და ამრავალფეროვნებს მის შემოქმედებას ხანდაზმული ცხოვრებანაცადი კაცის სიბრძნე, რაც ასე მძლავრად გამოიხატა მის „სამყურებში“.



ეურადრების არეში. ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკებისათვის მისი ყოველი წიგნის შემომატება ფონდში, საგულისხმო მოვლენა იყო და არის.

ჩვენი ჟურნალი ყველა მკითხველის სახელით ულოცავს საყვარელ მგოსანს მის ნათელ დღესასწაულს და უსურვებს, კვლავ ასეთივე შემართებით ეღვაწოს და ეცხოვროს, კვლავ არაერთხელ გავეხარებინოთ

მშვენიერი პოეტური სტრიქონებით!

ფრიდონ ხალვაში ჩვენი მკითხველების საყვარელი პოეტი. ის მუდამ იყო ყველა თაობის

ჟურნალის რედაქცია

ნაგო ჭყონია

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
საბიბლიოთეკო-სამუშეუშო განყოფილების უფროსი**ბიბლიოთეკის კვირეული აჭარაში**

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო კვირეული მიმდინარე წლის 28 აპრილიდან – 5 მაისამდე მიმდინარეობდა.

აჭარის ბიბლიოთეკები კვირეულისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. „ბიბლიოთეკის კვირეულის“ ეგიდით აჭარის ბიბლიოთეკებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 28 აპრილი – კვირეულის გახსნა – შეხვედრა აჭარაში მოღვაწე ახალგაზრდა მწერლებთან და პოეტებთან – (სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა); 29 აპრილი – ლიტერატურული საღამო „ღმერთო, მამული მიცოცხლე“ (ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანების №3 ფილიალი); 3 მაისი – საღამო მიძღვნილი პოეტ ფრიდონ ხალვაშის 80 წლისთავისადმი (№4 ფილიალი); 4 მაისი – მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო „მხოლოდ წიგნის სიყვარულით“ (რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკა); 5 მაისს გაიმართა კვირეულის დახურვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის სამმართველომ საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით ჩატარა „წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის“ რესპუბლიკური კონკურსი.

კონკურსის მიზანი იყო მაღალკვალიფიციური და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოვებულ ბიბლიოთეკართა გამოვლენა; წლის საუკეთესო საბიბლიოთეკო მუშაკის წახალისება; არსებული წიგნადი ფონდის ფარგლებში

მკითხველთა წიგნით მომსახურების, ინფორმაციის მიწოდების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა; ნორჩ მკითხველებში წიგნის სიყვარულის გაღვივება, ეროვნული ცნობიერების ამაღლება.

კონკურსის ამოცანა იყო ბიბლიოთეკართა უნარისა და ინიციატივის გამოვლენა და სტიმულირება.

სპეციალურად შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა:

სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარს ნორა გაბუცაძეს;

ქ. ბათუმის 2005 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა საბიბლიოთეკო გაერთიანების №6 ფილიალის გამგეს გულთამზე ფარგენაძეს;

ქობულეთის რაიონის 2005 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა ქვედა აჭყვის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს ირინა გორგაძეს;

ხელვაჩაურის რაიონის 2005 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა აღმართის სასოფლო-ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს მერი ფარგენაძეს;

შუახევის რაიონის 2005 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა ოლადაურის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს ეუ-ეუნა მაკარაძეს;

ხულოს რაიონის 2005 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა უჩხოს სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს ეთერ აბუ-

ლაძეს;

სასკოლო ბიბლიოთეკების 2005 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა №7 სკოლის ბიბლიოთეკარს ეთერ მდივანს. მათ გადაეცათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელი, ფულადი ჯილდო და თაიგულები.

აღსანიშნავია, რომ საბიბლიოთეკო კვირეულის საბეიმო დახურვისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და პარლამენტის ეროვნული ბი-

ბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილი.

მათ შეაჯამეს აჭარაში მიმდინარე კვირეულის შედეგები. აღნიშნეს საქართველოს კულტურის სამინისტროს დაინტერესება და თანადგომა იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რომლებიც აჭარის საბიბლიოთეკო დარგისათვის მეტად აქტუალურია.

აჭარაში ჩატარებულმა კვირეულის ღონისძიებებმა ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრიობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება მიიქცია და მოწონება დაიმსახურა.



გენაღ. მახარაძე

აჭარის ავტ. რესპ. სახელმწ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი

ღირსეულთა დაჯილდოება



აჭარაში დიდი ენთუზიაზმით ჩატარდა „საბიბლიოთეკო კვირეული – 2005“. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საჯარო ბიბლიოთეკა, ამ ღონისძიებას არ გამოხმაურებოდეს. საინტერესო იყო კვირეულის გახსნა, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი მისმა დახურვამ გამოიწვია, რომლის დროსაც, ჩატარდა რა კვირეულის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანალიზი, სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილებით ჯილდოებით აღინიშნა ღირსეული ბიბლიოთეკარების ღვაწლი.

2005 წლის 5 მაისს, „ბიბლიოთეკის კვირეული“-ს დახურვისას შედგა შეხვედრა აჭარის ბიბლიოთეკარებთან და წლის საუკეთესო ნომინანტთა დაჯილდოება, რომელიც კონკურსის სახით რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა. აღნიშნულ კონკურსში შერჩეულ იქნა ათი ნომინანტი, რომლებსაც გადაეცათ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სიგელები და ყვავილების თაიგულები.

კონკურსში სხვადასხვა ნომინანტების მიხედვით გამარჯვებულნი არიან: 1) საუკეთესო ბიბლიოგრაფი – ენა ქამუშაძე (რესპუბლიკური ბიბლიოთეკა); 2) საუკეთესო კლასიფიკატორი – ნუნუ გილი (ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანება); 3) საუკეთესო კატალოგისტი – ლეილა ფურცხვანიძე (რესპუბლიკური ბიბლიოთეკა); 4) საუკეთესო კომპლექტატორი – ნუნუ მალაყმაძე (რესპუბლიკური ბიბლიოთეკა); 5) ინტელექტუალური ბიბლიოთეკარი – თალიკო დოლიძე (რესპუბლიკური ბიბლიოთეკა); 6) ინფორმირებული ბიბლიოთეკარი – რობა ჟორდანიანი (ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანება); პუნქტუალური ბიბლიოთეკარი – მარგინა თავლიშვილი (რესპუბლიკური ბიბლი-

ოთეკა); 8) გულისხმიერი ბიბლიოთეკარი – მე-
დღეა გიგინეიშვილი (საბავშვო ბიბლიოთეკა); 9)
ამაგდარი ბიბლიოთეკარი – ელენე ხუნდაძე
(საბავშვო ბიბლიოთეკა); 10) მკითხველთა სი-
მპათია – ლიანა ინაიშვილი (რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა).

„ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისათვის“
დაჯილდოვდა 34 ბიბლიოთეკარი, რომლებსაც
გადაეცათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რე-
სპუბლიკური ბიბლიოთეკის სიგელები და ყვა-
ვილების თაიგულები.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართვე-

ლოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
სამინისტროს სიგელებითა და ფულადი საჩუ-
ქრებით დაჯილდოვდნენ ჩვენი თანაქალაქე-
ლები ციური ჩანგლაძე (რესპუბლიკური ბიბლი-
ოთეკა) და ნანული გოგია (საბავშვო ბიბლი-
ოთეკა). საქართველოს მასშტაბით „ბიბლი-
ოთეკის კვირეულის“ ორგანიზატორების სახე-
ლით ეს ჯილდოები მათ საქართველოს საბი-
ბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი
ღარიბაშვილმა და საქართველოს ილია ჭავჭა-
ვაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის
დირექტორის მოადგილემ ლევან თაქთაქიშვი-
ლმა გადასცეს.



ნანა გოგიშვილი
სამგრედიის საქ. ბიბლიოთეკის გამგე

სამგრედიის ბიბლიოთეკები კულტურული სხოპრების კვლავი



ამ გაზაფხულზე, საქართველოს ბიბლიოთე-
კების კვირეულის დღეებში, სამგრედიის რაიონის
ბიბლიოთეკებში განსაკუთრებული ფუ-
სფუსი და ხალისიანი განწყობილება იგრძნო-
ბოდა. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოცი-
აცია უკვე მეოთხე წელია, რაც სათავეში უდგას
ამ შესანიშნავ ღონისძიებას, სახელწოდებით
„თქვენი ბიბლიოთეკა“, რომელიც აპრილის
ბოლო რიცხვებიდან იწყება თბილისში და შე-
მდეგ ჯაჭვისებური რეაქციის მსგავსად ვრცე-
ლდება მთელ საქართველოში.

ამ დღეებში სამგრედიის ბიბლიოთეკების
მომხმარებლები და წიგნის მოყვარულები ბე-
იმისათვის ემზადებოდნენ. კვირეული გრადი-
ციულად გომის ბიბლიოთეკიდან დაიწყო. მუსი-
კალურად გაფორმებულმა ლიგერატურულ-
ისტორიულმა კომპოზიციამ გომის მკითხველი
სამოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. კო-
მპოზიციამ ჩართულ სკოლის მოსწავლეებს

არც ჭარმაგი თაობა უდებდა გოლს. კომპოზი-
ციის მონაწილეებმა ქვეყნის ისტორიის საფუ-
ძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს და დამსწრე
სამოგადოებას ერთხელ კიდევ შეახსენეს ჩვენი
სახელოვანი წინაპრების საგმირო საქმეები.
ღონისძიების წარმატებით ჩატარებას დიდად
შეუწყვეს ხელი ორგანიზატორებმა: ბიბლი-
ოთეკის გამგემ მზია ლორიამ და ბიბლიოთეკა-
რებმა მაყვალა ქორიძემ, ირინე ბუბუგეიშვი-
ლმა, თეა ფუთურიძემ. მათთან ერთად ამ ღო-
ნისძიებას მხარში ედგა სოფ. გომის მკვიდრი,
კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე
ბაჩუკი გვენეცაძე, ბიბლიოთეკის მესვეურები
ლამარა ლუნდუა, მზია ჩიხლაძე. ღონისძიებაში
მონაწილეობდნენ გომის სამი საშუალო სკო-
ლის და ერთი არასრული სკოლის მოსწავლე-
ები.

5 მაისს კვირეულის პროგრამით მუშაობა
განაგრძო სამგრედიის ცენტრ. ბიბლიოთეკამ.



ლონისძიების ხელმძღვანელმა – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნინო ტონიამ შესანიშნავად მომზადებული მოსწავლეები – ნინო პატარაია, სალომე რუხაძე, გვანცა ფოცხვერაშვილი, სალომე რურუა, ქეთინო აბრამიშვილი, გიორგი კოპალეიშვილი, სალომე აღეიშვილი, გაგა შენგელია, მარი რურუა და ნანული ინასარიძე წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას. სადამო დავით გურამიშვილის 300 წლისთავის იუბილეს ეხმიანებოდა და თემაც პოეტის დიდი შემოქმედებიდან იყო აღებული – „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“. დ. გურამიშვილის „დავითიანიდან“ ლექსები წაიკითხა ც/ბ-ის ღირექტორის მოადგილემ და იმავდროულად სამგრედის თეატრის მსახიობმა მზია ჩიხლაძემ. სადამომე სიტყვები წარმოთქვეს სამგრედის კულტურის განყ. გამგემ გარიელ ხაქალიამ და ც/ბ-ს ღირექტორმა ლამარა ღუნდუამ.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს საქალაქო ბიბლიოთეკის მიერ მე-ნ სკოლასთან ერთად მოწყობილი სადამო „შეიცან თავი შენი“ – ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზე“ მიხედვით. ბიბლიოთეკის გამგე ნანა გოგიშვილთან ერთად ამ ღონისძიების ხელმძღვანელები იყვნენ პედაგოგები: ისტორიკოსი ნინო ჯვალაძე და ფილოლოგი ეკა შვანგირაძე. სადამოს ფილოსოფიურ-სოციალური ელფერი შესძინა მონაწილეთა და მომხმარებელთა შორის გამართულმა დისკუსიამ, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ: გარიელ ხაქალია, კულტურის სახლის ღირექტორი ვეფხვია ნადირაძე, მსახიობი როლემ გოგიშვილი, სკოლის ღირექტორი დემურ ჯოგლიძე, პედაგოგი ბადრი ვაშაკიძე, ექიმი მერაბ ჯანელიძე, ქალაქის განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ნინო შენგელია, სასწავლო ნაწილის გამგე ნაგო მსხილაძე, პედაგოგი ჯულიეტა მსხილაძე. გამომსვლელებმა ისაუბრეს იმ როლის შესახებ, რომელიც აკისრია საზოგადოებას პიროვნების

ჩამოყალიბებაში.

ამ სადამოს და, საერთოდ, სამგრედის ბიბლიოთეკებში გამართულ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში არა მხოლოდ იმით, რომ ბიბლიოთეკის კვირეულის დღეებში აქ საკაცობრიო იდეალებზე იყო საუბარი, არამედ დღევანდელი ბიბლიოთეკების წარმოჩენაში, იმის დასაბუთებისათვის, რომ ისინი რეალურად ემსახურებიან ადამიანის განათლებისა და კულტურული დასვენების ფასდაუდებელ საქმეს, რომ ბიბლიოთეკაში თავს იყრის მომხმარებელთა დიდი რაოდენობა, რომ ბიბლიოთეკა თითოეული მოქალაქისათვის არის სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელი დაწესებულება, სადაც მკითხველები თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად, სიამოვნებით დაყოფენ დღის ნაწილს და დიდ სიამოვნებასა და სულიერ საზრდოს მიიღებენ.

საქართველოს ბიბლიოთეკის კვირეულის დღეები – „თქვენი ბიბლიოთეკა“ – დამთავრდა სამგრედიაში, მაგრამ არ დამთავრებულა მკითხველთა სურვილი – მიაკითხონ ბიბლიოთეკას, მიიღონ იქ ახალი და მათთვის საჭირო ინფორმაცია. 13 ივნისს, სამგრედის ც/ბ-ის არც თუ ისე კარგად მოწყობილი დარბაზი სავსე იყო მკითხველებით, როდესაც ბიბლიოთეკის თბილისიდან ესტუმრა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი, ქუჩნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორ-კოორდინატორი გულნარა სტურუა. სტუმარს, რომელსაც არც ეთქმის სტუმარი, რადგანაც იგი ამ ბიბლიოთეკის აღზრდილია (რაც თავად ქ-ნმა გულნარამ სიამაყით აღნიშნა). პატივისცემით და სიყვარულით შეეგებნენ ადგილობრივი მასპინძლები. მოეწყო მკითხველებთან სახელდახელო შეხვედრა-საუბარი. გამოიკვეთა ქ. სამგრედის მკითხველთა აზრი შეუფერებელი შენობის შესახებ: „ჩვენ აქ შემოვდივართ ინფორმაციის მოსაპოვებლად, მცირედი ღრით, მაგრამ ძალიან გვეცოდებიან ბიბლი-

ოთეკარები, რომლებიც დიდიდან საღამომდე თავს დასგრიანებენ აქაურობას და მაქსიმალური შესაძლებლობით ემსახურებიან მომხმარებლებს. სიცვიე, სინესტე, სივიწროვე ამიანებს მათ ჯანმრთელობას და არც წიგნადი ფონდისათვის არის სასარგებლო ის პირობები, რომელიც აქ, ამ შენობაშია“.


მართლაც უხერხულია სამგრედისთვის, მისი ინტელიგენციისთვის ასეთი კარგი ბიბლიოთეკა, ასეთი გამრჯე ბიბლიოთეკარებით, ასეთ სათავსოში იყოს, მით უმეტეს უფრო, რომ სადაც არის, აქ მომხმარებლისთვის უნდა გაიხსნას კომპიუტერული კაბინეტი და, ცხადია, გაიხსნება ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვიც. ქალაქის მმართველობის წინაშე სასწრაფოდ უნდა დადგეს საკითხი ც/ბ-ს პირობების გაუმჯობესებისა.

თათბირი პროფესიონალურ საკითხებზე გავრძელდა კულტურის განყოფილებაში. თათბირს ესწრებოდნენ განყოფილების გამგე გარიელ ხაქალია, ც/ბ-ს დირექტორი ლამარა დონდუა, მოადგილე მზია ჩხლაძე, კულტურის განყოფილების ინსპექტორი და გულნარა სგურუა.

გ. ხაქალიამ, გულწრფელად განაცხადა, რომ ქალაქის გამგებლის ცვლა ხელს გვიშლის არა მხოლოდ ამა თუ იმ საკითხის ოპერატიულად გადაჭრაში, არამედ თვით საკითხის დაყენებაშიც კიო. ც/ბ-ს დირექტორმა სხვა საჭიროროგო საკითხებთან ერთად, ხაზგასმით აღნიშნა ბიბლიოთეკის მუშაკთა სრულიად შეუფერებელი და დაუმსახურებელი ანაზღაურების შესახებ და ასეთ ხელფასს სამარცხვინო უწოდა. თათბირზე ისაუბრეს სამგრედის საბიბლიოთეკო ქსელის შესახებ. 52 ბიბლიოთეკიდან დღეისათვის შემცირებულია 16 ბიბლიოთეკა.

დაიწერა თათბირის ოქმი, რომელშიც დადგენილების სახით ჩაიწერა, რომ საჭიროა საბიბლიოთეკო ქსელის მუშაკთა შეხვედრა სამგრედის გამგეობასა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობასთან.

ვულოცავთ სამგრედის მუშაკებს კვირულის წარმატებით დასრულებას და ვუსურვებთ მომავალში თანამედროვე ეპოქისათვის შესაფერისი შენობით, შესაფერისი ინვენტარით და გექნიკური ბაზით საბიბლიოთეკო საქმის აღორძინებას.



ლია ურდულაშვილი
საგარეო საზღვროთა

ვიქტორინა-კონკურსი

27 ივნისს გამგეობის სხდომათა ღარბაში საგარეო საკოლეს V კლასელთათვის გაიმართა ლიგერატურული ვიქტორინა-კონკურსი – „მოგზაურობა წიგნის სამყაროში“. ვიქტორინა მიზნად ისახავდა გამოემქლავნებინა მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა, გამოეფლინა წიგნით, ლიგერატურით დაინტერესებული, შემოქმედებითი ამროვნების მქონე ბავშვები.

თად პელაგოგები და მშობლებიც აყალიბებენ, ამიგომაც ეს ღონისძიება ბიბლიოთეკარის პელაგოგებთან და მშობლებთან თანამშრომლობის გამოხატულებაც იყო.

სამწუხაროდ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადნენ საგარეო №5 საბაბო სკოლის მოსწავლენი. ამიგომ ეს სკოლა თავიდანვე გამოეთიშა შეჯიბრს და დამარცხებულად გამოცხადდა. დანარჩენი 4 საშუალო სკოლის ბავშვები გულშემატკივრებითურთ

დღის 2 საათისათვის გამგეობის სხდომათა და რბაზში მოუთმენლად ელოდნენ კონკურსის დაწყებას. კონკურსში მონაწილე ბავშვებს უნდა გამოემქვანებინათ ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში. ისეთი შეკითხვები იყო დასმული, რაც არ შედის სასწავლო პროგრამაში, მაგრამ წიგნის მოყვარული და ბიბლიოთეკასთან დაახლოებული ბავშვებისათვის უცხო არ უნდა იყოს. თამაშის დროს გუნდებს მიეცათ 50 კითხვა, ოღონდ ეტაპობრივად, 5 ნაწილად გაყოფილი, ინტერვალებში კი ჰქონდათ საშუალება ეჩვენებინათ საშინაო დავალება კონკრეტული თემის ირგვლივ. საშინაო დავალებას წარმოადგენდა სკოლის ემბლემა, მხატვრული კითხვა, სიმღერა, თეატრალური ნომერი.

შეჯიბრების მსვლელობის დროს ხშირად ისმოდა გულშემტკივრების ოვაციები. ისინი ამხნევედნენ თანასკოლელებს. მთელი ორი საათი ებრძოდა ოთხი საშუალო სკოლის გუნდი ერთმანეთს. თავიდანვე დაწინაურდა №3 სკოლის გუნდი, რომლის მეთაური იყო კვერთხილი ნაგო. მათ მთელი ღონისძიების მანძილზე ლიდერობა არავის დაუთმეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს. საბოლოოდ დააგროვეს 59 ქულა. II-ე ადგილზე IV საშუალო სკოლა გავიდა (მეთაური ლალიაშვილი სალომე). მათ 56 ქულა დააგროვეს. III-IV ადგილები გაიყვეს №1 და №2 საშუალო სკოლის გუნდებმა. (მეთაურები თორნიკე გორელიშვილი და ბექა ბერიძე). ჟიური კითხვის პასუხებს აფასებდა იმის მიხედვით, სასკოლო ცოდნასთან ერთად, რამდენად იყენებდნენ ბავშვები ბიბლიოთეკით ნასარგებლი წიგნებიდან მიღებულ ცოდნას. აკვირდებოდნენ, თუ როგორ ამროვნებდნენ ბავშვები თავისუფალი თემების დამუშავების დროს, თითქმის ოთხივე სკოლამ თანაბრად გაართვა ამას თავი. კარგად ჰქონდათ გააზრებული №3 სკოლის მოსწავლეებს თავისუფალი თემები. აშკარად იგრძნობოდა, რომ ისინი სერიოზულად მოემზადნენ კონკურსში მონაწი-


ლეობისათვის და მუშაობის შედეგაც სახეზე ჰქონდათ, რისთვისაც მაღლობა გვინდა გადავუხადოთ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ანა ჭიაბრიშვილს. მას გადაეცა სიგელი „ბიბლიოთეკის სიმპათია მასწავლებელი“, ხოლო ამ სკოლის გუნდის ყველა მონაწილე ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

ბიბლიოთეკის „სიმპათია მკითხველის“ წოდება მიენიჭა №1 საშუალო სკოლის მოსწავლეს ბურა მჭედლიშვილს.

ბოლოს გაიმართა გუნდის მეთაურების შეჯიბრი. ამ შეჯიბრში თანაბარი ქულები დააგროვეს №2 სკოლის გუნდის მეთაურმა ბექა ბერიძემ და №1 სკოლის მეთაურმა სალომე ლალიაშვილმა. მთელი კონკურსის განმავლობაში ბავშვების ცოდნას აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ კულტურის გამგე ნაგო შიოშვილი, კულტურის სახლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბადრი ღრეიძე, ც.ბ.ს-ს დირექტორი ლია გოდერძიშვილი და ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი ლია ურდულაშვილი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის გამგის ვერიკო კერაგიშვილის, ბიბლიოთეკარების გაგიანა თოფალაშვილისა და თამრიკო კუჭუაშვილის დამსახურება ამ კონკურსის ჩატარების საქმეში. მათი დიდი მცდელობის შედეგია, რომ ამ კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. მომავალი სასწავლო წლიდან კიდევ ჩატარდება ასეთი კონკურსები და, იმედი, ყველა სკოლა ეცდება უკეთ წარმოაჩინოს თავი. მთავარი ის არის, რომ ბავშვები დაინტერესდნენ და წიგნს დაუახლოვდნენ.





გურამ თაყნიაშვილი

პირველი რესპუბლიკური



2005 წლის ივლისის დასაწყისში ქ. ბათუმში გაიმართა აჭარის საბიბლიოთეკო აქტივის პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. კონფერენციის ინიციატორი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტი სამინისტრო. კონფერენციის მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში მოისმინეს საინტერესო და შინაარსიანი მოხსენებები საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე. კონფერენციის პირველ დღეს აჭარის საბიბლიოთეკო ქსელის შესახებ მოხსენება გააკეთა აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გენადი მახარაძემ. აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ძირითადად შენარჩუნებულ იქნა საბიბლიოთეკო ქსელი. თანდათანობით მიმდინარეობს ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკების ფონდების განახლება, მკვეთრად გაუმჯობესდა ბიბლიოთეკართა

სოციალური მდგომარეობა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ ბიბლიოთეკაში დაწყებულია საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაცია, მიმდინარეობს ბიბლიოთეკართა სწავლება კომპიუტერული ტექნიკის დასაუფლებლად. პირველსავე დღეს კონფერენციაზე გაკეთდა კიდევ სხვა მოხსენებებიც: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის ირაკლი ღარიბაშვილისა თემაზე – „ბიბლიოთეკის ინფორმატიზაცია, ცნებები, პრობლემები, მიმდინარე პროექტები და პერსპექტივები“; „ინოვაციური პროცესები საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში“ – იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების ცენტრის უფროსის გურამ თაყნიაშვილის მოხსენების თემა; „საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“ – ასეთი



ინფორმაციით წარსდგა მსმენელთა წინაშე ამ ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის ცენტრის უფროსი დავით მჭედლიშვილი; „საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა მომზადება უმაღლესი სასწავლებლის რეფორმის პირობებში“ – ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსანდრე ლორიაძემ.



კონფერენციის მუშაობის მეორე დღე დაეთმო ძირითად მომსენებლების გამოცვლებს, რომელთა ინფორმაციის ცენტრალური თემა იყო საბიბლიოთეკო მუშაობის იურიდიულ-ნორმატიული აქტების შემუშავების მდგომარეობა: კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურების განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის შესახებ ისაუბრა ირაკლი ღარიბა-

ასევე შემაჯამებელი მეცადინეობისა და კამათის პროცესში ბიბლიოთეკარები ამკლავებდნენ პროფესიულ აქტიურობას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო კანონქვემდებარე აქტების შემუშავებასა და დანერგვის აუცილებლობაზე; უფრო მწვავე კამათი გამოიწვია რელიგიური შემწყნარებლობის პირობებში ბიბლიოთეკების მუშაობაზე; მომსენებლებმა ამომწურავად უპასუხეს ბიბლიოთეკართა შეკითხვებს; ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აჭარის ბიბლიოთეკებისათვის დამახასიათებელი და გადასაჭრელი საკითხები ასევე პრობლემატურია მთლიანად ქვეყნის საჯარო ბიბლიოთეკებისათვისაც. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ბიბლიოთეკების მართვას თანამედროვე საბიბლიოთეკო მენეჯმენტის კონცეფციის მოთხოვნილებათა შესაბამისად.



შვილმა; საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციისა და ბიბლიოთეკების საცნობარო აპარატის სრულყოფის საკითხებზე ილაპარაკა გურამ თაყნიაშვილმა; ბიბლიოთეკა და რელიგიური შემწყნარებლობა – ასეთი იყო ალექსანდრე ლორიას მოხმენების თემატიკა; დავით მჭედლიშვილმა მსმენელებს გააცნო ამიერკავკასიის ქვეყნების ბიბლიოთეკების თანამშრომლობის საკითხები 1990-იანი წლების შემდეგ. როგორც კონფერენციის მსვლელობისას,

კონფერენციის წინა დღეს შუახევის რაიონის გამგეობის წევრებსა და ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელძღვანელ პირებს შეხვდნენ და ბიბლიოთეკის მუშაობას ადგილზე გაეცნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გურამ თაყნიაშვილი.

აჭარის საბიბლიოთეკო მუშაკების პირველ

რესპუბლიკურ კონფერენციას უძღვებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აილა აბუსერიძე და ამავე სამინისტროს სამუშეუშო-საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსი ნატო ჭყონია. კონფერენციის მონაწილეებს დასკვნით შეხვედრაზე მოკლე სიტყვით მიმართა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ალექსანდრე გეგენავამ.

კონფერენციამ კიდევ ერთხელ ცხადად საბიბლიოთეკო დარგის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის გამოკვეთა და ძირითადი მიმართულებების დასაბუთებული ჩამოყალიბების აუცილებლობა, ურომლისოდაც ძნელია განისაზღვროს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ეფექტურობის ამაღლება თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად.



ინგა ფილაური-ლორია



რელიგიური შეწყნარებლობის მოდულის პირსია ბიბლიოთეკარებისათვის

**რელიგიური
შეწყნარებლობის მოდული**

**RELIGIOUS TOLERANCE
MODULE**

თბილისი
2005

22 ივნისს ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „რელიგიური მიმტევეებლობა საქართველოს ბიბლიოთეკაში“. დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში ამოქმედდა პროგრამა „რელიგიური მიმტევე-

ბლობა“, რომლის განმხორციელებელი არის ქალაქ ამჰერსგის (აშშ) სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის ინიციატივითა და მხარდაჭერით საქართველოდან ორი ჯგუფი იმყოფებოდა შეერთებულ შტატებში – ერთი ბიბლიოთეკარების, მეორე – მასწავლებლების. ამ ორივე ჯგუფის წარმომადგენლების თავმოყრა სწორედ ხსენებულ კონფერენციაზე მოეწყო. ამ ღონისძიების ორგანიზაცია დაკისრებული ჰქონდა რელიგიური მიმტევეებლობის პროგრამის კოორდინატორს დოც. ინგა ფილაურ-ლორიას.

ფოთის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ნამდვილად დირსეული მასპინძლობა გაუწია კონფერენციას. ბიბლიოთეკის დირექტორმა ნუნუ



ჭელიძემ, რომელიც გამოირჩევა როგორც ცნობილი სპეციალისტი და ორგანიზატორი, ძალა არ დაზოგა, რომ ეს ღონისძიება უნაკლოდ და ნაყოფიერად ჩატარებულიყო. უნდა ითქვას, რომ თუკი ფოთის ცენტრალური ბიბლიოთეკა მთელ საქართველოში გამოირჩევა ყოველმხრივ, ამაში ქალბატონ ნუნუს დიდი დამსახურებაა. ამჟამად, ამგვარი რთული კონფერენციის ორგანიზაცია რომ წარმატებით დასრულდა, იოლი საქმე არ იყო. კონფერენციას ესწრებოდნენ როგორც ორი პროგრამის მონაწილენი, ისე ამ პროგრამების დირექტორი ამერიკიდან პროფ. სტივენ ჯონსი, მერიის წარმომადგენლები, ჟურნალისტები. თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ აქ ჩამოსული მონაწილენი, რომლებიც კმაყოფილებით აღნიშნავენ ღონისძიებების კარგ ორგანიზაციას, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ამ ბიბლიოთეკის იერსახეს, ყველა პირობას, რომელიც აქ არსებობს მკითხველთა



ხსენება გააკეთა პროფ. სტივენ ჯონსმა. მან კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ორთავე პროგრამამ შემდგომი განვითარება ჰპოვა საქართველოში, რისი გამოხატულებაც არის ეს ღონისძიებაც.

სიტყვით გამოვიდნენ: თელავის უნივერსიტეტის პროფ. დ. მახაშვილი, ქუთაისის უნივერსიტეტის ლექტორები – მ. ჭუმბურიძე, გ. თევდორაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები – ნ. ხვედელიანი, ა. ჩხენკელი, დ. მჭედლიშვილი, გურჯაანის რ-ნის სოფ. ბაკურციხის საშ. სკოლის მასწავლებელი დ. ხვთისი-აშვილი, თბილისის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ლ. კვინიკაძე, ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ც. ფაცაცია, ხ. ბეჭვაია. პ. სუბულავა.

დასასრულ შედგა „რელიგიური შემწყნარებლობის პროგრამის“ საფუძველზე შედგენილი გამოცემის „რელიგიური შემწყნარებლობის მოღულის“ პრემენგაცია. წიგნი პროფესიული ოსტატობით წარმოადგინა ერთ-ერთმა მისმა შემდგენელმა და რედაქტორმა ნატო ბუკიამ. მეორე შემდგენელ-რედაქტორია ი. ფილაური. წიგნის მიზანია, რაც შეიძლება ფართო საზოგადოებას გააცნოს მოღული იმ 12-კაციანი ჯგუფის მიერ შემუშავებული, რომლებმაც შეერთებულ შტატებში გაიარეს სტაჟირება. წიგნს დართული აქვს ანოტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. მასში მოცემული სავარჯიშოები ხელს შეუწყობს მოცემული საკითხით სხვადასხვა სპეციალისტთა დაინტერესებასა და მათ გაცნობიერებას.


კონფერენციას საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰქონდა ადგილობრივ პრესაში.




მაღალ ღონებზე მომსახურებისათვის.

კონფერენცია დაფინანსებული იყო აშშ მასაჩუსეტის შტატის ქ. ამჰერსტის სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

კონფერენცია გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა ნ. ჭელიძემ. თავის გამოსვლაში ი. ფილაურმა-ლორიამ ძირითადად ხაზი გაუსვა ორთავე პროგრამის მნიშვნელობას და ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რომლებიც უნდა დაემუშავენა ამ კონფერენციას. ძირითადი მო-



ახალი უენაკენი



ჩენი წიგნის თარო კვლავ გამდიდრდა ფრანგული რომანების ქართული თარგმანებით. ესენია: ბორის ვიანის „შემოდგომა პეკინში“ და ამელი ნოტომის „შეყვარებულის ამხედრება“. წიგნები გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით მ. მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.



მაღლიერებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი ყოველთვის განსაკუთრებულ გულისყურს იჩენს ფრანგული წიგნების ქართულად თარგმნილი გამოცემების პოპულარიზაციასა და ქველმოქმედების სახით მათ გავრცელებაზე.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ღ ვ ა



გენალი მახარაძე

მრავალმხრივ საუკაღღებო წიგნი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში 2005 წლის 16 ივნისს ჩატარდა წარდგენა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამაზ ფუტყარაძის წიგნისა „აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში“.

მლობა „ბათუმის უნივერსიტეტმა“ 2005 წელს, განხილულია აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ მიგრანტთა ეთნოისტორიის საკითხები, შესწავლილია განსახლების მიზეზები, მიმართულებები, გეოგრაფიული არეალი, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემები, ადაპტაციის საკითხები, პოლიეთნიკურ რეგიონებში დასახლებისა და ეთნოლემოგრაფიის პრობლემები.

ნაშრომში, რომელიც გამოსცა გამომცე-

ნაშრომის ძირითადი მიზანია, მიგრაციის, როგორც ლოკალურ-სპეციფიკური, ისე გლობალიზაციის და თავისებურებების გამოვლენა, ერთიანი მიგრაციული პოლიტიკის გატარების აუცილებლობის დასაბუთება, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვალიძველ წარმოქმნილი კონფლიქტების მიზეზების გამოვლენა.

ნაშრომში დადგენილია მიგრაციის მიზეზები

და განმაპირობებელი ფაქტორები, განსახლების პერსპექტივები, გაანალიზებულია მიგრანტთა რელიგიური და საერო ცხოვრების ნორმები, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის მაგარებელი წეს-ჩვეულებები, კონფესიური, ნათესაური და სხვა ფაქტორების გავლენა ერთად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ფორმირებებზე.




მარიკა კალანდარიშვილი

ჩვენი სპეციალისტების ნარკვევი რუსულ ბაზოში

გამოვიდა რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის სამეცნიერო კრებულის მე-5 გამოცემა, რომელშიც მოთავსებულია ნ. მელქაძისა და ა. ლორიას გამოკვლევა „Тифлисская городская публичная библиотека им. А.С.Пушкина (1899-1923)“¹.

ცნობილია, რომ თბილისში პუშკინის სახელობაზე არსებული ბიბლიოთეკის შესახებ ჩვენმა სამოგალოებამ ძალიან ცოტა რამ იცის, თუმცა მასალა საკმაოდ მოიპოვება. აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ სულ 24 წელი იარსება, მაგრამ მნიშვნელოვანი კვალი დაგოვა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში. ავტორებმა – ნ. მელქაძემ და ა. ლორიამ ბევრი იღვაწეს არა მარტო მასალის მოსაპოვებლად, არამედ



მის დამუშავება-ანალიზისათვის და ბევრი ისეთი საკითხის შესწავლაზე, რომელიც მანამდე სადავოს წარმოადგენდა – სად მდებარეობდა ეს ბიბლიოთეკა, რომელ წელს ჩაეყარა საფუძველი, როგორი იყო მისი დაარსების წინაპირობები და სხვ. ავტორებმა შეძლეს შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომში ყოველმხრივ წარმოეჩინათ პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის მოღვაწეობა ყოველი ასპე-

ქტით. აღნიშნული სტატია უდაოდ დააინტერესებს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის სპეციალისტებსა და, ზოგადად, მკითხველ სამოგალოებს. ნაშრომში უხვადაა მინიშნებული გამოყენებული ლიტერატურა.

¹ Российская национальная библиотека. История Библиотек: исследования, материалы, документы, вып.5. – Санкт-Петербург, 2004. – стр. 209-219.

ლილი გვარამაძე
 ფლევის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

მეტი გულისუური გპჭირდება



იგნი ცოდნის წყაროა. ცოდნა ყოველგვარი სიკეთის დედაა, უწიგნურობა ეს უეცობაა. წიგნისა და ბიბლიოთეკის უარყოფელი უეცობას უწყობს ხელს. უეცობა კი ბოროტებაა.

სად შეიძლება წავიდეს ახალგაზრდა უკეთეს ადგილას, ვიდრე ბიბლიოთეკაა, როცა მას სულიერი საზრდო ესაჭიროება? წიგნის უშუალო რჩევითა და დახმარებით, მასთან დაახლოებით უნდა დაადგეს ის ცხოვრების მძიმე გზას. ვის შეუძლია მისცეს მას იმდენი სიკეთე, რამდენიც წიგნს?

წიგნთან მისვლის რამდენიმე გზა არსებობს, მაგრამ ყველაზე ეფექტური და სასარგებლო ბიბლიოთეკაა. წიგნს ინფორმირება, პროპაგანდა ესაჭიროება, რომ უფრო მაღალშედეგიანი იყოს წიგნიერებისათვის ზრუნვა. ამ საქმეს, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკა აკეთებს. ბიბლიოთეკა ხომ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია სოფლად თუ ქალაქად, მისი მამოძრავე

ბელი ძალა კი პროფესიონალი ბიბლიოთეკარია.

დღეს თითქოს დავიწყებიათ ეს მარტივი ჭეშმარიტება. უკიდურეს პირობებშია ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარი ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკებში დამლაგებელიცაა, შეშის მჭრელიც, ყარაულიც, უზარმაზარ მაგერიალურ ქონებაზე პასუხისმგებელი (ყოველი წიგნი ხუთმაგად გვაწერია). და რა დასაუნანია, რომ ჩვენი შრომა ასე მცირედ ფასდება. თვიური ხელფასი 34 ლარს შეადგენს - არაფითარი წახალისება არ არსებობს. ნუთუ ასე უმნიშვნელოა ბიბლიოთეკარის როლი სამოგალოებაში? მე თუ მკითხავთ, ეს ამ თავდადებული, ენთუზიაზმით გულანთებული, თავისი საქმის მოყვარული პროფესიონალის აბუჩად აგდებაა.

დროა იფიქროს ჩვენმა მთავრობამ, რომ ბიბლიოთეკარიც მნიშვნელოვანი საქმის ღირსეული მუშაკია, რომელიც კულტურას, განათლებას, მეცნიერებას გულმოდგინედ ემსახურება.

ქრონიკა

საქართველოს საზიზლიოთეკო სხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

□ 9 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა თათბირ-სემინარი ბიბლიოთეკებისათვის დამატებითი (არასაბიუჯეტო) სახსრების მოპოვების საკითხებზე. ინფორმაცია გააკეთა და კონსულტაცი-

ები ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაცია „ერანის“ წარმომადგენელმა ირმა ქორთუამ. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის, საგარეჯოს, თელავის, რუსთავის, ხაშურის, მესგაფონის საბიბლიოთეკო გაერთი-

ანებათა ხელმძღვანელები.

□ 14-15 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის თითოეული სტრუქტურული დანაყოფის მოკლე ანგარიში, პრობლემები, პერსპექტივები. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ზაზა აბაშიძემ.

□ 30/VI-1/VII ბათუმში გაიმართა აჭარის საბიბლიოთეკო მუშაკთა პირველი რესპუბლი-

კური კონფერენცია. ვრცელი ინფორმაცია კონფერენციის შესახებ ქვეყნდება ჟურნალის ამავ ენომერში.

□ 14 ივლისს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლების, საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონფერენციების მუშაობაში საბჭოს წევრთა მონაწილეობის და სხვა აქტუალური საკითხები.

ს ა ც ნ ო ბ ო დ ს ა კ ი თ ხ ა ვ ი



თეიმურაზ ჩხენკელი

საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი

შიალი რამამრიგა რანგანათანი (1892-1972) – ინდოელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ბიბლიოთეკარი იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკათმცოდნე, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა თანამედროვე საბიბლიოთეკო მეცნიერების განვითარებაში. 1931 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი სათაურით „საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი“ (Ranganathan, S. R. (1931). *Thi five laws of library science*. Madras: Madras library Association).

საბიბლიოთეკო მეცნიერების რანგანათანის ხუთი კანონი:

1. წიგნები შექმნილია წასაკითხად და გამოსაყენებლად;
2. ბიბლიოთეკაში ყოველმა მკითხველმა უნდა იპოვოს მისთვის საჭირო წიგნი;
3. ბიბლიოთეკაში ყოველმა წიგნმა უნდა იპოვოს თავისი მკითხველი;
4. ბიბლიოთეკა უფრო ხილდება და ზოგავს მკითხველის დროს;
5. ბიბლიოთეკა არის მზარდი ცოცხალი ორგანიზმი.

ამ ხუთმა კანონმა უდიდესი ზეგავლენა იქონია მე-20 საუკუნეში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე და, როგორც გამოირკვა, ეს კანონები 21-ე საუკუნეშიც განსაზღვრავენ ბიბლიოთეკების მუშაობას. ყოველ კანონს აქვს თავისი ღრმა დასაბუთება და ახსნა, თუმცა პირველი ოთხი კანონი გარკვეულწილად ერთი შეხედვითაც გასაგებია. მე-5 კანონი კი გული-სხმობს როგორც პუბლიკაციების განუწყვეტელ ბრძას ინფორმაციის სხვადასხვა მაგარებელზე, ასევე ბიბლიოთეკარების დახელოვნების განუწყვეტელ ბრძას, რის გარეშეც ბიბლიოთეკა კვდება.

სამწუხაროდ, ყველა ბიბლიოთეკარს როდი ესმის ეს კანონები. ხშირად ბიბლიოთეკაში მთავარი ფონდია და არა მკითხველი. ასეთი ბიბლიოთეკებისთვის ცნობილმა ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა, პროფესორმა მორის ლაინმა შეადგინა გამარჯებული ხუთი კანონი (<http://library.georgiasouthern.edu/cio/ciospch.html>):

1. წიგნები შექმნილია კოლექციებში (ბიბლიოთეკის ფონდებში) შესაგროვებლად;

2. ბიბლიოთეკაში ზოგმა მკითხველმა შეიძლება იპოვოს თავისი წიგნი;

3. ბიბლიოთეკაში ზოგმა წიგნმა შეიძლება იპოვოს თავისი მკითხველი;

4. ბიბლიოთეკა ფლანგავს მკითხველის დროს;

5. ბიბლიოთეკა არის მზარდი მავზოლეუმი (ან მუზეუმი).

კიდევ უფრო მახინჯ ფორმას იძენს ბიბლიოთეკა, როდესაც იგი იძულებულია თავისი არსებობის შესანარჩუნებლად დააწესოს ფასიანი მომსახურება. ასეთი ბიბლიოთეკებისთვის სხვა ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა ჯიმ ტომპსონმა შეადგინა ხუთი კანონის მეორე შარჟი (Thompson, J. (1992). The five laws of library science. Newsletter on Serials Prinding Issues, 47, September 13. Retrieved October 12, 2004, from

<http://www.lib.unc.edu/prices/1992/PRIC47.HTML#47.3>):

1. წიგნები შექმნილია გამორჩენის, ხეირისა და მოგებისათვის;

2. ბიბლიოთეკაში ყოველ მკითხველს უნდა ჰქონდეს თავისი საგადასახადო ანგარიში;

3. საბიბლიოთეკო დოკუმენტის ყოველი ეგზემპლარის გამოყენებასა და, მით უმეგეს, მის ასლს ინფორმაციის ნებისმიერ მაგარებულზე უნდა ჰქონდეს თავისი გადასახადი;

4. ბიბლიოთეკაში მკითხველს კითხვისათვის უნდა გამოართვა ფული (და ამით დაზოგავს მის დროს);

5. ბიბლიოთეკა არის მკენესავი ორგანიზმი. საბიბლიოთეკო ღარგში გამოჩენილმა ამე-

რიკელმა მეცნიერმა, პროფესორმა მაიკლ გორმანმა რანგანათანის საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონის მიხედვით შეადგინა საბიბლიოთეკო საქმის ახალი ხუთი კანონი (Gorman, M. (1995). Five new laws of librarianship. American Libraries, 26 (8), 784-785.):

1. ბიბლიოთეკები ემსახურებიან კაცობრიობას;

2. პატივი ეცი ცოდნის გავრცელების ყველა ფორმას;

3. გონივრულად გამოიყენე ტექნოლოგიები მომსახურების გაძლიერების მიზნით;

4. დაიცავი უფასო დაშვება ცოდნასთან;

5. არ დაივიწყო წარსული და შექმენი მომავალი.

ბოლოს მოვიყვანოთ ახალგაზრდა ირანელი მეცნიერის, ჟურნალ „ვებოლოგიის“ მთავარი რედაქტორის – ალიმერა ნორუმის მიერ რანგანათანის საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი მისადაგებული ვებისათვის. ეს კანონები უნდა სრულდებოდეს ინგერნეგში საერთოდ და, მით უმეგეს, იმ ბიბლიოთეკებში, რომლებიც ემსახურებიან მკითხველებს ინგერნეგით. (<http://www.webology.ir/2004/vln2/a8.html#24>):

1. ვებ-რესურსები შექმნილია გამოსაყენებლად;

2. ყოველ მომხმარებელს თავისი ვებ-რესურსები;

3. ყოველ ვებ-რესურსს თავისი მომხმარებელი;

4. გაუფრთხილდი მომხმარებლის დროს;

5. ვები არის მზარდი ცოცხალი ორგანიზმი.

ბრძნული გამონათქვამები

მკითხველისათვის წიგნების შერჩევა მარგო მეცნიერება კი არ არის, არამედ ხელოვნებაც.

არ შეიძლება წიგნების გამოკეცვა, როგორც საპყრობილეში. ისინი ბიბლიოთეკებიდან უთუოდ გონებაში უნდა გადადიოდნენ.

ნ. რუბაკინი

ფ. პეგრარკა

ბიბლიოთეკა ადამიანის სულის ყველა სიმ-
დიდრის საგანძურია.

გ. ლაიბნიცი

ბიბლიოთეკა იდეების გაშლილი მაგიდაა,
რომელთანაც ყველაა მიწვეული, რომელმაც
ყველა ჰპოვებს იმ საკვებს, რომელსაც ეძებს.

ა. გერცენი

გალერეაში მიგანილი ყოველი სურათი და
ბიბლიოთეკაში მოხვედრილი ყოველი რიგიანი
წიგნი, რა მცირეც უნდა იყოს, ღიდ საქმეს – ქვე-
ყანაში სიმდიდრის დაგროვებას ემსახურება.

ა. ჩეხოვი

ვინც უნდა იყო, მეცნიერების შემსწა-
ვლელ, აქ შემომსვლელ, კარებს ნუ მიიჯა-
ხუნებ და ფეხებით უხეშად ნუ აბაკუნებ – ეს მუ-
ზეებს არ ესიაშოვნებათ. თუ შენ აქ უკვე ვინმეს

ნახავ დამჯდარს, თავი უხმოდ, მოწიწებით და-
უკარი და ნუ იყბელებ: აქ მიცვალებულნი ესა-
უბრებიან იმ ცოცხლებს, რომლებიც ცოდნას
ეუფლებიან.

**წარწერა XV საუკუნის
ბიბლიოთეკის კარზე**

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა,
გამოვიხმთ ოდესღაც მცხოვრები უდიდესი
გენიალური ადამიანების აჩრდილები და ვაიძუ-
ლოთ ისინი, ჩვენთან ისაუბრონ ყველაზე სა-
ინტერესო თემებზე. რა ფასდაუღებელი იქნე-
ბოდა მსგავსი ძალა! სინამდვილეში კი ჩვენ ეს
ძალა მხოლოდ ყველა კარგად მოწყობილ ბი-
ბლიოთეკაში მოგვეპოვება.

ჯონ რუსკინი
შეკრიბა ნელი ჯარიაშვილმა

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

გულდასაწყვეტი დანაკლისი

ფემთხვევითი ფი-
ზიკური გრავიმის
გამო უდროოდ
აღესრულა საქა-
რთველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის
ერთი ღირსეული, ამა-
გდარი და ღვაწლმოსილი
თანამშრომელი რაისა იო-
სების ასული გამბელიანი.
დაიბადა 1934 წელს, მე-
სგიაში, იქვე მიიღო დაწყე-
ბითი განათლება და მცირე
ხნით პედაგოგად მუშა-
ობის შემდეგ, წიგნის სი-



ყვარულმა მაშინდელ სა-
ჯარო ბიბლიოთეკამდე
მიიყვანა. ეს იყო 1960-
იანი წლები. რ. გამბელი-
ანს ამ პერიოდისათვის
უკვე დამთავრებული ჰქო-
ნდა თბილისის ა. პუშკინის
სახელობის პედაგოგიური
ინსტიტუტის სპეციალური
ფაკულტეტი და ახლა თე-
ორიული ცოდნითა და ენე-
რგიით აღსავსეს, საკუ-
თარი ძალები უნდა მოესი-
ნჯა ბიბლიოთეკარის სა-
რბიელზე. ამ ბიბლიოთე-

კაში გაიარა მან პროფესიული დაოსტატების გრძელი გზა – ბიბლექნიკოსის თანამდებობიდან დაკომპლექტების ცენტრის უფროსამდე. ამ გზას შეაღია თავისი ცხოვრება, ცოდნა, ენერჯია. დააგროვა დიდი გამოცდილება და ოთხათეულ წელზე მეტ ხანს ღირსეულად ემსახურა წიგნის, წიგნიერებისა და საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზების რთულ და საპატიო საქმეს. მისი მოქმედებებისა და შთაგონების ამოსავალი კრიტერიუმი იყო მკითხველი, მისი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებაც ღიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ბუნებით სპეგაკსა და ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანს. უბანი, რომელსაც იგი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხე-

ლმძღვანელობდა, ერთობ რთული და საპასუხისმგებლო მიმართულებაა. მას დიდი ძალისხმევით, რუდუნებით, მცდელობით შემოქმენდა ბიბლიოთეკაში თითოეული წიგნი, ქურნალი, გაზეთი თუ სხვა გამოცემა.

ქალბაგონი რაისა გაზღელიანი დაუვიწყარი იქნება ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის. დაე, მარადიული ნათელი ადგეს მის მუღმივ ადგილსამყოფელს, ისეთი ნათელი, როგორიც თვითონ იყო შინაგანად, ხასიათით, ზნეობით, საქციელით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს მკითხველებს



ჩვენს მკითხველებს ვაცნობებთ, რომ ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი მეოცეა. იმდენად სასიხარულოა ეს, რამდენადაც მიუხედავად აუწერელი გასაჭირისა, სირთულეებისა, წინააღმდეგობებისა, გექნიკური პროცესების გაუმართაობისა, ის არ ჩამკვდარა, არ შეუწყვეტია არსებობა და აგრძელებს თავის გზას. ეს ადასტურებს იმას, რომ ჟურნალი მოსწონთ, მხარში უღგანან, კითხულობენ, ელოდებიან. ეს დამსახურებაა აგრეთვე რედაქციის წევრებისაც, რომლებიც გამოირჩევიან ერთსულოვნე-

ბით, ენთუზიაზმით, კორექტული ურთიერთობითა და საქმის დიდი სიყვარულით.

ამ წლის ბოლოს 5 წელი უსრულდება ქურნალს. ეს არაა დიდი საიუბილეო თარიღი, მაგრამ განვლილი საქმიანობის შეჯამების საშუალებას იძლევა. ჩვენთვის ძვირფასია მკითხველების გამოხმაურება, მათი მოსაზრებების მოსმენა, შენიშვნების გათვალისწინება, რასაც ელოდებით კიდევ ამ დღეებთან დაკავშირებით.

რედაქცია

შეცდომის გასწორება:

ჩვენი ჟურნალის მეორე ნომერში, გვ. 54 ავტორი სტაგისა „სოფელი და კულტურის კლუბი“ უნდა იყოს ღია გოღელაშვილი და არა გოღერძიშვილი.

